

პარკეზ კაპანაძე

ქ. ჭლგოსილი მეცნიერები

**თბილისი
2003**

რედაქტორი ღოც. მაკა ელბაქიძე



დავით კვლევაძე



მანო ხადაგადიჯოვი

წინასიტყვაობა

წინამდებარე ნარკვევი ეძღვნება ორი ღვაწლმოსილი ადამიანის, ვეგერინარიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის დავით გელოვანისა და მისი მეუღლის, საქართველოს ვეგერინარიისა და ვეგერინარული მიკრობიოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, პროფესორ მარი სამადაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

ბატონი დავით გელოვანი და ქალბატონი მარი სამადაშვილი ეკუთვნიან მეცნიერთა იმ თაობას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა და დიდი ღვაწლი დასდო საქართველოში ვეგერინარიის, როგორც ფუნდამენტური მეცნიერების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. ისინი 60 წლის მანძილზე ერთგულად და უანგაროდ ემსახურებოდნენ მეცნიერების ამ დარგს და მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრება ამ საშვილიშვილო საქმეს მიუძღვნეს.

პროფესორ დავით გელოვანის სახელთანაა დაკავშირებული ქართული ვეგერინარული ფარმაკოლოგიური სკოლის ჩამოყალიბება, ამ დარგში პირველი ქართული სახელმძღვანელოების შექმნა, ფუნდამენტური მეცნიერული კვლევის დაწყება და განვითარება, რის გამოც იგი

სამართლიანად არის მიჩნეული საქართველოში ვეტერინარული ფარმაკოლოგიური მეცნიერების ფუძემდებლად.

50-60-იანი წლების საქართველოში მეცხოველეობა-მეფრინველეობის სწრაფი აღმავლობა, განსაკუთრებით კი საწარმოო, ინდუსტრიულ რელსებზე მისი გადასვლა პრაქტიკული მნიშვნელობისა და რეალური შედეგების მქონე კვლევა-ძიებას საჭიროებდა. სწორედ ამ მოთხოვნებით იყო განპირობებული იმ მეცნიერული მიმართულებების შერჩევა, რომელთაც საფუძველი პროფესორმა დავით გელოვანმა ჩაუყარა. დიდი პრაქტიკული შედეგი გამოიღო მისმა კვლევამ ცხოველთა საკვებში ცილის დეფიციტის შევსების საკითხზე. მის მიერ მოწოდებულმა, ცილით მდიდარი მეცხოველეობის ნარჩენების გაუვნებლობითა და კონსერვაციით მიღებულმა საკვებმა პროდუქტებმა არა მარტო უზარმაზარი ეკონომიკური ეფექტი მისცა სოფლის მეურნეობას, არამედ გადაჭრა ჩვენი ქვეყნისათვის არანაკლები მნიშვნელობის უდიდესი ეკოლოგიური პრობლემა. აღსანიშნავია, რომ ამ მეცნიერულ მიგნებასთან დაკავშირებით ვეტერინარიის დარგში პირველი რაციონალიზატორული მოწმობა გაიცა. ასევე უზარმაზარი ეფექტი მოჰყვა გოქსიკური აზოტოვანი ნივთიერებების საკვებად გამოყენების მეთოდის შემუშავებას.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობა ჩაატარა პროფესორმა გელოვანმა საკვებში სამკურნალო პრეპარატების შერევის ახალი მეთოდის შესამუშავებლად. ამ მიმართებით ჩატარებულმა სამუშაოებმა არა მარტო ძირეულად შეცვალა ცხოველთა კვების, მოვლა-პატრო-

ნობის, ვეგერინარული თუ ზოოტექნიკური მონიტორინგისა და კონტროლის სქემა, არამედ საფუძველი ჩაუყარა ვეგერინარული ფარმაკოლოგიის ახალ მიმართულებას – საკვების ფარმაკოლოგიას.

ცხოველთა საკვებში მედიკამენტების შერევით, ახალ ორიგინალურ მეთოდებზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა მეცხოველეობისათვის ისეთი უნიკალური პრეპარატების შექმნა და წარმოება, როგორებიცაა: საკვები ტერამიცინი, ანტიბიოფაგი, ანტიპულორინი, ე.მ.გ.ვ-1, ე.მ.გ.ვ-2 და სხვა.

ფასდაუდებელია პროფესორ დავით გელოვანის ღვაწლი ანტიბიოტიკების შესწავლის საქმეში. მის სახელთანაა დაკავშირებული ანტიბიოტიკოთერაპიის ვეგერინარულ პრაქტიკაში დანერგვა და საქართველოში ანტიბიოტიკების პირველი წარმოების შექმნა.

შეიძლება ითქვას, რომ 60-80-იანი წლების საქართველოში საწარმოო მეცხოველეობისა და მეფრინველეობის აღმავლობა მეტწილად განპირობებული იყო პროფ. გელოვანის მიერ ღრმა მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად სწორად შერჩეული მიმართულებებით და მის საფუძველზე მიღებული დიდმნიშვნელოვანი პრაქტიკული შედეგებით.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ბატონ დავით გელოვანის დამსახურება ინსტიტუტის ქიმიოთერაპიული და ბიოლოგიური პრეპარატების ექსპერიმენტული ქარხნის ჩამოყალიბებაში, სადაც მისი ხელმძღვანელობით არაერთი მაღალეფექტური პრეპარატი შეიქმნა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დავით გელოვანის ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა. მის სა-

ხელმძღვანელოებსა და ლექცია-სემინარებზე აღიზარდა მაღალკვალიფიციურ ვეტერინართა არაერთი თაობა. პედაგოგიურ და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან ერთად დავით გელოვანი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა საზოგადოება „ცოდნის“ საინსტიტუტო ორგანიზაციას; წლების განმავლობაში იყო თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხების მიმნიჭებელი სამეცნიერო საბჭოს წევრი და საქართველოს ფარმაკოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, თავმჯდომარეობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ფაკულტეტის საგამოცდო კომისიას. იგი, როგორც საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციების ოპონენტი, უაღრესი პრინციპულობითა და ობიექტურობით გამოირჩეოდა. ბატონი დავითის, როგორც დეაწლმოსილი მეცნიერისა და პედაგოგის სახელი სამუდამოდ აღიბეჭდა საქართველოს ბოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის მატიანეში.

ქართული ვეტერინარული მეცნიერების ჩამოყალიბებაში, მის სამეცნიერო თუ პრაქტიკულ მიღწევებში არანაკლები წვლილი მიუძღვის ბატონი დავითის მეუღლეს, ქალბატონ მარი სამადაშვილს. მის სახელთანაა დაკავშირებული საქართველოში ვეტერინარული მიკრობიოლოგიის ჩამოყალიბება და ვეტერინარიაში ფაგოთერაპიის, როგორც მკურნალობის ერთ-ერთი პროგრესული და ეფექტური მიმართულების, დანერგვა.

უდიდესია მარი სამადაშვილის წელიწადი მსხვილფეხა რქოსანი საქონლის კუჭ-ნაწლავის ინფექციურ დაავადებათა შესწავლასა და სპეციფიკური კოლი-გერტერფაგის გამოყოფაში. ამ პრობლემას მიეძღვნა მისი საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც ქალბატონმა მარიმ წარმატებით დაიცვა.

მარი სამადაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული მეცნიერული მუშაობის შედეგად პრაქტიკულად სრულად იქნა გადაწყვეტილი ფრინველთა დაავადების – პულოროზის – პრობლემა.

ხანგრძლივი და მრავალ ეტაპად შესრულებული უდიდესი მეცნიერული შრომის შედეგად შეიქმნა პრეპარატი პულერომ-ბაქტერიოფაგი, რომლის ბაზაზე შემუშავდა და წარმოებაში დაინერგა ახალი პრეპარატი – ანტიბიოფაგი, რომლის პრაქტიკული მნიშვნელობა გასცდა საქართველოს საზღვრებს და მისი წარმოება ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა რეგიონში დაიწყო.

ანტიბიოტიკებისა და მიკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელობის პერიოდში მარი სამადაშვილმა გააგრძელა მეცნიერული კვლევა-ძიება ანტიბიოტიკოთერაპიაში, მიკოლოგიაში, ფიტონციდების შესწავლაში და სხვა. ქალბატონი მარი სამადაშვილისა და დავით გელოვანის განყოფილებასთან შეიქმნა ნატიური (თხიერი) და საკვები ანტიბიოტიკების დამამზადებელი საამქრო.

დავით გელოვანისა და მარი სამადაშვილის პირადმა ურთიერთობებმა, სამეცნიერო კონტაქტებმა თავიანთი დარგის დიდ ავტორიტეტებთან და კორიფეებთან გარკ-

ვეულწილად განაპირობა ქართული ვეგერინარული ფარ-
მაკოლოგიისა და მიკრობიოლოგიური სკოლის მეცნიე-
რული თუ პრაქტიკული მიღწევები.

ბაგონი დავითი და ქალბაგონი მარი ჩვენი სამეც-
ნიერო ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენლები
იყვნენ. მათთან ურთიერთობა ღიდ სიამოვნებას ანიჭებდა
ყველას – კოლეგებს, მეგობრებსა თუ ნაცნობებს.

ბაგონი დავითი – რბილი და დამთმობი, ხოლო ქალ-
ბაგონი მარი – მკაცრი და მომთხოვნი, ერთ მთლიანობას
წარმოადგენდნენ, ავსებდნენ ერთმანეთს. განსაკუთრე-
ბული აღნიშვნის ღირსია მათი მოხდენილი და ფაქიზი
იუმორი, რაც ამ ორ არაჩვეულებრივ ადამიანს სიცოცხლის
ბოლომდე გაჰყვა.

მათ განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდათ
ახალგაზრდობის მიმართ, ვინაიდან მასში ჩვენი ქვეყნის
მომავალს ხედავდნენ. ამიტომ მეცნიერული დისციპ-
ლინების სწავლებასთან ერთად ისინი სისტემატურად
ბრუნავდნენ თავიანთი სტუდენტების ღირსეულ პიროფ-
ნებებად ჩამოყალიბებაზე.

სიკეთით, სითბოთი და სიყვარულით გამსჭვალულები,
ისინი პირადად იძლეოდნენ შრომისმოყვარეობის, უღი-
დესი პასუხისმგებლობის, თავმდაბლობისა და უანგარობის
თვალსაჩინო მაგალითს.

ბაგონმა დავითმა და ქალბაგონმა მარიმ პირნათლად
მოიხადეს თავიანთი ადამიანური ვალი არა მარტო მეც-
ნიერების, არამედ ქვეყნისა და მომავალი თაობის წი-
ნაშე.

ეფიქრობთ, წინამდებარე ნარკვევის გაცნობის შემდეგ მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეექმნება, ერთის მხრივ, საქართველოში ვეგერინარიისა და ვეგერინარული ფარმაკოლოგიის განვითარებაზე, მეორეს მხრივ კი, ამ ორი დიდი მეცნიერის მოღვაწეობის მნიშვნელობაზე.

დღეს, როდესაც ხდება გარკვეულ ღირებულებათა გადაფასება, ალბათ ისე, როგორც არასდროს, საჭიროა იმ ადამიანთა ღვაწლის წარმოჩენა და გახსენება, რომელთა ცხოვრება და მოღვაწეობა მისაბაძ მაგალითად უნდა იქცეს მომავალი თაობისათვის.

განსაკუთრებული მაღლიერების გრძნობით გვინდა მოვიხსენიოთ ბაგონი ბაურ სამადაშვილი ისეთ მამულიშვილურ საქმეში თანადგომისათვის, როგორც ამ წიგნის გამოცემაა.

ПРЕДИСЛОВИЕ

Настоящий труд посвящен выдающимся ученым Грузии, их жизни и деятельности: доктору ветеринарных наук, профессору, заслуженному деятелю наук, лауреату Государственной премии Давиду Геловани и его супруге, одной из основоположников ветеринарной микробиологии, профессору Мари Самадашвили.

Давид Геловани и Мари Самадашвили относились к плеяде ученых, которые заложили основу и сыграли большую роль в развитии фундаментальной науки по ветеринарии в Грузии.

Давид Геловани и Мари Самадашвили в течение 60 лет бескорыстно и преданно служили науке, которой посвятили всю свою сознательную жизнь и оставили неизгладимый след. С именем Давида Геловани связано основание грузинской школы по ветеринарной фармакологии, создание в этой области первых грузинских учебников, поэтому Давид Геловани справедливо считается основоположником ветеринарной фармакологии в Грузии.

В 50-60 гг., в период быстрого подъема и развития животноводства и птицеводства в Грузии и перехода на производственную—индустриальную основу, к науке предъявлялись требования практического значения и получения реальных

результатов. Именно эти требования были заложены в научных направлениях, которые были разработаны профессором Давидом Геловани.

Большое значение имело создание им экспериментально-производственного завода по выработке важных химико-биологических препаратов, таких, как питательный терализин, антибиофаг, антипулорин и др. Большой научный вклад был сделан в изучение антибиотиков и их внедрение в ветеринарную практику.

Значительные данные получены были по вопросам дефицита белков в питании животных. Был предложен продукт, обогащенный белками, что сыграло большую роль в экономике сельского хозяйства Грузии.

Необходимо отметить большие педагогические заслуги профессора Геловани. На его содержательных научных лекциях и руководствах выросла целая плеяда высококвалифицированных ученых. Профессор Давид Геловани на протяжении ряда лет являлся членом Ученого совета по присуждению научных степеней в Тбилисском Государственном университете, а также председателем государственной экзаменационной комиссии на фармацевтическом факультете Государственного мединститута.

В развитии грузинской ветеринарной науки, в ее достижениях не менее важная роль принадлежит Мари Самадашвили. С ее именем связано основание ветеринарной микробиологии и фаготерапии – одного из прогрессивных и эффективных направлений в ветеринарии.

Значительный вклад внесла Мари Самадашвили в изучение инфекционных заболеваний желудочно-кишечного тракта у крупного рогатого скота и выделение специфического фага – колигертнера.

Научные работы Мари Самадашвили практически разрешили проблему заболеваний пулороза среди птиц.

На основании долгих и многоэтапных разработок был создан препарат пулером – бактериофаг, на базе которого был внедрен новый препарат – антифаг, получивший практическое применение не только в Грузии, но и за ее пределами, во многих местах бывшего Советского Союза.

Во время руководства отделом антибиотиков и микологии Мари Самадашвили создала производство по изготовлению питательных антибиотиков.

Личные взаимоотношения Давида Геловани и Мари Самадашвили, их совместные научные работы, большие контакты с учеными в области ветеринарии, в определенной степени повлияли на развитие и научные достижения грузинской школы фармакологической и микробиологической ветеринарии.

Они с особой любовью относились к научной молодежи, в их лице видели будущих ученых, заботились об их успехах и достижениях.

Увлеченные работой, влюбленные в науку, они показывали пример бескорыстного служения, ответственности и скромности.

Думаем, что при чтении этого труда создается определенное впечатление о грузинской ветеринарной школе, о двух

выдающихся ученых – Давиде Геловани и Мари Самадшвили.

Сегодня, когда переоцениваются критерии науки и человеческие достоинства, очень важно вспомнить о тех людях, которые своей жизнью и творчеством могут служить примером для настоящего и будущего поколения.

С особой теплотой и благодарностью необходимо отметить большую поддержку и личный вклад в создание и выпуск этой книги господина Заури Самадшвили.

INTRODUCTION

The following book is devoted to the life and work of two persons of merit: Doctor of veterinary science, Professor, acclaimed scientist, laureate of the state award, David Gelovani and his spouse – one of the founders of Georgian veterinary and veterinary microbiology, Professor Mary Samadashvili.

Mr. David Gelovani and Mrs. Mary Samadashvili belong to the generation of scientists, who laid down the foundation of and made a great contribution to establishing and development of veterinary as a fundamental science in Georgia. For 60 years, they faithfully and selflessly served this branch of science and devoted all of their conscious life to this cause.

With the name of Professor David Gelovani is connected establishing of the Georgian pharmacological school, compiling of the first Georgian textbooks in this sphere, beginning and development of fundamental scientific research, due to all of which he is justly considered one of the founders of veterinary pharmacological science in Georgia.

In the 1950-1960's the rapid rise of animal farming in Georgia, especially its transfer to enterprise-industrial production, demanded research of practical significance with real results. Exactly these demands predetermined selection of those scientific directions, the foundation of which was laid down by David

Gelovani. His research on compensating albumen deficiency in animal fodder had great practical result. Fodder types, produced through filtering and conserving albumen-rich animal farming remnants, based on his suggestions, brought not only enormous economic effect for agriculture, but also solved an ecological problem, which was no less important for our country. Great effect followed also the invention of the method of using toxic nitrogenous substances for fodder.

Professor Gelovani conducted lengthy and fruitful scientific work in order to work out a new method of mixing medical substances with fodder. Work conducted in this direction not only radically changed the pattern of animal feeding, care, veterinary or zoo-technical monitoring, but also laid down the basis for a new direction of veterinary pharmacology – fodder pharmacology.

Through mixing medicines with farm animal fodder, based on new original methods, it became possible to create and produce such new unique drugs, as: teramicine, antibiophagin, antipulorin, e.z.z.v-1, e.z.z.v-2. etc.

The contribution made by Professor David Gelovani into study of antibiotics is priceless. With his name is connected implementation of antibiotics therapy into veterinary practice and creation of the first production of antibiotics in Georgia.

It can be stated that the upheaval of industrial animal farming in the 1960-1980's in Georgia was greatly predetermined by the correctly chosen direction, as result of Professor Gelovani's deep scientific study and research and the significant practical results received on their basis.

No less important is the merit of Mr. David Gelovani in establishing the Institute's experimental factory of chemio-therapeutic and biological drugs, where numerous highly effective drugs were created under his supervision.

Productive pedagogical work of David Gelovani is especially worth noting. Several generations of highly qualified veterinarians were raised on his textbooks and lecture-seminars. Along with pedagogical and scientific-research activity, David Gelovani actively participated in public activities. For years, he headed the Institute's chapter of the society "Tsodna" ("Knowledge"); for years he was a member of the rank-awarding scientific Council of the Tbilisi Medical University and the Deputy Chairman of the society of pharmacologists of Georgia, he chaired the testing commission of the pharmaceutical faculty of the Tbilisi State Medical University. As an opponent during Ph. D. and Doctor dissertations he was distinguished by strict principles and objectivity. The name of Mr. David Gelovani - a scientist and pedagogue of merit, will forever remain in the history of the Zootechnical-veterinary Educational-research Institute of Georgia.

The spouse of David Gelovani, Mrs. Mary Samadashvili has made a no less significant contribution into establishment of Georgian veterinary science. With her name is connected the formation of veterinary microbiology in Georgia and implementation into veterinary practice of phagotherapy, as a progressive and effective direction of treatment.

Mary Samadashvili made a great contribution into study of infective diseases of the digestive system of cattle and singling

out the specific coly-gertner-phagy. To this problem was devoted her successful Ph. D. dissertation.

As result of scientific work, carried out under the supervision of Mary Samadashvili, was achieved full practical solution of the problem of the poultry disease – pulorosis.

As result of a lengthy and multi-stage scientific work process, there was created a drug called pulerom-bacteriophag, on the basis of which was created and introduced into production a new drug – antibiophag, the practical significance of which exceeded the borders of Georgia and its production began in all the regions of the former Soviet Union.

During the period when she was the Head of the antibiotics and mycology department, Mary Samadashvili continued scientific study and research in antibiotics therapy, mycology, study of phitoncides, etc. On the premises of the department of Mary Samadashvili and David Gelovani there was created a laboratory, producing fodder antibiotics.

Personal relations and scientific contacts of David Gelovani and Mary Samadashvili with eminent figures and coryphées of their branch of science, predetermined, to a certain extent, scientific and practical achievements of Georgian veterinary pharmacology and microbiology.

Mr. David Gelovani and Mrs. Mary Samadashvili were worthy representatives of our scientific intelligentsia. Relations with them brought great pleasure to everyone – colleagues, friends or acquaintances.

Mr. David – quiet and relaxed, Mrs. Mary – strict and demanding, were one whole. They balanced each other. Their refined sense of humour, which is especially worth noting, followed these two extraordinary persons to the end of their lives.

They had a special attitude towards young people, because they saw in them the future of our country. Thus, along with teaching scientific subjects, they systematically took care of their students becoming worthy person.

Full of kindness, warmth and love, they personally gave an apparent example of diligence, enormous responsibility, modesty and unselfishness.

Mr. Gelovani and Mrs. Samadashvili faithfully fulfilled their human responsibility not just before science, but before the country and future generations.

We think that after reading the following book, the reader will have a certain impression about, on one hand, development of veterinary science and veterinary pharmacology in Georgia and, on the other hand, about the significance of work of these two great scientists.

Nowadays, when certain values are being reassessed, it is more necessary than ever to show and remember the merit of those persons, whose life and work should become an example to be followed by the future generation.

With a sense of special gratitude, we would like to mention Mr. Zaur Samadashvili for his assistance in such a patriotic cause, as the publishing of this book.

შესავალი

ვეტერინარია არის მეცნიერებათა სისტემა, რომელიც შეისწავლის ცხოველთა დაავადებებს, ამ დაავადებათა თავიდან აცილებისა და მკურნალობის მეთოდებს, პროდუქტიულობის გადიდების საკითხებს და შეიმუშავებს ადამიანის ღაცვის ღონისძიებებს ცხოველისა და ადამიანისათვის საერთო დაავადებებისაგან. გერმინი „ვეტერინარია“ გულისხმობს, ასევე, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ღონისძიებათა კომპლექსს, რაც მიმართულია ცხოველთა ჯანმრთელობის შენარჩუნების, ადამიანისა და ცხოველისათვის დამახასიათებელ დაავადებათა თავიდან აცილებისაკენ. ვეტერინარია, როგორც მეცნიერებათა სისტემა, აერთიანებს ნორმალურ და პათოლოგიურ ანატომიასა და ფიზიოლოგიას, ჰისტოლოგიას, მიკრობიოლოგიას, ვირუსოლოგიას, პარაზიტოლოგიას, კლინიკურ დიაგნოსტიკას, სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა შინაგან არაგადამდებ დაავადებათა კერძო პათოლოგიას და თერაპიას, ფარმაკოლოგიას, გოქსიკოლოგიას, ქირურგიას, მეანგინეკოლოგიას, ზოოჰიგიენას, ეპიზოტოლოგიას, ვეტსან-ექსპერტიზას, ვეტსანიგარიას და სხვ.

ცხოველთა მკურნალობის ელემენტები მათი მოშინაურების პარალელურად ჩაისახა. ამ საქმიანობას ძველ

ხალხებში, ძირითადად, მწყემსები, ეგვიპტესა და ინლოეთში კი ქურუმები მისდევდნენ. ვეგერიანარია განსაკუთრებით იმ ქვეყნებში სარგებლობდა დიდი პოპულარობით, სადაც ცხოველებს საკულტო მნიშვნელობა ენიჭებოდათ. პირველი ცნობები ცხოველთა დაავადებისა და მათი მკურნალობის შესახებ ძვ.წ-ის IV ათასწლეულს განეკუთვნება. კაპუნის (ეგვიპტე) პაპირუსში არა მარტო აღწერილია ცხოველთა ზოგიერთი დაავადება, არამედ მითითებულია ის ჰიგიენური ღონისძიებანი და დაავადებათა მკურნალობის მეთოდები, რომლებსაც ეს უძველესი ხალხები მიმართავდნენ. ძვ.წ-ის XXI ს-ით დათარიღებულ ბაბილონის მეფის ჰამურაპის კანონთა კრებულში გვხვდება საგანგებო მუხლი, რომლის მიხედვითაც მკაცრად არის განსაზღვრული ცხოველთა მკურნალისათვის განკუთვნილი გასამრჯელო, სამაგიეროდ, იქვე არსებობს პუნქტი, რომელიც მიუთითებს არაკეთილსინდისიერი და წარუმატებელი მკურნალის სადამსჯელო ღონისძიებებზე. ცხადია, სამკურნალო საშუალებებად იმხანად სხვადასხვა ბალახოვანი მცენარე გამოიყენებოდა.

მოგვიანებით ვეგერიანარიის განვითარებაში დიდი წვლილი შეიგანა გამოჩენილმა ბერძენმა მკურნალმა ჰიპოკრატემ. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა შედარებითი ანატომიის შესწავლას, რის შედეგადაც შეძლო, აღეწერა ცხოველთა ზოგიერთი დაავადება. ძვ.წ-ის III საუკუნეში არისტოტელემ ცხოველთა დაავადების კლასიფიკაციაც კი შეიმუშავა, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ ანტიკურ საბერძნეთში უკვე იცნობდნენ ცხოველთა

ზოგიერთ ინჟექციურ დაავადებას. შესაბამისად, სპეციალისტებს, რომლებსაც ამ სფეროში მოღვაწეობდნენ, პიპიაგრები ეწოდებოდათ (იპპოც - ცხენი, იაგროც — ექიმი), რაც სწორედ ვეგერინარ-ექიმს გულისხმობდა. ამ უკანასკნელთა ნაშრომები ძე.წ-ის X საუკუნეში გაერთიანდა საერთო სათაურით „პიპიაგრიკა“, რომელიც წარმოადგენდა 420 სტატიისგან შემდგარ კრებულს ვეგერინარიის საკითხების შესახებ.

საინტერესოა, რომ გერმინი „ვეგერინარიუსი“ პირველად რომაელი აგრონომისა და მეცნიერის კოლუმელას (ახ.წ. I ს.) ლიგერაგურულ შრომებში გვხვდება. იმ პერიოდში რომში უკვე არსებობდა ვეგერინართა განსაკუთრებული წოდება, რომაულ არმიაში კი მოწყობილი იყო საგანგებო ვეგერინარული ლაზარეთები დაავადებული და დაჭრილი ცხოველების სამკურნალოდ. რომის იმპერიის დაცემის შემდგომ შუასაუკუნეების ეპოქის მიწურულამდე ცხოველების მკურნალობას, ძირითადად, მჭედლები, მწყემსები და ექიმბაშები მისდევდნენ, შესაბამისად, იმ პერიოდის ვეგერინალური ლიგერაგურა საკმაოდ მწირი იყო. ამ მხრივ გამონაკლისს არაბები წარმოადგენდნენ, რომლებიც ოდითგანვე ცხენების მოშენებით იყვნენ დაკავებული, ამიტომ მათ მკურნალობასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. არაბულ ენაზე ითარგმნებოდა კოლუმელასა და სხვა ავტორთა ნაშრომები, მზადდებოდა ვეგერინარული კადრები, ფართოდ გამოიყენებოდა ქირურგიული მეთოდები, შეისწავლებოდა ცხოველთა სასუნთქი გზებისა და ნერვული დაავადებები.

დასაუფლოთ ევროპაში სასაქონლო მეცხოველეობის განვითარებასთან ერთად აქტუალური გახდა ვეგსპეციალისტების მომზადება. 1761 წელს ფრანგმა შტალმაისგერმა ბურჟუაზიამ ქალაქ ლიონში პირველი უმაღლესი სავეტერინარო სკოლა დააარსა. XIX საუკუნის დასაწყისიდან განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა პროდუქტიული ცხოველების პათოლოგიისა და სხვადასხვა გადამდები დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შემუშავებას. 1863 წელს ჰამბურგში ჩატარდა პირველი საერთაშორისო ვეტკონგრესი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვეტერინარიის განვითარებისა და საერთაშორისო მასშტაბით ვეგსპეციალისტების გაერთიანებისათვის. აღსანიშნავია, რომ იმ პერიოდში უკვე არსებობდა ლუი პასტერის ნაშრომები, რომლებმაც დიდი გავლენა იქონიეს მეცნიერების ამ დარგის განვითარებაზე. მოგვიანებით, მიკრობიოლოგიის სფეროში გაკეთებული აღმოჩენების შედეგად, შესაძლებელი გახდა ცხოველთა ზოგიერთი ინფექციური დაავადების გამომწვევითა დადგენა, იმუნიტეტის, პროფილაქტიკისა და თერაპიის საკითხთა შემუშავება.

რუსეთში ცხოველთა მკურნალობის შესახებ პირველი ცნობები ძველ ხელნაწერებში გვხვდება, რომლებზე დაყრდნობითაც ირკვევა, რომ ამ საქმიანობას, ძირითადად, „კონოვალები“ (ცხენების მკურნალები) მისდევდნენ. განსაკუთრებული წვლილი ვეტერინარიის დარგის განვითარებაში მიუძღვის პეტრე I-ს, რომელიც ვეტერინარიას „კეთილშობილურ მეცნიერებად“ მიიჩნევდა და საგანგებო ბრძანებულებებსაც კი გამოსცემდა მეცნიერების

ამ დარგში სპეციალისტთა მომზადების ღონისძიებათა განხორციელების შესახებ. 1733 წელს რუსეთში, მოსკოვის მახლობლად, გაიხსნა ვეგერინარული სკოლა – პანსიონაგი და დაარსდა პირველი „ვეგერინარული აფთიაქი“, ხოლო 1764 წელს, მთაყრობის სპეციალური დადგენილების თანახმად, შემუშავდა დაავადებული ცხოველების მკურნალობის საგანგებო ღონისძიებანი, რომელიც ითვალისწინებდა დაავადებული ცხოველის ჯანმრთელისაგან იზოლაციას, დეზინფექციის ჩატარებას, დიეტური საშუალებების გამოყენებას. მე-19 საუკუნეში შემუშავდა ცხოველთა სხვადასხვა დაავადებების იმუნიტეტის, პროფილაქტიკის, თერაპიის ღონისძიებანი, მიკრობიოლოგიის დარგში კი დაავადების სხვადასხვა გამომწვევის გამოვლენის საკითხები. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, ვეგერინარია, როგორც ფუნდამენტური მეცნიერება, რუსეთში, პრაქტიკულად, მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ჩამოყალიბდა. საქართველოში კი, რომელიც იმხანად რუსეთის გუბერნიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო, ეს დარგი ძალზე სუსტად იყო განვითარებული.

თუ თვალს გადავაგვლებთ ჩვენს ქვეყანაში ვეგერინარიის განვითარების შესახებ არსებულ ისტორიულ მონაცემებს, ცხადი გახდება, რომ ქართველები უძველესი დროიდან ეუფლებოდნენ და სრულყოფდნენ ცოდნა-გამოცდილებას ცხოველთა მკურნალობისა და მოვლა-პატრონობის საქმეში. ყველაზე ადრე ჩვენს შორეულ წინაპრებს მოუშინაურებიათ ძაღლი, შემდეგ ღორი, ცხვარი,

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ხოლო მოგვიანებით კი ცხენი და სხვა ცხოველები.

ვეტერინარიის განვითარების საქმეში საქართველოში გარკვეული როლი შეასრულა ქართულმა ხელნაწერებმა (კარაბადინებმა), რომლებშიც აღწერილი იყო პირუტყვისა და ფრინველთა მოვლა-პატრონობის, მოშენებისა და დაავადებათა მკურნალობის საკითხები.

ამ სფეროს განვითარებას მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ქართლის მეფემ ეახტანგ VI-მ, რომელსაც სპარსული ენიდან ქართულად უთარგმნია და შეუკრებია ვეტერინარული შრომა „ცხენის კარაბადინი“, რომლის 114 პარაგრაფში წარმოდგენილია თვალის, სასუნთქი გზების, საჭმლის მომწელებელი სისტემის, შარდ-სასქესო ორგანოების, კანის პარაზიტული, მოგიერთი ინფექციური, ინვაზიური, ქირურგიული და სხვა დაავადებები. აღსანიშნავია ისიც, რომ ნაშრომში თავდაპირველად მოკლედ არის ჩამოთვლილი დაავადების კლინიკური ნიშნები, შემდეგ კი მითითებულია სამკურნალო წამლები და მათი დამზადების წესი. „ცხენის კარაბადინში“ დაავადებათა სამკურნალოდ რეკომენდირებული რეცეპტები ადასტურებს, რომ ორნახევარი საუკუნის წინ ქართულ ვეტერინარიაში გამოიყენებოდა ისეთი სამკურნალო ნივთიერებანი, როგორცაა ქაფური, სინდიყი, ოპიუმი, გოგირდი, შაბიამანი, კუპრი და სხვა.

ვეტერინარიის განვითარების საქმეში, ასევე, დიდი წვლილი მიუძღვით მეფე გიორგი XII-ის ეაქებს – ბაგრაგ და იოანე ბატონიშვილებს. მოსკოვსა და პეტერბურგში

ცხოვრების პერიოდში ბაგრაგ ბაგონიშვილმა საკმაო დრო დაუთმო ვეგერინარიის ცალკეული საკითხების შესწავლას და 1818 წელს სტამბური წესით გამოსცა პირველი ქართული სავეგერინარო წიგნი „სამკურნალო ცხენთა და პირუტყვთა“. ამ ორიგინალური წიგნის შესადგენად ბაგონიშვილმა გამოიყენა არა მარტო ხალხურ მედიცინაში დაგროვილი გამოცდილება, არამედ ის ცოდნაც, რომელიც ამ სფეროში არსებული სხვადასხვა საუკეთესო ნაშრომიდან ამოკრიფა (მაგალითისთვის რუსეთის ვეგერინარიის ერთ-ერთი ფუძემდებლის ივანე ანდრეევსკის ნაშრომიც იკმარებს, რომელზეც თავად ბაგონიშვილი მიუთითებდა თავისი წიგნის ანდერძ-მინაწერში). გარდა ამისა, არსებობს ბაგრაგ ბაგონიშვილის მიერ შედგენილი ორი ხელნაწერი, რომელიც ვეგერინარულ რეცეპტურას წარმოადგენს.

მეტად მნიშვნელოვანია ის ღვაწლი, რაც ვეგერინარიის განვითარებაში ბაგრაგის უფროსმა ძმამ, იოანე ბაგონიშვილმა გასწია. მას უმუშავია ცხენის დააეადებათა მკურნალობის საკითხებზე, რაც 27 პარაგრაფის სახით შესულა იოანე ოსესძის მიერ შედგენილ ცხენის კარაბადინში. ამ ვრცელ ნაშრომში განხილულია როგორც ზოოტექნიკური, ისე საკუთრივ ვეგერინარიის ზოგიერთი პრობლემა და დააეადებათა სამკურნალოდ აუცილებელი სხვადასხვა სამკურნალო საშუალებანი.

უდავოა, რომ აღნიშნულ ხელნაწერებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული ვეგერინარიის განვითარებაში. ბემოთდასახელებული ხელნაწერების პირველი მკვლევარი იყო გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ლევან

ლეონიძე, რომლის თაოსნობითაც 1930 წელს საქართველოს ექსპერიმენტული ვეგერინარიის ინსტიტუტის პერიოდული ორგანოს, „ვეგერინარული მოამბის“ პირველ ნომერში (რომელიც ამ ინსტიტუტის შრომათა პირველი კრებულია) თავისივე რედაქციით გამოაქვეყნა „ცხენთა კარაბადინის“ ერთი ნაწილი.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდა ვეგერინარული სამსახურის რუსული სისტემა, აიკრძალა ქართველ ექიმთა მოღვაწეობა, თუმცა ხალხში მაინც დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქართული ხალხური მედიცინის გამოცდილება.

ამიერკავკასიაში (შესაბამისად, საქართველოშიც) არ არსებობდა არავითარი ვეგერინალური ორგანიზაცია იმ დრომდე, სანამ არ გავრცელდა 1879 წლის 3 ივნისის კანონი შაჰი ჭირით ავადმყოფი და დაავადებაზე საეჭვო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სავალდებულო წესით დაკვლის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ 1874 წელს ამიერკავკასიისათვის დამტკიცდა 14 ვეგერინარი ექიმისა და 20 ვეტერინარული შტატი, 1877 წლისთვის საქართველოში მხოლოდ 4 ვეტერინარი მუშაობდა, მათ შორის 3 თბილისისა და 1 ქუთაისის გუბერნიებში. იმ დროისათვის პრაქტიკულად არ არსებობდა სავეგერინარო-სამკურნალო საქმე, საქართველოს ტერიტორიაზე არ იყო არცერთი სამკურნალო დაწესებულება, რომელიც სავეგერინარო და სანიტარულ ზედამხედველობას განახორციელებდა.

ამ საქმიანობას კავკასიაში ხელმძღვანელობდა სამოქალაქო უწყების სამედიცინო ნაწილის სამმართველო,

რომელმაც 1899-დან 1917 წლამდე იარსება, მაგრამ მის არსებობას ვეგერინარიის ორგანიზაციისა და განვითარებისათვის პრაქტიკულად არავითარი კვალი არ დაუმჩნევია.

რუსეთის იმპერიაში 1917 წლამდე მხოლოდ 4 უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა. 1907-12 წლებში თბილისის გუბერნიას მხოლოდ ერთი ექიმი ემსახურებოდა, ასევე იყო ქუთაისის გუბერნიაშიც. 1917 წელს კავკასიის სამოგადოების წინაშე დაისვა საკითხი საქართველოში ვეგერინარული ინსტიტუტის გახსნის, ან იურიევის ვეგერინარული ინსტიტუტის თბილისში გადმოგანის შესახებ, რაც ვერ განხორციელდა.

1919 წელს ცნობილი სამხედრო ვეგერინარის, პოლკოვნიკ კოტე ფარეიშვილის თაოსნობით გაიხსნა პირველი ქართული სამხედრო-სავეტერშლო სკოლა.

1921 წელს საქართველოს სახალხო კომისარიატის ვეგერინარულმა განყოფილებამ წამოაყენა მოთხოვნა თბილისის უნივერსიტეტში ვეგერინარული ფაკულტეტის გახსნის შესახებ, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. 1921 წლიდან თბილისის უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე ისწავლებოდა მოოტექნიკისა და ვეგერინარული მეცნიერების საგნები, რომელთა წარმართვას ხელმძღვანელობდნენ მედიკოსი პროფესორები – დ.აგლაძე და მ.ფარცვანიძე.

1928 წელს კ.ფარეიშვილის ინიციატივით თბილისში გაიხსნა ვეგერინარული გექნიკუმი, რომელმაც 1934 წელს უკვე 250 ვეტერშალი გამოუშვა, რომელთაც მნიშვნე-

ლოვანი როლი შეასრულეს იმ დროს გამძვინვარებულ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ინფექციურ (ჭირი, ქოთაო, ფილგვების მმუსრაფი ანთება, ციმბირული წყლული) და სხვა დაავადებათა ლიკვიდაციის საქმეში. მაგრამ ქვეყანაში შექმნილი ვითარება მაღალკვალიფიციურ, უმაღლესი განათლების მქონე ვეტერინარებს საჭიროებდა.

1929 წელს საქართველოში დაარსდა ექსპერიმენტული ვეტერინარიის სახელმწიფო ინსტიტუტი, რომელშიც მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მიმდინარეობდა და არა პრაქტიკოსი სპეციალისტების მომზადება.

1930 წელს თბილისის უნივერსიტეტს გამოეყო აგრონომიული ფაკულტეტი და დამოუკიდებელ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტად ჩამოყალიბდა.

1932 წელს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზოოტექნიკური ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა თბილისის ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტი.

ინსტიტუტის პირველი რექტორი იყო საქართველოში ამ დარგის განვითარების დიდი ენთუზიასტი და ორგანიზატორი, მეტად განათლებული და მრავალმხრივი პიროვნება ბატონი სეონ თოხაძე. მის გვერდით მოღვაწეობდნენ ვეტერინარიის, ზოოტექნიკისა და მედიცინის დარგის გამოჩენილი მეცნიერები: ლ.ლეონიძე, მ.ფარცვანიძე, დახმეგელი, გამასხარაშვილი, კ.ფარეიშვილი, პ.ბურჯანაძე, პ.გეგენავა, თ.მამიაშვილი, ი.მათიკაშვილი, ი.კვესიტაძე და სხვანი.

ახლადგახსნილი ინსტიტუტი დაკომპლექტდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზოოტექნიკურ ფაკულტეტზე

მომუშავე მედიკოსებით და 1928 წელს ქერევანში გახსნილი ვეტერინარული ინსტიტუტის პირველი გამოშვების ქართველი სპეციალისტებით. ამ უკანასკნელთა რიცხვში იყო დავით მიხეილის ძე გელოვანიც, რომელმაც შემდგომში დიდი ღვაწლი დასდო როგორც ეროვნული ვეტერინარული სკოლის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეს, ასევე ამ დარგის პრაქტიკული და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის სწორად წარმართვას.



დავით ბეჟუა

ბიოგრაფია

გელოვანების გვარს დიდი ხნის ისტორია აქვს. მის ზოგიერთ საუკეთესო წარმომადგენელს ჩვენი ქვეყნის გარეთაც იცნობენ.

ცნობილია ვასტანგ VI-ის ამაღლის ერთ-ერთი წევრის, გაბრიელ გელოვანის, აგრეთვე პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართულ სტუდენტთა სათვისტომოს თავმჯდომარის, IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ვარლამ გელოვანის პოლიტიკური და სამოგადო მოღვაწეობა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლენინური პრემიის ლაურეატის, საბჭოთა კავშირის მარშლის, არჩილ გელოვანის დიდი დამსახურება და ღვაწლი.

პოეტი მირზა გელოვანი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი და რეჟისორი მიხეილ გელოვანი, ცნობილი ქართველი ბალერინა, საქართველოს სახალხო არტისტი ევგენია გელოვანი, ფერმწერი, საქართველოს დამსახურებული მხატვარი გურამ გელოვანი, იურისტი ანდრო გელოვანი, მწერალი აკაკი გელოვანი, მსახიობი გიორგი გელოვანი – აი, იმ ღირსეულ მამულიშვილთა სია, რომელიც არასრული იქნებოდა ვეგერიანარის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ დავით გელოვანის გარეშე, რომელსაც ეძღვნება წინამდებარე ნარკვევი.

დავით გელოვანი დაიბადა 1908 წლის 18 სექტემბერს ქუთაისში, რკინიგზელის ოჯახში. მან დაწყებითი განათლება განჯაში მიიღო, სადაც იმხანად მამამისი მუშაობდა. 1918 წელს დ. გელოვანი ოჯახთან ერთად ქუთაისში დაბრუნდა და სწავლა განაგრძო რეალურ სასწავლებელში, შემდეგ კი კლასიკურ გიმნაზიაში, რომელიც 1925 წელს დაამთავრა. 1928 წელს დ. გელოვანი თბილისში ჩამოვიდა. ამ წლების გახსენებისას ბატონი დავითი მაღლიერების გრძნობით იხსენებს თავის კეთილ მეგობარს, ცნობილ სპეციალისტსა და დიდებულ პიროვნებას ვასო ლეკვეიშვილს, რომელმაც თურმე მიაწოდა ერევანში, ახლადგახსნილ ამიერკავკასიის სავეტერინარო ინსტიტუტში სასწავლებლად გამგზავრების იდეა.

ვლექვეიშვილმა და დ.გელოვანმა რჩევისა და დახმარებისათვის მიმართეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სავეტერინარო სამმართველოს უფროსს, საქართველოში ამ დარგის ცნობილ მესვეურს დავით ახმეტელს (საუბარია სანდრო ახმეტელის ძმაზე). ამ უკანასკნელმა მხარი დაუჭირა ახალგაზრდების წამოწყებას და ურჩია, ერევანში გასამგზავრებელი თანხის მოსაპოვებლად სოციალური დახმარების კომისარიატისათვის მიემართათ.

ბატონი დავითი ხშირად ამბობდა, რომ კეთილი ადამიანების დახმარების გარეშე ნამდვილად ვერ შეძლებდა ერევანში გამგზავრებას და სწავლის გაგრძელებას.

მომავალი მეცნიერი დიდი გულმოდგინებით შეუდგა არჩეული სპეციალობის დაუფლებას და თავი გამოიჩინა, როგორც ბეჯითმა და ნიჭიერმა სტუდენტმა.

„ინსტიტუტში სწავლის პერიოდში“, – იხსენებს ბატონი დავითი, – „მშობლებისთვის არასოდეს მითხოვია მაგერიალური დახმარება, ვცხოვრობდი მხოლოდ სტიპენდიით, თუმცა ერთხელ მაინც გაეხდი იძულებული, მათთვის საბნის გამოგზავნა მეთხოვა, რადგან სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში საშინლად ციოდა. მართლაც, გარკვეული დროის შემდეგ, საქართველოდან იმერულ ყაიდაზე შექერილი, ახალი, ლამაზი საბანი მივიღე, თუმცა ეს ფაქტი ინსტიტუტის ხელმძღვანელობისათვის გახდა ცნობილი და მაშინვე სტიპენდია მომიხსნეს. დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში მეგობრების ხარჯზე ვცხოვრობდი. ამგვარი შემთხვევები იმ დროს საკმაოდ ხშირი იყო: ცხონებულ პავლე შარაშენიძეს როგორც კი კოვერკოტის კოსტუმში გამოწყობილს დაინახავდნენ, არ დააყოვნებდნენ და სტიპენდიას მოუხსნიდნენ; სტუდენტ ქალებს კი, როგორც წესი, აკრძალული ჰქონდათ კოსმეტიკის ხმარება. აი, ასეთ პირობებში ვცხოვრობდით მაშინ...“

1931 წელს დავით გელოვანმა 30 ქართველ ახალგაზრდასთან – ვასო ლეკვეიშვილთან, მიხეილ სხილაძესთან, გიმოთე კობახიძესთან, ალფეზ თაოიძესთან, სანდრო ქუშაშვილთან, დიმიტრი ჩოხელთან და სხვებთან ერთად წარჩინებით დაამთავრა ერევნის ვეგერინარული ინსტიტუტი (მათი კურსი ამ უმაღლესი სასწავლებლის პირველი გამოშვება იყო) და მიიღო ვეგერინარი ექიმის კვალიფიკაცია ეპიზოოტოლოგიის განხრით.

ინსტიტუტის დამთარების შემდეგ დავით გელოვანი მუშაობდა ხარაგაულის, ხოლო შემდეგ – წყალტუბოს

რაიონის ვეგეტიმად. 1932 წელს იგი საეალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს: მსახურობდა თბილისში, პირველ ქართულ საარტილერიო ლეგიონში, ჯერ რიგით მებრძოლად, ხოლო შემდეგ – ვეგერინარ ექიმად; აქტიურად მონაწილეობდა ლეგიონთან არსებული სპეციალური კურსების სასწავლო პროცესში. დავით გელოვანის საქმისადმი ერთგულება, შრომისმოყვარეობა და პედაგოგიური საქმიანობისადმი სწრაფვა შეუმჩნეველი არ დარჩენია დივიზიის მთავარ ვეგერინარს, საქართველოში სავეგერინარო განათლების ერთ-ერთ ფუძემდებელს კოტე ფარეიშვილს, რომელიც თბილისის სავეგერინარო ტექნიკუმის სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობდა. მან შესთავაზა დავით გელოვანს, დემობილიზაციის შემდეგ ტექნიკუმში პედაგოგად დაეწყო მუშაობა, რასაც ბატონი დავითი სიამოვნებით დათანხმდა. 1933 წლიდან იგი ტექნიკუმში ასწავლიდა მიკრობიოლოგიას, პათოფიზიოლოგიას და პათანატომიას. შემდგომ, ამის პარალელურად, დავით გელოვანი ხელმძღვანელობდა საბრძოლო მომწამლავ ნივთიერებათა ტოქსიკოლოგიის ლაბორატორიას ექსპერიმენტული ვეგერინარიის საკავშირო ინსტიტუტის საცდელ სადგურში, საიდანაც კვალიფიკაციის ასამაღლებლად გაგზავნეს მოსკოვში, ექსპერიმენტული ვეგერინარიის საკავშირო ინსტიტუტის ტოქსიკოლოგიურ ლაბორატორიაში.

ეს ის პერიოდი იყო, როდესაც საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელი გახდა უმაღლესი განათლების მქონე ვეგერინარი სპეციალის-

ტების მომზადება, რამაც განაპირობა 1932 წელს თბილისში სავეტერინარო ინსტიტუტის დაარსება.

1934 წელს ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ფარმაკოლოგიისა და ტოქსიკოლოგიის კათედრა, სადაც ამ ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებლისა და მისი პირველი რექტორის, სეონ თოხაძის მიწვევით დავით გელოვანმა ასისტენტად დაიწყო მუშაობა. იმხანად ვეტერინარ-ფარმაკოლოგთა კადრების არარსებობის გამო კათედრას ჯერ მედიკოსი ივანე მოსაშვილი ხელმძღვანელობდა, შემდგომ – ვლადიმერ გიორგაძე (ასევე მედიკოსი). დავით გელოვანს მიჰყავდა ტოქსიკოლოგიის კურსი და ატარებდა პრაქტიკულ მეცადინეობებს ფარმაკოლოგიაში. 1938 წლიდან იგი კათედრის მთლიან განაკვეთზე აიყვანეს.

1940 წელს დავით გელოვანი საკვალიფიკაციო თემის დასამუშაველად ლენინგრადის სავეტერინარო ინსტიტუტში მიაღწინეს, სადაც ფარმაკოლოგიის კათედრის გამგის, პროფესორ ი.კუმნეცოვის ხელმძღვანელობით მუშაობდა თემამე „სალსოლინის და სალსოლადინის შედარებითი ფარმაკოლოგია“.

1941 წელს დაწყებულმა დიდმა სამამულო ომმა და ლენინგრადში შექმნილმა ვითარებამ დავით გელოვანს ხელი შეუშალეს დაწყებული მეცნიერული მუშაობის გაგრძელებაში. იგი იძულებული გახდა, თბილისში დაბრუნებულიყო და ჩვეული სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობისთვის მოეკიდა ხელი.

1942 წლის 8 დეკემბერს დ.გელოვანმა ერევნის ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სპეციალიზებული საბჭოს

სხლომაზე (თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ფარმაკოლოგიის კათედრის გამგის, პროფესორ გრიგოლ გვიშიანის ხელმძღვანელობით) წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. მალე იგი კათედრის დოცენტად, ხოლო 1947 წელს კათედრის გამგედ აირჩიეს.

1949 წელს დავით გელოვანი ჩაირიცხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ფიზიოლოგიის საკავშირო სამეცნიერო ინსტიტუტის დოქტორანტურაში, რომელსაც იმ დროს ი.ჯავახიშვილის მოსწავლე და მისი იდეების გამგრძელებელი, აკადემიკოსი ლეონ ორბელი ხელმძღვანელობდა. აქ სადოქტორო დისერტაციაზე („სოკო კლავიცეპს პასპალის სკლეროციების გოქსიკოლოგიური დახასიათება“) მუშაობისას დ.გელოვანს კონსულტაციას უწევდა აკადემიკოსი ი.კუზნეცოვი.

საკითხი, რომელზეც დავით გელოვანი მუშაობდა, უკიდურესად აქტუალური იყო, რადგან 1942 წელს დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონში თავი იჩინა პირუტყვის საშიშმა დაავადებამ – „ბანდალამ“, რომელიც დიდ ზიანს აყენებდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობას, მისი წარმოშობის მიზეზი კი წლების განმავლობაში დაუდგენელი რჩებოდა, რაც ართულებდა პირუტყვის ეფექტურ მკურნალობას. ამ უდიდესი პრობლემის გადაწყვეტაში მეცნიერების ისეთ კორიფებთან ერთად, როგორებიც იყვნენ ნიკო კეცხოველი, ლევან ყანჩაველი, ივანე კვესიგაძე, სერგო ერქომაიშვილი, ჰეტრე გეგენავა, ნიკოლოზ პრეობრაჟენსკი, ნინა სპესივეცევა, ჰეტრე მალრაძე და სხვ. დავით

გელოვანიც მონაწილეობდა. ამ ჯგუფის მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ დაავადების გამომწვევეს წარმოადგენდა მცენარე ლაკარტიაზე განვითარებული სოკოს გოქსინი. აღნიშნულ აღმოჩენას ეპიზოტოლოგიის განვითარებაში უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა.

1951 წლის 17 ნოემბერს ლენინგრადის საეცეტერინარო ინსტიტუტში დავით გელოვანმა წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „სოკო კლავიციუს პას-პალის სკლეროციების გოქსიკოლოგიური და ფარმაკოლოგიური დახასიათება“. ამ ფაქტს დღესაც დიდი სიამაყით იხსენებენ საქართველოდან იმ დროს ლენინგრადში წარგზავნილი ქართველი ასპირანტები (ამჟამად უკვე აკადემიკოსი გუგული გოდერძიშვილი, პროფესორები – დავით ვარდოსანიძე და ალექსანდრე შეყილაძე). ერთი წლის შემდეგ, 1952 წელს, დავით გელოვანს პროფესორის წოდება მიენიჭა.

სამეცნიერო მოღვაწეობა

დავით გელოვანი იმ მკვლევართა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც თავიანთი მეცნიერული მოღვაწეობის პრაქტიკული შედეგები სიცოცხლეშივე იხილეს, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ადვილი არ იყო. ამას მეცნიერის დიდი ძალისხმევა, ორგანიზატორული ნიჭი და ავტორიტეტი დასჭირდა.

დ.გელოვანს არასოდეს აკმაყოფილებდა პრობლემის ნაწილობრივი, მხოლოდ თეორიული ან პრაქტიკული შესწავლა. მისი სამეცნიერო-პრაქტიკული მოღვაწეობა ყოველთვის გამოირჩეოდა პრობლემის ღრმა ანალიზით, მკაფიოდ დასახული ამოცანებით და მიზნებით, მაღალაკადემიურობით, ეკონომიკური და სამეურნეო მაჩვენებლების მუსტი გაანგარიშებით, მიღებული შედეგების პრაქტიკაში სწრაფი და ეფექტური დანერგვით.

პროფესორ გელოვანის მრავალწლიან მოღვაწეობაში იმდენად მჭიდროდაა გადაჯაჭვული მეცნიერული და პრაქტიკული მოღვაწეობა, რომ ჭირს კიდევ იმის გარკვევა, წმინდა აკადემიურ კვლევას მოჰყვა პრაქტიკული შედეგები თუ უშუალოდ რომელიმე სამეურნეო პრობლემის გადაწყვეტის მცდელობას – სამეცნიერო კვლევა-ძიება.

ამ ასპექტით გვინდა წარმოვაჩინოთ ის ძირითადი მიმართულებები, რომელთაც ქართული ვეგეტარული ფარმაცოლოგიის მამამთავარმა, დავით გელოვანმა ჩაუყარა საფუძველი.

1. საკვებში ცილის დეფიციტის უფსკაპის გზები

მე-20 საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს საქართველოს მთავრობამ მიზნად დაისახა მოსახლეობის მომარაგება სამამულე წარმოების ხორციით და მეცხოველეობის პროდუქტებით, რაც, ბუნებრივია, მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მრდასთან იყო დაკავშირებული.

ამ ამოცანის გადაწყვეტა მოითხოვდა ინდუსტრიული სამრეწველო მეცხოველეობისათვის საჭირო საკვები ბაზის შექმნას, პირუტყვის რაციონალურ კვებას და საკვები საშუალებების ეფექტურ გამოყენებას.

ცნობილია, რომ პირუტყვის წონაში მაგება, ძირითადად, სრულფასოვანი საკვებითაა განპირობებული. იგი მდიდარი უნდა იყოს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, პირველ ყოვლისა, ცილებით. ინტენსიური მეცხოველეობის პირობებში კი ცილის დეფიციტი საკვებ ბალანსში 15-დან 25%-მდე აღწევს, რაც იწვევს მეცხოველეობის პროდუქტების დანაკარგს 30-35%-ით, მრდის პროდუქციის თვითღირებულებას, ასევე საკვების დანახარჯს 50%-ით წონის ერთეულის მაგებაზე და აქვეითებს ორგანიზმის

რემისგენგობას, რაც დაავადებათა გავრცელებისა და პირუტყვის სიკვდილიანობის მაგების საწინდარია.

დავით გელოვანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პირუტყვის რაციონში ცილის ლეფიცის შევსების პრობლემას და ღირსეული წვლილი შეიტანა კიდეც მის გადაჭრაში. მრავალი წლის მეცნიერული კვლევის შედეგად მან შეიმუშავა და პრაქტიკაში დანერგა ცილის ლეფიცის შევსების 4 ახალი, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მეთოდი, რომელსაც უზარმაზარი ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტი მოჰყვა.

აღნიშნული ოთხი მეთოდიდან პირველი სამი ცილით მდიდარი მეცხოველეობის ნარჩენი პროდუქტების გაუვნებლობას, კონსერვაციას და საკვებად გამოყენებას ეხებოდა, მეოთხე კი – სინთეზურ-ამოტოვანი ნივთიერებებით მცოსნავი პირუტყვის კვებას.

ცხოველური წარმოშობის ცილები შეუსვლელი ამინომჟავების, ვიგამინების, მიკრო და მაკროელემენტების გარდა შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც განსაკუთრებით უწყობს ხელს ფრინველის ზრდასა და გამრავლებას. ამასთან, ცხოველური წარმოშობის ცილების მონელება და შეწოვა, სხვა წარმოშობის ცილებთან შედარებით, გაცილებით იოლია. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ 50-იანი წლების ბოლოს ცხოველური წარმოშობის ცილის რესურსები საკმაოდ შეზღუდული და ძვირადღირებული იყო, მათი საკვებად გამოყენება კი – არარენტაბელური. ამდენად, საკვები ცილის მიკრობიოლოგიური თუ სხვა მეთოდებით მიღების

პარალელურად გრძელდებოდა საკვებად ვარგისი ცხოველური ცილების ახალი რეზერვების ძიება, შესწავლა და პრაქტიკაში დანერგვა.

ცხოველური ცილების ერთ-ერთ რეზერვს წარმოადგენდა მეცხოველეობის პროდუქციის გადამუშავების ნარჩენები, რომლებიც საუტილიზაციო მოწყობილობებისა და ჯეროვანი მეთოდების უქონლობის გამო გამოუყენებელი რჩებოდა. დავით გელოვანმა განსაკუთრებული ყურადღება სწორედ ამ ფაქტს მიაქცია. იგი ხშირად ამბობდა: „ცილა ღეთის მადლია, მისი განიავება-გადაყრის უფლება, რა ფორმითაც არ უნდა იყოს იგი, არავის არა აქვს“-ო. მის მიერ დამუშავებული სამი მეთოდი სწორედ ამ სიტყვების დადასტურება გახლავით.

2. მკვლარი ფრინველის გასტერილიზაცია და მისი საკვებად გამოყენების მეთოდი

50-იანი წლების ბოლოს საქართველოს მეფრინველეობის განვითარებაში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა. იზრდებოდა როგორც ფრინველის რაოდენობა, ასევე მეფრინველეობის ფაბრიკები, ფერმები და სხვ. ფრინველის რაოდენობის ზრდასთან ერთად, ცხადია, მაგულობდა მისი სიკვდილიანობის მაჩვენებელიც. მკვლარი ფრინველის უტილიზაცია სერიოზულ პრობლემად იქცა: არ არსებობდა საუტილიზაციო და ხორც-ძელის ფქვილის მწარმოებელი ქარხნები. იქმნებოდა გარემოს დაბინძურების და ინფექციური დაავადებების გავრცელების მძლავრი კერა. დაცემული ფრინველის გაუვნებლების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევდა.

დავით გელოვანი ჩვეული გულისყურით მოეკიდა ამ პრობლემას. მან გადაწყვიტა სამრეწველო ნარჩენების გადამუშავება და შემდგომში ცხოველთა საკვებად მათი გამოყენება, რადგან გადამუშავებული სამრეწველო ნარჩენები ცილის შემცველ იაფფასიან და ყუათიან საკვებს წარმოადგენდა.

1958 წელს დ.გელოვანის ხელმძღვანელობით დამუშავდა მკედარი ფრინველის გასტერილებისა და მისი საკვებად გამოყენების მეთოდი, რისთვისაც ინსტიტუტში (ვეტერინარიის დარგში) პირველი რაციონალიზატორული მოწმობა იქნა მიღებული.

აღნიშნული მეთოდი პირველად დაინერგა თბილისის საინკუბაციო სადგურში, თბილისისა და გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკებში, რასაც დიდი ეკონომიკური ეფექტი და სანიტარული მნიშვნელობა ჰქონდა. რაც მთავარია, საფუძველი ჩაეყარა მომავალში სამრეწველო ანარჩენების სწორად და მაქსიმალური ეფექტიანობით გამოყენებას. ერთდროულად გადაიჭრა ორი პრობლემა: ცილის ლეფიციტისა და გარემოს დაბინძურების.

3. ხორცკომბინატების ნარჩენების კომპლექსური კონსერვაციისა და მათი საკვებად გამოყენების მეთოდი

ანალოგიური პრობლემები ხორცკომბინატებშიც არსებობდა: გროვდებოდა და გამოუყენებელი რჩებოდა დიდძალი სამრეწველო ანარჩენი – კონფისკატები (წუნდებული განხორცის, ორგანოების, სისხლის, ემბრიონებისა და სხვათა სახით). მართალია, იმ დროს მრავალი ავგორის

(ლ.გომეს, ლ.პოკარსკაიას, ა.ბელენკისა და სხვ.) მიერ იყო დამუშავებული და შემოთავაზებული ხორცკომბინატების ნარჩენების ქიმიური კონსერვაციის სხვადასხვა მეთოდი, მაგრამ ყოველი მათგანი ნაკლებად საიმედო და ტექნიკური განხორციელების თვალსაზრისით ძალზე რთული იყო. დ.გელოვანმა მიზნად დაისახა, შეემუშაებინა ზემოხსენებული ანარჩენების კონსერვაციის ახალი საიმედო და მარტივი მეთოდი, რაც სისრულეში მოიყვანა კიდევ.

დ.გელოვანის მიერ შემუშავებული მეთოდით ანარჩენები იხარშებოდა, რის შემდეგაც ხდებოდა მათი კონსერვაცია სუფრის მარილითა და გოგირდმჟავით. ასეთი პროდუქცია 6 თვეზე მეტხანს საიმედოდ ინახებოდა და ძალზე იაფიც იყო – 100 კგ. ნედლეულის კონსერვაციაზე იხარჯებოდა მხოლოდ 15 კაპიკის ღირებულების საკონსერვაციო ნივთიერებები. კონსერვანტი წარმოადგენდა ცხოველებისა და ფრინველებისათვის ცილით მდიდარ საკვებს და, როგორც ცხოველური ცილა, შეუცვლელი ამინომჟავების, ვიტამინების, მაკრო და მიკროელემენტების გარდა შეიცავდა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს. აღნიშნულ საკვებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს ცხოველისა და ფრინველის ზრდა-განვითარებისა და გამრავლების პროცესებისათვის.

დ.გელოვანისეული მეთოდის დანერგვამ მნიშვნელოვანი ეკონომიკური კონსერვაციის ეფექტი მისცა როგორც მეცხოველეობას, ისე მეფრინველეობასაც. ღორისა და ფრინველის რაციონში კონფისკატების დამატებით მათი წონამაგი გაიზარდა 15-20%-ით, რაც ცხოველთა

ვეგერინარული კეთილდღეობის უმნიშვნელოვანესი ფაქტორის – კვების ხარისხობრივი მაჩვენებლების – გაუმჯობესებით აიხსნებოდა.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით დ.გელოვანის მიერ შემუშავებული იქნა:

ა) „დროებითი მითითება საკვები კონფისკატების საამქროს ორგანიზაციის, წარმოების ტექნოლოგიის და ვეგერინარულ-სანიტარული კონტროლის შესახებ“;

ბ) „დროებითი მითითება გოგირდმქავეთ და სუფრის მარილით კონსერვირებული ხორცის კონფისკატების ფრინველისა და ღორის საკვებად გამოყენების შესახებ“.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დადგენილების თანახმად, აღნიშნული დროებითი მითითებები ხორცკომბინატებსა და ცხოველთა სასაკლაოებში დაინერგა. პირველად მათი პრაქტიკული ხორცშესხმა გაგრის ხორცკომბინატსა და მეფრინველეობის ფაბრიკაში განხორციელდა.

ამრიგად, აღნიშნული პრობლემის გადაჭრამ, გარდა დიდი ეკონომიკური ეფექტისა, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ხორცკომბინატებისა და გარემოს სანიტარულ-ჰიგიენური პირობები.

4. ბროილერის ღრმა საფენის ბასტარდიზმისა და მისი საკვებად გამოყენების მეთოდი

1970-80-იან წლებში თბილისის გარშემო ფუნქციონირებდა მეფრინველეობის რამდენიმე მსხვილი ფაბრიკა,

რომელთა ქვეშსაფენებმა და სხვა ნარჩენებმა საკმაოდ რაოდენობას მიაღწია.

მეცნიერებისათვის კარგად იყო ცნობილი, რომ ეს ანარჩენები ცილის დიდ რაოდენობას შეიცავდა, რადგან ფრინველები, მიუხედავად მათი მექანიკურ-სეკრეტორული კუჭისა, მთლიანად ვერ ითვისებენ საკვებ ნივთიერებებს და ცილის 30-35 % ფეკალურ მასებს აყოლებენ.

ამდენად, ბუნებრივია, რომ შეიქმნა ანარჩენების გადამუშავებისა და შემდგომში ცხოველთა თუ ფრინველთა საკვებად მათი გამოყენების მრავალი მეთოდი. მაგრამ ყოველი მათგანი ძვირადღირებული, არასაიმედო და ეკონომიკურად წამგებიანი აღმოჩნდა.

ამ მეგად სერიოზული საკითხით დაინტერესდა დავით გელოვანიც. მან მიზნად დაისახა, გამოეყენებინა, ერთი შეხედვით, ყოვლად უვარგისი დიდძალი ღრმა საფენი (რომელსაც ბუმბულით ძლიერი დაბინძურების გამო ნიადაგის გასამდიდრებლადაც კი ვერ ხმარობდნენ) და ცხოველებისათვის ესოდენ საჭირო დამატებითი ცილა ისე, რომ ფეკალური მასების გადამუშავებისას სხვა აუცილებელი საკვები ნივთიერებები არ დაკარგულიყო.

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში და თბილისის გარშემო არსებული მსხვილი ფაბრიკების ნარჩენები (განსაკუთრებით ბროილერის ღრმა საფენი) იმდენად დიდ რაოდენობას აღწევდა, რომ ადამიანთა და ცხოველთა ინფექციური დაავადებების აფეთქებისა და გავრცელების საშიშროებას ქმნიდა.

1982 წელს დავით გელოვანმა შეიმუშავა ბროილერის ღრმა საფენის გაუენებლებისა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის საკვებად მისი გამოყენების ახალი, სრულიად ორიგინალური მეთოდი: გასტერილებულ ღრმა საფენს ემატებოდა გექნიკური ცხიმი, ადსორბენტები, მინერალური ნივთიერებები და სხვა კომპონენტები. ასეთი საკვები შეიცავდა 22-25% ცილას, 20-25% ნელლ ცხიმს, 13-15 % უჯრედანას და 21-30% ექსპერიმენტულ ნივთიერებებს. მისი მიღება იაფი ჯდება და თანაც ადვილად გრანსპორტირებადი იყო.

ზოოვეტერინარული ინსტიტუტის სასწავლო-სამეცნიერო მუწრნეობაში ჩატარდა ცდები გადამუშავებული ბროილერის ღრმა საფენის საკვები ღირებულების დასადგენად. შედეგმა არ დააყოვნა. ის დანამატების გარეშეც კარგი საკვები აღმოჩნდა. (სუფთა სახით) მისი გამოყენების შედეგად ცხოველის რაციონიდან გამოთავისუფლდა 30% კომბინირებული საკვები, წონამაგი კი 15%-ით გაიზარდა. დადგინდა, რომ იგი წარმოადგენდა საკვების რეზერვის შევსების ერთ-ერთ მყარ, ცილებით მდიდარ წყაროს და იძლეოდა ხორცის წარმოების გაზრდის საშუალებას.

ინსტიტუტის ექსპერიმენტულ ქარხანაში მზადდებოდა ცდებისათვის საჭირო საკვები პრეპარატი. მის გამოყენებას უზარმაზარი ეკონომიკური ეფექტი ახლდა. ამასთან, აღნიშნული მეთოდის დანერგვით მაქსიმალურად შემცირდა ან თითქმის მოისპო ინფექციური, ინვაზიური და ალერგიული დაავადებების მძლავრი კერა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ვეტერინარული-სანიტარული და ჰიგიენურ-

ეკოლოგიური თვალსაზრისით. ყოველივე ამის გათვალისწინებით, 1987 წელს გაჩიანის საუტილიზაციო ქარხანასთან დ.გელოვანის ინიციატივით ბროილერის ღრმა საფენის გადამამუშავებელი საწარმო (ფაქტობრივად ცალკე ქარხანა) მოეწყო, რომელიც დღე-ღამეში 15-20 ტ, ხოლო წელიწადში 5000 ტ პროდუქციას უშვებდა.

ამრიგად, დავით გელოვანის მიერ შემუშავებული მეთოდის წყალობით:

1. გაიზარდა საკვები ბაზა;
2. 15 %-ით იმატა იაფი ხორცის წარმოებამ;
3. 25-30%-ით შემცირდა კომბინირებული საკვების ხარჯვა;
4. გარემო დაბინძურებისაგან გათავისუფლდა;
5. მეფრინველეობა თითქმის უნარჩენო მრეწველობად გადაიქცა.

5. კარბამიდის საკვებად გამოყენების მეთოდი

ბემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ცილის დეფიციტი უდიდესი პრობლემაა როგორც ცხოველთა, ასევე ადამიანთა კვების საკითხში, რამაც განსაკუთრებით იჩინა თავი სამრეწველო მეცხოველეობის პირობებში.

პროფესორმა დავით გელოვანმა ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ მცოხნავე პირუტყვი მომწელებელი სისტემის უნიკალური სტრუქტურის გამო წინაკუჭებში არაცილოვანი ნივთიერებებისაგან (მიკროორგანიზმების მეშვეობით) საკუთარი ცილების სინთეზს აწარმოებს. მეცნიერმა ორი-

გიალურად ისარგებლა მცოხნავე პირუტყვის ამ უნიკალური თვისებით და პრაქტიკაში დანერგა იმ ღროისათვის ცნობილი, მაგრამ პრაქტიკულად გამოუსადეგარი ნივთიერების, კარბამიდის (შარლოვანას) გამოყენება. კარბამიდის გამოყენება აღრეც ხდებოდა, მაგრამ საკმაოდ შეზღუდულად, ვინაიდან იგი გარკვეულ სირთულეებს უქმნიდა როგორც მომსახურე პერსონალს, ასევე ვეტერინარ სპეციალისტებს და, რაც მთავარია, ხშირი იყო ცხოველის მოწამელის შემთხვევები. დავით გელოვანმა გაითვალისწინა მსხვილი რქოსანი პირუტყვის ბუნებრივი მოთხოვნილება სუფრის მარილზე (ცხოველი იმდენ მარილს იღებს, რამდენიც ესაჭიროება) და მას იმდენი კარბამიდი შეურია, რაც საკმარისი იქნებოდა ორგანიზმის უბრუნველსაყოფად და რაც მთავარია, არ გამოიწვევდა მის მოწამელას. ცხადია, პირველ ხანებში კარბამიდის სპეციფიკური სუნისა და გემოს გამო პირუტყვი შეღარებით ნაკლებ მარილს და პრეპარატს იღებდა, ასე რომ, ფაშვის მიკროფლორა ასწრებდა მიღებული რაოდენობის კარბამიდის გადამუშავებას და მიკრობული ცილის წარმოქმნას. შემდგომში პირუტყვი ეჩვეოდა ასეთ პრეპარატს და მარილთან ერთად იზრდებოდა კარბამიდის დოზაც, რომელიც მოწამელას აღარ იწვევდა.


კარბამიდის ასეთი ფორმით გამოყენებამ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ეფექტთან ერთად სრულიად გამოირიცხა პირუტყვის მოწამელის შემთხვევები. სსრკ მინისტრთა საბჭოს გამოგონებისა და რაციონალიზაციის კომიტეტმა აღნიშნული პრეპარატი და მისი დამზადების



სოვეტურიანალი ინსტიტუტი



დავით გულუჯანი ახალგაზრდობის წლებში



Պատկերը կայնականի շքանշանի փոխանցումը:



Գրքի պատճառով օրհնակներ օրհնակի՞ր ամբողջ

1900
1901

1902
1903



1904
1905



Dr. James W. Thompson, Dr. Thompson, and Dr. Thompson



Three members of the U.S. Olympic team, including the author, at the 1964 Summer Olympics in Tokyo.



დავით გელგუანი მუშაობის პროცესში

ტექნოლოგია დაამტკიცა, როგორც გამოგონება (საავტორო უფლებით).

კარბამიდის ბრიკეტების პრაქტიკულმა გამოყენებამ თითქმის 10%-ით გაზარდა სასუქი მსხვილი რქოსანი საქონლის ხორცის გამოსაუღიანობა, მკვეთრად შეამცირა საკვების დანახარჯი პროდუქციის ერთეულზე, გააუმჯობესა ხორცის ხარისხი და სრულიად გამოირიცხა მოწამელის შემთხვევები.

6. ფენოთიაზინმარილოვანი ბრიკეტების დამზადებისა და გამოყენების ტექნოლოგია

უფრო ადრე დ.გელოვანმა (თანაავტორებთან ერთად) ანალოგიური პრინციპით შექმნა ფენოთიაზინმარილოვანი ბრიკეტი, რომელიც ეფექტურ ანტიპელმინთურ სამკურნალო და პროფილაქტიკურ საშუალებას წარმოადგენს. ცნობილია, რომ ანტიპელმინთური საშუალებები, როგორც წესი, გოქსიკურად მოქმედებდნენ არა მხოლოდ პარაზიტებზე, არამედ მის „მასპინძელზეც“ მიუხედავად იმისა, რომ ფენოთიაზინი ამ მხრივ ნაკლებად საშიში პრეპარატია, ხშირი იყო პირუტყვის მოწამელა, ვინაიდან პრეპარატი მას ეძლეოდა ჯგუფურად, საკვებთან ერთად, რის გამოც ზოგი პირუტყვი წამლის გოქსიკურ ღობას ღებულობდა. დეჰელმინთიზაცია შრომატევადი პროცესი იყო და მომსახურე პერსონალის დიდ ყურადღებას მოითხოვდა. პრეპარატის ასალ სამკურნალწამლო ფორმაში შედიოდა სუფრის მარილი და ფენოთიაზინი (ავრეთვე მიკრო და მაკროელემენტები) ისეთი შეფარდებით, რომ სუფრის

მარილზე ბუნებრივი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისას ცხოველი იღებდა ფენოთიაზინის საკმაოდ მუსგად განსაზღვრულ რაოდენობას. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ მოხდა ცხოველის მიერ პრეპარატის თვითღობირება, რის გამოც პრაქტიკულად გამოირიცხა მოწამელის შემთხვევები.

7. საკვებში მედიკამენტების შერევის ახალი მეთოდი

გასული საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში მეფრინველეობისა და მეცხოველეობის განვითარებაში ახალი ეტაპი დადგა. ამ დარგებმა ინდუსტრიულ ბაზაზე იწყეს გადასვლა, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა ფრინველის მოვლა-შენახვის, აგრეთვე მისი კვების პირობები და მეთოდები. ყოველივე მემოთქმულმა კი მოითხოვა ვეტერინარული მომსახურების, სახელდობრ, წამლეული ნივთიერებების გამოყენების ახალი მეთოდების დამუშავება, რადგან ტრადიციული მეთოდები, რომლებიც გათვალისწინებული იყო ფრინველის ინდივიდუალურ დამუშავებაზე, რთული და შრომატევადი გახდა. სამრეწველო მეფრინველეობას ესაჭიროებოდა წამლის გამოყენების ისეთი მეთოდები, რომლებსაც მასობრივად და სწრაფად გამოიყენებდნენ. ამ მიზნით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმხანად მიმართავენ ფრინველის კომბინირებულ საკვებში ფარმაკოლოგიური საშუალებების მექანიკური შერევის მეთოდს. მაგრამ ამ დროს (განსაკუთრებით გრანსპორტირების შემთხვევაში) ირღვეოდა საკვებში წამლის თა-

ნაბარი განაწილების პრინციპი (მისი დიდი რაოდენობა ქვედა ფენებში ექცეოდა), ამიგომ მისი გამოყენებისას ფრინველების ნაწილი საკვებთან ერთად იღებდა წამლეული ნივთიერებების გოქსიკურ ღოზას, ხოლო ნაწილი – მის არასაკმარის რაოდენობას.

დავით გელოვანმა, თავის თანამოაზრეებთან ერთად, მიზნად დაისახა, დაემუშავებინა კომბინირებულ საკვებში წამლეულ საშუალებათა შერევის ისეთი მეთოდი, რომელიც შესაძლებელს გახდიდა საკვებში სამკურნალწამლო ნივთიერებათა თანაბარ განაწილებას.

ამ წესით პრეპარატის დამზადების ტექნოლოგიის დამუშაებისა და მისი ეფექტიანობის შესასწავლად ჩაგარდა ფართომასშტაბიანი ექსპერიმენტები როგორც ლაბორატორიულ, ისე საწარმოო პირობებში. საჭირო გახდა გამხსნელის, გემპერატორული რეჟიმისა და მრავალი სხვა ფაქტორის შერჩევა-გათვალისწინება, რათა არ მომხდარიყო წამლებისა თუ სხვა კომპონენტების დაშლა და რომ საკვების თითოეულ მარცვალში ყველაფერი თანაბრად განაწილებულიყო. ამ მიმართულებას საფუძველი ჯერ კიდევ 60-იან წლებში ჩაეყარა, როდესაც დავით გელოვანის ხელმძღვანელობით დაიწყო საკვები გერამიცინის დამზადება.

60-იან წლებში დავით გელოვანმა და მარი სამადაშვილმა შექმნეს პულოროზის საწინააღმდეგო პრეპარატი ანტიბიოფაგი. მის დასამზადებლად 1 გ. გერამიცინს (ან ტეტრაციკლინის ჯგუფის სხვა პრეპარატს) ემატებოდა 1 მლ. ნატიური ბაქტერიოფაგი; მზადდებოდა ხსნარი, რომლითაც

ასველებდნენ სიმინდის ღერლილს, სადაც წამალი თანაბრად ნაწილდებოდა. აღნიშნული ნამზადი წარმოადგენდა მშრალ, გრანსპორგაბელურ და მაღალეფექტურ პრეპარატს პულორომის წინააღმდეგ.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია 70-იანი წლების ბოლოს საბროილერო წიწილებისა (ე.მ.გ.ეი-1) და კვერცხისმდებელი ფრინველებისათვის (ე.მ.გ.ეი-2) ამ მეთოდით შექმნილი პრეპარატები, რომლებიც წარმოადგენდა ანტიბიოტიკების პროფილაქტიკური დოზით და ზოგიერთი სხვა ნივთიერებით გამდიდრებულ სრულფასოვან საკვებს.

აღნიშნული პრეპარატების გამოყენებამ მეფრინველეობას არნახული წარმატებები მოუტანა. პრეპარატ ე.მ.გ.ეი-1-ის პრაქტიკაში ფართოდ დანერგვის შემდეგ ფრინველის სიკვდილიანობა 4-ჯერ შემცირდა. რესპუბლიკის მასშტაბით შენარჩუნებულ იქნა დაახლოებით 0,5 მლნ ფრთა ფრინველი. მისი წონამაგი გაიზარდა 20%-ით, საკვების დანახარჯი 0,42 საკვები ერთეულით, ხოლო დაკვლის ასაკი კი 12 დღით შემცირდა.

არსებობს მონაცემები, რომელთა მიხედვითაც აღნიშნული პრეპარატის წარმოებაში დანერგვით რესპუბლიკის ეკონომიკურმა ეფექტმა წლიურად 7,4 მლნ მანეთი (4,5 მლნ დოლარი) შეადგინა, რასაც სოფლის მეურნეობისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

საკვები პრეპარატის ე.მ.გ.ეი-1-ის შექმნა, წარმოება და მრეწველობაში მისი დანერგვა სახელმწიფო პრემიით აღნიშნა.

ასეთივე დიდი შედეგი მოჰყვა პრეპარატ ე.მ.გ.ვი.-2-ის გამოყენებას.

8. ანტიბიოტიკები, მათი უსაფრთხო, წარმოება და ვეტერინარულ პრაქტიკაში გამოყენება

მე-20 საუკუნის შუახანებიდან სხვადასხვა ბაქტერიული დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით დაიწყო ანტიბაქტერიული ნივთიერებების ათვისება, რომელთა წარმოება და საქართველოს ვეტერინარიაში გამოყენება მანამდე არ ხდებოდა.

პროფესორმა დ.გელოვანმა წამოაყენა რესპუბლიკაში ანტიბიოტიკების წარმოების მოწყობის საკითხი, რასაც მხარი დაუჭირა საქართველოს კე ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პავლე კოვანოვმა, რომელიც სოფლის მეურნეობას კურირებდა. მოსკოვიდან მოწვეულ იქნა ექსპერიმენტული ვეტერინარიის საკავშირო ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ნ.ლეონოვი. გადაწყდა, ვეტერინარიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გახსნილიყო ანტიბიოტიკების შემსწავლელი ლაბორატორია. აღნიშნული ლაბორატორიის გახსნამ, რომლის გამგედ დავით გელოვანი დაინიშნა, მეცნიერთა ჯგუფს გამოკვლევების უფრო აქტიურად ჩაგარების საშუალება მისცა. რესპუბლიკაში, აგრეთვე, დაიგეგმა, თხიერი და მშრალი ანტიბიოტიკების წარმოების ორგანიზაცია კომბინირებულ საკვებში მათი ჩართვის მიზნით. დ.გელოვანის მეთოდური და მეცნიერული ხელმძღვანელობით ნავთლუღის პურპრო-

დუქტების ბაზაში აიგო მშრალი გერამიციინის დამამზადებელი სპეციალური საამქრო.

პურპროდუქტების სამინისტროს იმ ხანებში ხელმძღვანელობდა გამოცდილი და უნარიანი მუშაკი მიხეილ ნარსია, რომლის უშუალო მონაწილეობით აღნიშნული საამქრო უმოკლეს ვადაში აშენდა. საამქროს მოწყობასა და ტექნოლოგიური პროცესების ათვისებას დაეით გელოვანი ხელმძღვანელობდა. საამქროს დღედამური წარმადობა შეადგენდა ერთ ტონა მშრალ გერამიციინს, რომელიც ფრინველისა და გოჭებისათვის განკუთვნილ კომბინირებულ საკვებში ჩასართავად გამოიყენებოდა. ამის პარალელურად ანტიბიოტიკების ლაბორატორია, რომელსაც დაეით გელოვანის შემდეგ მარი სამადაშვილი ხელმძღვანელობდა, მუშაობას აწარმოებდა თხიერი გერამიციინის მისაღებად, რაც მოგვიანებით განხორციელდა კიდეც.

საქართველოს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მრავალი პრეპარატი მზადდებოდა. 1960 წლისათვის მათ კიდევე ბევრი ახალი პრეპარატი შეემატა. გაიზარდა წარმოებული პროდუქციის რაოდენობა და ამალდა მისი ხარისხი.

1959-60 წლებში საამქროში დამზადდა 145 ტონა საკვები გერამიციინი, რომლითაც გამდიდრდა 7500 ტ კომბინირებული საკვები. მომდევნო წელს კი აქ აითვისეს ბევრად უფრო იაფი თვითღირებულების ნატიური ბიომიციინის წარმოება, რამაც სოფლის მეურნეობა იაფფასიანი და ეფექტური პრეპარატით უზრუნველყო. მხოლოდ 1960 წელს 14 ტონა ბიომიციინი დამზადდა.

9. ახალი საკვები-სამკურნალო საშუალებების შექმნა. წარმოება და პრაქტიკაში დანერგვა

1960 წლისათვის საქართველოს ზოოგექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კელევით ინსტიტუტში მეცხოველეობისათვის აუცილებელი პრეპარატების დამზადების პრაქტიკული გამოცდილების დაგროვებამ და მათი წარმოების გაფართოების მიზანშეწონილობამ დღის წესრიგში დააყენა სპეციალური საწარმოს შექმნის აუცილებლობა, სადაც პრაქტიკულად მოხდებოდა ფუნდამენტური მეცნიერული იდეების ხორცშესხმა. ასეთი წარმოების აუცილებლობის დასაბუთება, ხოლო შემდგომ პრაქტიკული განხორციელება მოხერხდა ევტერინარ მეცნიერთა ერთობლივი ძალისხმევით, რაშიც განსაკუთრებული წვლილი მიუძღოდა ამ დარგში უკვე დიდ ავტორიტეტს, პროფესორ დავით გელოვანს.

1960 წელს საქართველოს მეცხოველეობისა და ევტერინარიის ინსტიტუტში პირველად გაიხსნა ასეთი საწარმო, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა აკაკი ჯმუხაძე, ხოლო გექნიკურ ხელმძღვანელად – სიმონ თურვანდიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე ბიოლოგიური პრეპარატების წარმოების გადიდების აუცილებლობის გათვალისწინებით 1965 წელს საწარმო გადაკეთდა ქიმიოთერაპიული და ბიოლოგიური პრეპარატების ექსპერიმენტულ ქარხანად. ეს იყო ერთადერთი ქარხანა, რომელიც საქართველოს ზოოგექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კელევით ინსტიტუტთან

ერთად შედიოდა იმ 100-მდე უმაღლესი სასწავლებლის რიცხვში, რომლებიც სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს უმაღლესი და სპეციალური განათლების მთავარ სამმართველოს ემორჩილებოდა.

ქარხანას 1974 წლიდან ხელმძღვანელობდა დამსახურებული ვეტერინარი ექიმი კოტე იოსელიანი, შემდეგ კი – თამაზ კობახიძე.

დღეს უკვე აშკარაა, რომ გაკეთდა დიდი ეროვნული საქმე. საქართველოს მოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევით ინსტიტუტთან არსებული მცირე საწარმოს ბაზაზე შეიქმნა ქიმიოთერაპიული და ბიოლოგიური პრეპარატების ექსპერიმენტული ქარხანა, რომლის მნიშვნელობაც არ შემოიფარგლება მხოლოდ თეორიული მეცნიერების წარმატებით. ქარხნის ბაზაზე პროფესორ გელოვანის მეცნიერული იდეების აპრობაციამ ნაყოფიერი შედეგი გამოიღო, რისი ნათელი დადასტურებაცაა ქვემოთ ჩამოთვლილი მიღწევები.

ქარხანაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებიდან 6-ს მიღებული აქვს გამოგონების, ხოლო 26-ს – რაციონალიზატორული წინადადების მოწმობა; მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის ქარხანა შეიდჯერ დაჯილდოვდა სსრ კავშირის მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშით, 1981 წელს კი სკკპ ცკ-ის, სსრკ მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და კომკავშირის ცკ-ის საპატიო სიგელებით. აღნიშნული საწარმო წლების მანძილზე მონაწილეობდა სსრ კავშირის სახალა მეურნეობის მიღწევათა გამო-

ფენებზე, აგრეთვე საერთაშორისო გამოყენებზე (ბაზელში – 1971 წ. კაიროში – 1972 წ. და პლოდიეში – 1974 წ.); მიღებული აქვს საკავშირო გამოყენის პირველი და მეორე ხარისხის დიპლომები; ქარხნის 28 თანამშრომელი კი დაჯილდოებულია ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პირველი ხარისხის დიპლომით.

ინსტიტუტის ქიმიოთერაპიული და ბიოლოგიური პრეპარატების ექსპერიმენტულ ქარხანაში პროფესორ დავით გელოვანის და ქარხნის დირექტორის თამაზ კობახიძის 25- წლიანი ერთობლივი მუშაობის შედეგად შეიქმნა და პრაქტიკაში დაინერგა მეცხოველეობისა და ვეტერინარიისათვის მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი პრეპარატები. ბოლო პერიოდში ქარხანა 16 სახის პრეპარატს ამზადებდა.

დავით გელოვანისა და მარი სამადაშვილის უშუალო ხელმძღვანელობით რესპუბლიკური თუ საკავშირო მასშტაბით დაინერგა მეცნიერ მუშაკთა ჯგუფის მიერ შექმნილი და დამუშავებული შემდეგი პრეპარატები:

1. სპეციფიკური ბაქტერიოფაგი სბოების კუჭ-ნაწლავის ბაქტერიულ დაავადებათა წინააღმდეგ;
2. სპეციფიკური ბაქტერიოფაგი ფრინველთა პულოროზ-გიფის წინააღმდეგ;
3. ანტიპულორინი წიწილების პულოროზის წინააღმდეგ;
4. საკვები ტერამიცინი კუჭ-ნაწლავის ბაქტერიულ დაავადებათა წინააღმდეგ.

5. შარდოვანას სალოკი ბრიკეტები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისათვის;

6. ფრინველის ღრმა საუენის გაუენებლობით მიღებული საკვები;

7. საკვები პრეპარატი საბროილერო წიწილებისათვის (ბაქტერიულ დაავადებათა პროფილაქტიკის მიზნით, ე.გ.გ.ვი-1);

8. საკვები პრეპარატი გოჭებისა და ჭუკებისათვის (ბაქტერიულ დაავადებათა პროფილაქტიკის მიზნით).

ყველა ამ პრეპარატის დამზადებისა და გამოყენებისათვის 1980 წელს სათანადო რეკომენდაციები იქნა შედგენილი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დავით გელოვანს ავტორთა ჯგუფთან ერთად (კობახიძე, აგლაძე, ჭელიძე) 1976-78 წლებში შესრულებული სამუშაოების, ბროილერი წიწილებისათვის საკვები პრეპარატის ე.გ.გ.ვი-1-ის შემუშავებისა და წარმოებაში დანერგვისათვის საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

10. ზარმავრიმუნჯაცია

დასრულებული ნაშრომების გარდა დავით გელოვანს ჰქონდა კიდევ ერთი საინტერესო ჩანაფიქრი, რომელსაც იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. „ჩემი და ჩემი მეუღლის მარი სამადაშვილის ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვა-

წეობის გვირგვინს წარმოადგენს ფარმაკოლოგიური საშუალებების გამოყენება ცხოველთა იმუნიზაციის მიზნით“, – არაერთგზის აღუნიშნავს მეცნიერს.

სამწუხაროდ, ბოლო წლებში მიმდინარე პროცესებმა ამ ორ ღვაწლმოსილ მეცნიერს არ მისცა საშუალება, საფუძვლიანი კვლევა-ძიება ჩაეგარებინა და საკითხი დასრულებული სახით წარმოედგინა. მაგრამ ის ფაქტი, რომ ინსტიტუტში დაწყებულმა კვლევითმა სამუშაოებმა საფუძველი ჩაუყარა ფარმაკოლოგიის ახალ მიმართულებას – ფარმაკოიმიუნიზაციას – უკვე ბევრის მთქმელია.

ამ ძალზე გაბედულ (შეიძლება ითქვას, ზოგიერთი მეცნიერისათვის საეჭვო) მოსამზრებას საფუძველი ჩაეყარა ბაგონი დავითისა და ქალბაგონ მარის მიერ ჩატარებული ცდებით, რაც შემდეგში მდგომარეობდა:

ხელოვნურად ან ბუნებრივად დაავადებულ ფრინველებს ქიმიოთერაპიული საშუალებები ეძლეოდათ. ჩატარებული მკურნალობის შემდეგ ეს ფრინველები 1-2 თვით „ისვენებდნენ“, ამის შემდეგ კი მათ კვლავ ცდისთვის იყენებდნენ. აღმოჩნდა, რომ ისინი აღარ ავადდებოდნენ არც ბუნებრივად და არც ხელოვნურად. ეს ფაქტი მრავალი ცდით დადასტურდა.

1997 წლის დეკემბერში რუსეთის გელევიშიის I არხით გაკეთდა საკმაოდ სენსაციური განცხადება იმის თაობაზე, რომ გაციების დროს მიღებული ქიმიოთერაპიული საშუალებები ორგანიზმს იმუნიტეტის მსგავს რაღაც თვისებებს სძენს.

ვინ იყის, ვგუბ დავით გელოვანისა და მარი სამა-
დაშვილის მეცნიერულმა აზროვნებამ და გამომგონ-
ებლობამ გაუსწრო დროს?! ამას მომავალი გვიჩვენებს.

პედაგოგიური მოღვაწეობა

ვიდრე დავით გელოვანის პედაგოგიურ მოღვაწეობას
შევეხებოდეთ და მაღალკვალიფიციურ ვეგერინარ ფარმა-
კოლოგთა მომზადებაში მის დამსახურებაზე ვიმსჯე-
ლებდეთ, გაეხსენოთ, როგორ ვითარებაში მოუხდა მას
ამ მეგად საპასუხისმგებლო საქმის დაწყება.

როგორც აღვნიშნეთ, 1932 წელს საქართველოში
დაარსდა ბოტანიკურ-სავეგერინარო ინსტიტუტი, რო-
მელსაც მაღალკვალიფიციური კადრები უნდა მოემზა-
დებინა, მაგრამ საამისოდ არანაირი სამეცნიერო-სას-
წავლო ლიტერატურა არ არსებობდა.

მართალია, მე-19 საუკუნის დასაწყისში გამოიყა
ბაგრაგ ბაგრაგიონის შრომები ცნობილი სამკურნალო
საშუალებების შესახებ, მაგრამ ისინი, ბუნებრივია, სახელმ-
ძღვანელოდ არ გამოდგებოდა.

დ.გელოვანს, როგორც ქართული ვეგერინარულ-
ფარმაკოლოგიური სკოლის ფუძემდებელს, ეს საკითხი
მხედველობიდან არ გამოორჩენია. და აი, ბაგრაგ ბაგრა-
გიონის შრომების გამოცემიდან 150 წლის შემდეგ ქართულ
ენაზე პირველად დაიბეჭდა ვეგერინარული ფარმაკო-
ლოგიის სახელმძღვანელო, რომლის ავტორიც დავით
გელოვანი გახლდათ.

ეს იყო მნიშვნელოვანი მოვლენა არა მარტო ვეგერი-
ნარული ფარმაკოლოგიის განვითარებაში, არამედ,
სამოგალოდ, ვეგერინარიის უმნიშვნელოვანესი მონაპო-
ვარიც გახლდათ. მან სათავე დაუდო საქართველოში
მეცნიერების ამ მეტად საჭირო და საშური დარგის
განვითარებას.

აღნიშნული სახელმძღვანელოთი აღიმარდა ქართ-
ველ ვეგერინართა არაერთი თაობა.

პროფესორმა გელოვანმა მრავალი ნაშრომი გამოს-
ცა ვეგერინარის აქტუალურ საკითხებზე, კერძოდ: „ანგი-
ბიოტიკების გამოყენება სოფლის მეურნეობაში“ (1959 წ.);
„ვეგერინარული რეცეპტურა“ (1960 წ.); „დროებითი დარი-
გება თხიერი გერამიცინის გამოყენების შესახებ“ (1962 წ.);
„მეთოდური მითითება, ფენოთიაზინ-მინერალურ ნივთიე-
რებათა აგურაკების გამოყენება მეცხოველეობაში“ (1964 წ.);
„ვეგერინარული ფარმაკოლოგია“ (1966 წ.); „ვეგერინა-
რული ქიმიოთერაპია“ (1966 წ.); „ცხოველთა პროდუქტიუ-
ლობის ზრდის ქიმიური სტიმულატორები“ (1968 წ.); „ვე-
გერინარული რეცეპტურა“ (1970 წ.); გადამუშავებული და
შეესებული გამოცემა ნაშრომისა „ანგიბიოტიკების გამო-
ყენება ვეგერინარიასა და მეცხოველეობაში“ (1974 წ.); „რე-
კომენდაცია რეცირკულინის მსხვილფეხა რქოსანი პირუტ-
ყვის საკვებად გამოყენების შესახებ“ (1983 წ.); „რეკო-
მენდაცია კარბამიდის (შარდოვანას) სალოკი ბრიკეტების
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის კვებაში გამოყენების
შესახებ“ (1983 წ.); „ანგიბიოტიკების რაციონალური გამო-
ყენების პრინციპები“ (1984 წ.); „შესავალი ლექცია ფარმა-

კოლოგიაში“ (1985 წ.). მეცნიერის ბოლო ნაშრომი – „ზოგადი ფარმაკოლოგია“ (1994 წ.) რექტორატს დასასტამბად ჩაბარდა.

სიცოცხლის ბოლო წლებში დავით გელოვანს განზრახული ჰქონდა, მოემზადებინა და გამოეცა სახელმძღვანელო ვეგერინარული სამკურნალწამლო ფორმების დამზადების ტექნოლოგიის შესახებ, რომელიც სტუდენტებსა და პრაქტიკოს ვეგერინარ ექიმებს სამკურნალწამლო ფორმების დამზადების ათვისებაში დაესმარებოდა.

ამ ფუნდამენტური ნაშრომის ძირითადი ნაწილი მას უკვე დაწერილი ჰქონდა და დასანანია, რომ საქმის ბოლომდე მიყვანა არ დასცალდა. ნაშრომი დაუსრულებელი სახით კათედრას გადაეცა.

როდესაც საუბარია პროფესორ დავით გელოვანის მოღვაწეობაზე, მის ღვაწლზე ქართული ვეგერინარული ფარმაკოლოგიის დაფუძნება-განვითარებისა და ერთ-ერთ ავტორიტეტულ სამეცნიერო სკოლად მისი ჩამოყალიბების საქმეში, განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ მეცნიერის პედაგოგიური მოღვაწეობა, ვინაიდან იგი მუდმივად ბრუნავდა მომავალი თაობის აღზრდასა და სამეცნიერო თუ პრაქტიკული მოღვაწეობის ასპარეზზე მისი გამოყვანისათვის.

პროფესორ დ.გელოვანის სახელმძღვანელოებზე, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მაგალითზე აღიზარდა სტუდენტთა მრავალი თაობა. ბევრი მათგანი ამჟამად უკვე საქვეყნოდ აღიარებული სპეციალისტია. ბატონი დავითის მეცნიერული ხელმძღვანელობით მომზადდა და წარმატებით იქნა დაცული მრავალი საკანდიდატო დისერტაცია.

სამეცნიერო მოღვაწეობა, უდავოდ, დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია პროფესორი დავით გელოვანისთვის, ღირსეული, მისაბაძი პედაგოგი ყოფილიყო. არ შეეცდებით, თუ ვიტყვით, რომ სწორედ ახალგაზრდობისაღმე უდიდესი სიყვარული მაგებდა მას ძალასა და მხნეობას. მისი სურვილი იყო, რომ სტუდენტობა ახალ მეცნიერულ მონაპოვრებზე აღზრდილიყო, ვინაიდან ბატონი დავითი საქართველოს მომავალს სწორედ ახალგაზრდა თაობაში ხედავდა.

თავისი უბრალოებითა და გულთბილი დამოკიდებულებით იგი სტუდენტების განსაკუთრებულ სიყვარულს იმსახურებდა. მისი იუმორიც მეტად თავისებური იყო. გამოცდაზე, როცა სტუდენტი აკრძალულ ილეთს – „შპარგალკას“ – მიმართავდა, ბატონი დავითი ღიმილით ეუბნებოდა თავის ასისტენტს: „შეხედე, შეხედე, ჰაგარა ეშმაკი დიდ ეშმაკს აგყუებსო“, ამასთან სტუდენტს ალერსიანად მოუთათუნებდა თავზე ხელს და გამოცდით გამოწვეული დაძაბულობა წამსვე ქრებოდა.

დავით გელოვანი 41 წლის განმავლობაში (1947-1987 წწ.) ხელმძღვანელობდა ფარმაკოლოგია-პათოფიზიოლოგიის, 1987 წლიდან კი ფარმაკოლოგიის, პათოფიზიოლოგიისა და პათანატომიის კათედრას. მისი მუშაობის პერიოდში კათედრასთან შეიქმნა აფთიაქი, სადაც სტუდენტებს საშუალება ეძლეოდათ, აეთვისებინათ წამლების დამზადების ტექნოლოგია, მათი შენახვისა და გამოყენების წესები და ა.შ. კათედრაზე, გრადიციულად, დიდი ყურადღება ეთმობოდა სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. დავით

გელოვანი, როგორც უანგარო პედაგოგი, მრავალჯერ იყო მიწვეული სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ თბილისის, მასხაჩკალის, ლეოვის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტებსა და სხვა მრავალი ქალაქის ვეტერინარულ ინსტიტუტებში.

დავით გელოვანი – პირუტყვითა საკვების ფარმაცოლოგიის ფუძემდებელი საქართველოში

როგორც უკვე აღენიშნეთ, გასული საუკუნის 60-იანი წლებისთვის საქართველოს მეცხოველეობისა და მეფრინველეობის განვითარებაში ახალი ეტაპი დაიწყო. სოფლის მეურნეობის ამ დარგებმა ინდუსტრიულ ბაზაზე იწყეს გადასვლა.

მაქსიმალური რაოდენობის პროდუქციის მისაღებად შედარებით მცირე ფართობზე მაღალპროდუქტიული ცხოველების კონცენტრაციამ, მათმა მულმივმა და ინგენსიურმა ექსპლოატაციამ, მოძრაობის შეზღუდვამ, გარემოს ცვლადი ფაქტორებისგან მკვეთრმა იზოლაციამ და სტაბილური მიკროკლიმატის შექმნამ ამ ცხოველთა ახალი ფიზიოლოგიური თუ პათოლოგიური თავისებურებები გამოაქვლინა როგორც ბიოლოგიური, ისე კლინიკური თვალსაზრისით: ისინი განსაკუთრებულად მგრძობიარენი გახდნენ სხვადასხვა დაავადების, ასევე მოვლა-პატრონობისა და კვების ტექნოლოგიის დარღვევათა მიმართ.

მეცხოველეობის მოდერნიზაციამ, განსაკუთრებით კი მეფრინველეობის ინდუსტრიულ საწყისებზე გადასვლამ

ბეერი ახალი პრობლემა წამოჭრა და ვეგერიანარული მომსახურების ინტენსიფიკაცია და ხარისხობრივი ვარდაქმნა მოითხოვა, რაც მოკლე დროში უნდა განხორციელებულიყო.

ვეგერიანარული ღონისძიებების გასაგარებლად, მათ შორის ფარმაკოლოგიური და ბიოლოგიური საშუალებების გამოსაყენებლად, უნდა შემუშავებულიყო ისეთი ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს შეუწყობდა ცხოველის პროდუქტიულობის პოტენციალის მაქსიმალურად ეფექტურ ექსპლუატაციას, ამასთან, არ გამოიწვევდა „სტრეს-სინდრომს“, წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი ექნებოდა სხვადასხვა დაავადებების განვითარებას, პროდუქციის ხარისხისა და რაოდენობის შემცირებას. ამასთან ყოველი ამ ტექნოლოგიათაგანი აუცილებლად მარტივი და, რაც მთავარია, ეკონომიკურად გამართლებული უნდა ყოფილიყო.

აღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, იმხანად არსებობდა სამკურნალწამლო ნივთიერებების მასობრივად გამოყენების (სასმელ წყალთან, ჰაერთან და საკვებთან ერთად) რამდენიმე მიმართულება. თითოეულ მათგანს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები ჰქონდა: წყალთან ერთად წამლის მიცემის მეთოდის გამოყენება (გამდინარე წყალმომარაგების გამო) იწვევდა მედიკამენტის დანაკარგს და მისი ზუსტი დოზირება ძალზე ძნელი იყო. აეროზოლური მეთოდი მოითხოვდა პერმეტულ შენობას და სპეციალურ დანადგარებს, თუმცა წამლის გადახარჯვა და გარემოს დაბინძურება მაინც ხდებოდა.

ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მეთოდს საკვებში მედიკამენტების შერევა და ახალი სამკურნალო თუ პროფილაქტიკური კომბინირებული საკვები საშუალებების შექმნა წარმოადგენდა (სამღვარგარეთის ბევრ განვითარებულ ქვეყანაში საკვების ფარმაკოლოგია მეცნიერების ცალკე დარგია. მისი კვლევის საგანს საკვების სხვადასხვა სამკურნალო თუ პროფილაქტიკური საშუალებებით გამდიდრების ტექნოლოგიათა შემუშავება და შესწავლა წარმოადგენს).

იმ დროს არსებულ ყველა კომბინირებულ საკვებს ერთი საერთო უარყოფითი თვისება ახასიათებდა – სამკურნალწამლო ინგრედიენტების არათანაბარი განაწილება-შერევა მექანიკურად ხდებოდა, რაც მათ გამოყენებას ნაკლებად ეფექტურს ხდიდა: ცხოველთა ერთი ნაწილი ღებულობდა მედიკამენტების ზედმეტ, ტოქსიკურ, ხოლო მეორე ნაწილი – არასაკმარის დოზას.

ამიგომ აუცილებელი იყო ყოველ გრამ კომბინირებულ საკვებში დაცული ყოფილიყო საკვებისა და ბიოლოგიურად აქტიური ინგრედიენტების გარკვეული შეფარდების სტაბილურობა.

დავით გელოვანი დიდი გულისყურით მოექიდა ამ აქტუალური პრობლემის გადაჭრას და მიზნად დაისახა მედიკამენტური საშუალებებისა და საკვების ერთმანეთთან თანაბარი შერევის მეთოდების შემუშავება.

ჩატარდა ფართომასშტაბიანი ექსპერიმენტები, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით წარმოებამ მიიღო კომპლექსური, მშრალი, გრანსპორტაბელური და მარტივად გამოსაყენებელი კომბინირებული პრეპარატები.

პროფესორ გელოვანის მიერ შემუშავებული ტექნოლოგიით დაიწყო და შემდგომ ვეგერინარულ პრაქტიკაში ფართოდ დაინერგა პრეპარატების – ანტიპულორინის, საკვები გერამიცინის, ანტიბიოფაგის, ფენოთიაზინისა და კარბამიდის ბრიკეტების, ე.მ.გ.ვ.-1-ის, ე.მ.გ.ვ.-2-ის და სხვათა წარმოება.

მკვლევარი მიიჩნევდა, რომ სამკურნალწამლო ნივთიერებებისა და ბიოლოგიური პრეპარატების გამოყენება სამრეწველო მეფრინველეობასა და მეცხოველეობაში სწორედ ამ მიმართულებით უნდა განვითარებულიყო, რაც შემდგომში გამართლდა კიდევ.

ამრიგად, პროფესორმა გელოვანმა შეიმუშავა წამლებისა და სხვა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყენების ახალი უნიკალური მეთოდები, მათი შესაბამისი ტექნოლოგიები და ეფექტური კომბინირებული საკვები პრეპარატები, რის გამოც მან სამართლიანად დაიმკვიდრა ქართული ვეგერინარული ფარმაკოლოგიის ახალი მიმართულების – საკვების ფარმაკოლოგიის – ფუძემდებლის სახელი.

დავით გელოვანი – ქართული ვეგერინარული ფარმაკოლოგიის ფუძემდებელი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პროფესორი დავით გელოვანი 60 წლის მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდა ქართული ვეგერინარული ფარმაკოლოგიის ჩამოყალიბ-

ბებასა და განვითარებას. იგი იყო შესანიშნავი პედაგოგი და მეცნიერი: მის მიერ ჩატარებულ კვლევა-ძიებას ყოველთვის ღრმა თეორიული შინაარსი და უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. შეგახსენებთ, რომ დგელოვანი იყო ის პირველი ვეგერინარი ფარმაკოლოგი, რომელიც მოოტექნიკურ-სავეგერინარო ინსტიტუტში ფარმაკოლოგიის კათედრას ხელმძღვანელობდა. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმეამინდელ სიტუაციას, როდესაც ვეგერინარული ინსტიტუტი და ვეგერინარული ფარმაკოლოგიის კათედრა ახალი ჩამოყალიბებული იყო, როდესაც იგრძნობოდა სპეციალისტთა და მეცნიერთა ნაკლებობა, ის-ის იყო იქმნებოდა გრადიციები, არ არსებობდა ამ დარგის არცერთი ქართული სახელმძღვანელო, და ყოველივე ამას შევუდარებთ მოოვეგერინარულ ინსტიტუტში დღესდღეობით არსებულ ვითარებას, როდესაც ფუნქციონირებს მყარი გრადიციების მქონე ვეგერინარული ფარმაკოლოგიის კათედრა, მიმდინარეობს სამეცნიერო მუშაობა, არსებობს ქართულ ენაზე გამოცემული სახელმძღვანელოები, რეკომენდაციები, გამოგონებები, ამ დარგის პრაქტიკული განვითარებისათვის მუშაობენ წარმოებები, ქარხნები, ლაბორატორიები, ნათელი გახდება ამ პიროვნების როლი საქართველოში ექსპერიმენტული და პრაქტიკული ვეგერინარული ფარმაკოლოგიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში.

ასეთი მრავალმხრივი მოღვაწეობის გამო პროფესორი დავით მიხეილის ძე გელოვანი სამართლიანად არის მიჩნეული ვეგერინარული ფარმაკოლოგიის ფუძემდებლად

საქართველოში, რომელზეც დიდად იყო დამოკიდებული ამ დარგის შემდგომი მეცნიერული, პრაქტიკული და პედაგოგიური მიმართულებების კოორდინაცია.

ამას მოწმობს ის საყოველთაო აღიარება და დიდი სიყვარული, რაც ბატონმა დავითმა თავის კოლეგებსა და აღზრდილებს შორის დაიმსახურა.

ქართული ფუნდამენტური და გამოყენებითი ევტერინარული ფარმაკოლოგიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში შეგანილი წვლილისათვის (რამაც განაპირობა ავტორიტეტული ევტერინარული ფარმაკოლოგიური სკოლის შექმნა თავისი გრადიციებით, აღიარებული სამეცნიერო, პრაქტიკული, პედაგოგიური კადრებით, სასწაელო თუ სამეცნიერო ლიტერატურით) პროფესორი დავით გელოვანი დაჯილდოვდა შრომის წითელი დროშისა და „საპატიო ნიშნის“ ორდენებით.



მარი ხახვამყვლი

ბიოგრაფია

სამადაშვილების გეარის ორი შგო არსებობს – კახური და ქართლური. მარი სამადაშვილის წინაპრები პირველს მიეკუთვნებიან.

ამ გვარს ბეერი ღირსეული წარმომადგენელი ჰყოლია, რომელთაც სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვით. მათ რიცხვში უნდა მოვიხსენიოთ:

ვასილ სამადაშვილი – XIX საუკუნის 70-80-იანი წლების მოღვაწე, საქართველოს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, რომელსაც ქართული ენის უფლებების აღსადგენად და დასაცავად საიდუმლო სტამბა ჰქონდა დაარსებული. იგი, როგორც მეუფის რეჟიმის აქტიური მოწინააღმდეგე, დააპატიმრეს და ციმბირში გადაასახლეს.

ლევან სამადაშვილი – ქაქუცა ჩალოყაშვილის უახლოესი მეგობარი და თანამებრძოლი, 1924 წელს ბოლშევიკების წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების კახეთის კომიტეტის თავმჯდომარე – დახვრიტეს 1924 წელს. ამ ღირსეული პიროვნების დასახასიათებლად საკმარისია ერთ ისტორიულ ფაქტს მოვეხმოთ: დაკავებულ მუამბოხეთა შორის ბოლშევიკებმა ვერ აღმოაჩინეს ლევან სამადაშვილი, ამიტომ მის ნაცულად სხვების დახვრევა გადაწყვი-

ტეს. იგი მაინც არაფერს გათქვამს. მაშინ ლევანი თავად გამოვიდა დატყუებული მუხომბოხების ჯგუფიდან და განაცხადა: მე ვარ სამადაშვილი და მე დამხვრიტეთ, ამ ხალხს რა უნდა. იგი იქვე დახვრიტეს, სხეებს კი სიცოცხლე შეუნარჩუნეს. ეს დიდებული ქართველი ვაჟკაცი მარი სამადაშვილის ბიძა – მამის ძმა – იყო.

ნიკო სამადაშვილი – პოეტი, რომლის პოეზიამ ჭეშმარიტი და საყოველთაო აღიარება მისი გარდაცვალების შემდეგ პოვა.

შაქრო სამადაშვილი – პოეტი, რომლის ნაწარმოებთა სრული კრებული პირველად ახლა იბეჭდება.

ქალბატონ მარის წინაპრებს როგორც დედის, ისე მამის მხრიდან მეტად საინტერესო წარსული აქვთ:

პაპა – გიორგი სამადაშვილი – სიღნაღის მაზრის მამასახლისი ყოფილა. მას მეგობრული ურთიერთობა და ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონია ილია ჭავჭავაძესთან. როგორც სარწმუნო წყაროებიდანაა ცნობილი, პოემა „კაკო ყაჩაღის“ შექმნას საფუძვლად დასდებია გიორგი სამადაშვილის მონათხრობი ერთი კახელი გლეხის შესახებ, რომელიც თავის ბატონს გაქცევია. ილია ჭავჭავაძეს პოემის გამოცემის პირველი ცალი გიორგისათვის უჩუქებია სამახსოვრო წარწერით.

გიორგი სამადაშვილმა უშუალო მონაწილეობა მიიღო ქიზიყის ცნობილი აჯანყების ორგანიზებაში.

ბატონი გიორგის მეუღლე მარიამ თუთბერიძე იმერეთში საკმაოდ ცნობილი ოჯახის შვილი გახლდათ. ქალბატონ მარიამს ხუთი ძმა და ოთხი და ჰყავდა. ყმაწვილები

აქტიურად მონაწილეობდნენ მამინდელი საქართველოს სამოგადოებრივსა და პოლიტიკურ ცხოვრებაში და მთელი სიცოცხლე სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას შესწირეს.

ქალბატონი მარის მამა – სოლომონ გიორგის ძე სამადაშვილი, ცნობილი იურისტი – მეგად განათლებული ადამიანი ყოფილა, რომელსაც თავისი მოღვაწეობა პედაგოგობით დაუწყო. დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანმოკლე პერიოდში იგი კახეთის რეგიონის ქანდარმერიის უფროსად მუშაობდა. ბატონი სოლომონი დამოუკიდებელი საქართველოს მტრებთან – ბოლშევიკური მოძრაობის მონაწილეებთან დამოკიდებულებაში თავისი პრინციპულობითა და სიმკაცრით გამოირჩეოდა. იგი ხშირად იხსენებდა დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის ბატონი ნოე ჯორდანიას სიტყვებს: „ბატონო სოლომონ, მართალია, ისინი საქართველოს დამოუკიდებლობის მტრები არიან, მაგრამ მაინც ნუ იქნებით ასეთი მკაცრი მათ მიმართ“.

მარი სამადაშვილის დედა ელენე კაციაშვილი შიდა ქართლის ერთ-ერთ განათლებულ ოჯახში იყო აღზრდილი. იგი გახლდათ შესანიშნავი მწიგნობარი, შვილებისა და ოჯახის დიდად მოყვარული პიროვნება. ქალბატონი ელენეს ერთი ძმა, ნიკოლოზი, პოლიტიკურ მოღვაწეობაში იყო ჩაბმული. რუსეთის სათათაბიროს წევრი, იგი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა მის მუშაობაში.

ბატონ სოლომონსა და ქალბატონ ელენეს ვაკის მოლოდინში ოთხი ქალი – თამარი, მარიამი, ნინო და ნათელა შესძენიათ.

„დედა უაღრესად კეთილი და სათანო ადამიანი იყო“, – იგონებს მარი სამადაშვილი, – „მამინ, როცა მამა დიდ კეთილშობილებასთან ერთად საკმაოდ მომთხოვნის გავლდათ შვილების მიმართ. იგი გრადიციულად გვზრდიდა, სიმკაცრესა და მომთხოვნელობას მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა, ალერსითა და გკბილი სიგყვით არ გვანებვიერებდა. ჩვენ, შვილებს, მამის დიდი რიდი და პატივისცემა გქონდა. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ჩვენს აკადემიურ მოსწრებას. მამის სიმკაცრეს დედის ალერსი და სითბო ანულებდა. მშობლები ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ჩვენთვის ბავშვობიდანვე ჩაენერგათ შრომის, ერისა და სამშობლოს სიყვარული“.

ბავშვების აღზრდაში დიდი ამაგი მიუძღოდა სოლომონის დედას, მარიამ თუთბერიძეს. მისი სითბო და სიყვარული ბავშვებს მთელი სიცოცხლის მანძილზე გაჰყვათ: „ის სიკეთე, სითბო და ყურადღება, რასაც ბებია ჩვენს მიმართ იჩენდა“, – წერს მარი სამადაშვილი, – „ბევრისაგან არ გამიგონია, რის გამოც ყველას კეთილმოსაგონრად დაგვრჩა მისი ხსოვნა“.

ბავშვების აღზრდამ ისეთ ოჯახურ ვითარებაში, სადაც შერწყმული იყო, ერთის მხრივ, გრადიციული აღზრდის მომთხოვნელობა და, მეორეს მხრივ, დიდი სითბო და სიყვარული შვილების მიმართ, შესანიშნავი შედეგი გამოიღო – ოთხივე ბავშვი სანიმუშო პიროვნებად

ჩამოყალიბდა. მათ მშობლების ყველა თვისება გამოჰყვათ: პატიოსნება, ოჯახის ერთგულება, დიდი ადამიანური სითბო, სიკეთის ქმნის მოთხოვნილება, საკუთარი თავისადმი კრიტიკული მიდგომა და სამშობლოს სიყვარული.

მარი სამადაშვილი დებს შორის გამოირჩეოდა როგორც გარეგნობით, ასევე ნიჭიერებით. მშობლები მასზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, ამიტომ სასწავლებლად თბილისის ყოფილ ეპარქიულ სასწავლებელში შეიყვანეს, რომელიც თავისი კადრებით მთელ ქალაქში ერთ-ერთ მოწინავედ იყო მიჩნეული. ქალბატონი მარი მუდამ დიდი სითბოთი და პატივისცემით იგონებდა თავისი სკოლის დირექტორებს: ალექსანდრე ნებიერიძესა და კონსტანტინე კაპანელს, მასწავლებლებს: მარიამ გარსევანიშვილს, კონსტანტინე გაჩეჩილაძეს, დავით ასათიანს, ანა მაზუგაშვილს, ეკატერინე ლიდებულიძეს, გაბრიელ პაპიაშვილს, ეკატერინე ყიფშიძეს, გულნარა ფალაეას, კონსტანტინე ნემსაძეს, ვერა გალდაეასა და სხვებს. „სკოლის პერიოდი“, – წერს იგი, – „სანაგრელი და განუმეორებელი წარსულია ჩემს ცხოვრებაში, ახლა უფრო მეტად ვგრძნობ იმას, რომ თითოეული ჩვენგანის ტკივილი ჩვენი მასწავლებლების ტკივილი იყო. მე ისინი ყოველთვის ცოცხლები მყვანან წარმოდგენილნი. ეს ადამიანები დღემდე მინათებენ ცხოვრების გზას“.

1928 წელს მარი სამადაშვილმა წარჩინებით დაამთავრა სასწავლებელი და იმავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიურ ფაკულტეტზე ჩაირიცხა (იმ პერიოდში უნივერსიტეტში ჩასარიცხად 8 საგნის

ჩაბარება იყო აუცილებელი. ქალბატონმა მარიმ წარმატებით გაიარა კონკურსი, საკმარისი ქულები დაავროვა და უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა).

1929 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის ბაზაზე დაარსდა თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, რომლის მოოტექნიკური ფაკულტეტი ნაწილობრივ უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებით დაკომპლექტდა. ამგვარად, მარი სამადაშვილი გახდა ჯერ მოოტექნიკური, ხოლო შემდეგ - მეცხოველეობის ფაკულტეტის სტუდენტი.

ქალბატონ მარის საუკეთესო მოგონებები შემორჩა უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგებზე, გამოჩენილ მეცნიერებზე: იასონ გარსევანიშვილზე, მაქარია ყანჩაველზე, მიხეილ კუკავაძეზე, ანდრია ბენაშვილზე, გიორგი ჯაფახიშვილზე, პეტრე გეგენავაზე, ნიკო ფირანიშვილზე. „მათ ლექციებს“, – იხსენებს ქალბატონი მარი, – „არა მხოლოდ ჩვენ, არამედ ის სტუდენტებიც კი ესწრებოდნენ, რომელთა სასწავლო პროგრამაში მათი საგნები არ შედიოდა“.

მარი სამადაშვილი მიიჩნევდა, რომ ოჯახის გარდა სკოლამ და უმაღლესმა სასწავლებელმა, იქაურმა სანამუშო პედაგოგებმა განაპირობეს მისი პიროვნებად და მეცნიერად ჩამოყალიბება: „ჩვენი ცხოვრების გზაზე“, – წერს მეცნიერი, – „ბევრი ადამიანი გვხვდება. ზოგი მათგანი ჩაივლის ჩვეულებრივი მგზავრით და თვალს რომ მიეფარება, დავიწყებას ეძლევა, ზოგი კი ღრმა კვალს გოყებს ჩვენს ცხოვრებაში და რა ღროც არ უნდა გავიღეს, მათი ხსონა მუხსიერებაში მარად რჩება“.

სამეცნიერო-პრაქტიკული მოღვაწეობა

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეცხოველეობის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე, 1932 წელს, მარი სამადაშვილმა მუშაობა დაიწყო ახლადშექმნილ საქართველოს ზოოვეტერინარულ ინსტიტუტში მიკრობიოლოგიის კათედრის ლაბორანტად, რომელსაც ხელმძღვანელობდა დიდი მეცნიერი, ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის ვეტერინარული ფაკულტეტის პირველი დეკანი და საქართველოს ექსპერიმენტული ვეტერინარიის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი ლევან ლეონიძე (ცნობილი პოეტის გიორგი ლეონიძის ძმა).

მას დიდი წვლილი მიუძღვის არა მხოლოდ ქალბატონ მარი სამადაშვილის მეცნიერად ჩამოყალიბებაში, არამედ საქართველოს სავეტერინარო სამეცნიერო სკოლის შექმნასა და განვითარებაში.

პროფესორმა ლეონიძემ უმაღლესი ვეტერინარული განათლება გერმანიაში მიიღო და სამშობლოში მშობაელის რწმენითა და დიდი გეგმებით დაბრუნდა. მისი მოღვაწეობის მთავარ მიზანს საქართველოს სავეტერინარო სკოლის თანამედროვე საერთაშორისო დონეზე ჩამოყალიბება და განვითარება წარმოადგენდა.

მართლაც, ლაბორატორია, სადაც ბაგონი ლევან ლეონიძის ხელმძღვანელობით ასალგამრდა მარი სამადა-შვილმა დაიწყო მუშაობა, უდიდესი მნიშვნელობის მეცნიერულ ექსპერიმენტებს აგარებდა. იქ მუშავებოდა ისეთი გლობალური და პრობლემატური საკითხები, როგორცაა: სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დაკონსერვების მეთოდების შემუშავება, ცხოველთა საკვების დასილო-სების სრულყოფა, რძის მიკრობიოლოგია, სხვადასხვა სახის საფუარი სოკოების გამოყოფა და შესწავლა. ჯერ კიდევ 30-იან წლებში ბაგონი ლევანი მუშაობდა მიკრობული ცილის მიღებისა და ცხოველთა საკვებად მისი გამოყენების საკითხებზე, რაც დღეისათვის უკვე რეალურ ჭეშმარიტებად იქცა, მაშინ კი თითქმის ფანტაზიის სფეროს განეკუთვნებოდა.

პროფესორი ლეონიძე, როგორც საქართველოს ექსპერიმენტული ვეტერინარიის ინსტიტუტის დირექტორი, ხელმძღვანელობდა დიდი მოცულობის თეორიულ და პრაქტიკულ სამუშაოებს ჩვენს რესპუბლიკაში ფრინველთა დაავადებების გაერცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების შესამუშავებლად. როგორც ლაბორატორიას, ასევე სამეცნიერო ინსტიტუტის მრავალპროფილიან საქმიანობას ხელმძღვანელის დიდი ერუდიცია და თეორიული მომზადების მაღალი დონე ეტყობოდა. მაგრამ იმ პერიოდისთვის უცხოეთში განათლების მიღება ჩვენში სამშობლოს დაღატან იყო ასოცირებული, რისი მსხვერპლიც გახდა საქართველოში დიდი გეგმებით დაბრუნებული ეს შესანიშნავი პიროვნება.

მოგვიანებით, მარი სამადაშვილი, უკვე დამსახურებული და აღიარებული მეცნიერი, თავისი ამაგდარი და სახელოვანი მასწავლებლის მოღვაწეობას შემდეგ შეფასებას მისცემს: „ის უკვე ისტორიას ეკუთვნის, მაგრამ მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მნიშვნელობას ინარჩუნებს ახალი თაობის აღზრდისათვის. როცა ასეთ პიროვნებას ვიხსენებთ, თანამედროვეებს ეახსენებ, რომ იყვნენ ადამიანები, რომლებიც ცხოვრების ყოველგვარ ვითარებაში თავდადებით ემსახურებოდნენ თავის დარგს, თავის ქვეყანას. ასეთ ადამიანებს დაფასება და გაფრთხილება, მათ კი პატივის მიგება, ხსონა სჭირდება“.

პროფესორ ლეონიძის ლაბორატორიასა და მისდამი დაქვემდებარებულ ინსტიტუტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ინტენსიურმა, მიზანმიმართულმა და აკადემიურმა ხასიათმა მარი სამადაშვილი ჩამოაყალიბა როგორც დამოუკიდებელი მკვლევარი, რამაც განაპირობა 1933 წელს მისი დანიშვნა საქართველოს ექსპერიმენტული ვეტერინარიის ინსტიტუტის მიკრობთა არეების დამამზადებელი ლაბორატორიის გამგედ. ლაბორატორიის დანიშნულება, ძირითადად, პრაქტიკული მიმართულებისა იყო. მას დახმარება უნდა გაეწია ინსტიტუტში ფუნქციონირებადი სხვა განყოფილება-ლაბორატორიებისათვის. მიუხედავად ასეთი რთული პრაქტიკული საქმიანობისა, მარი სამადაშვილის ხელმძღვანელობით და პროფესორ რევოს კონსულტაციით ლაბორატორიაში დაიწყო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რასაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ინსტიტუტის საქმიან-

ობის, ასევე ვეგერინარული პრაქტიკისათვის. თავდაპირველად იგი ეხებოდა ცხოველური და მცენარული ცილოვანი ნივთიერებების გამოყენებას სხვადასხვა სახის მიკრობთა არეების დასამზადებლად. შემდგომში ქალბატონი მარის ხელმძღვანელობით შეიქმნა და შესწავლილ იქნა ახალი ფურადი საკვები ნიადაგი კოლიპარაგიფის ჯგუფის მიკრობთა სადიფერენციაციოდ. პარალელურად შემუშავდა ახალი მეთოდი სორსკეპტონიანი აგარის განმეორებითი გამოყენებისათვის ბრუცელოზის ანტიგენის დასამზადებლად, რასაც ეკონომიკის განვითარების თეალსამზრისით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს მეთოდი დაინერგა ინსტიტუტში, სადაც ხლებოდა აღნიშნული ანტიგენის მასობრივი წარმოება.

მიკრობთა არეების დამამზადებელი ლაბორატორიის ხელმძღვანელობის პარალელურად ქალბატონი მარი საფუძვლიანად ეცნობოდა ინსტიტუტის სხვა განყოფილებალაბორატორიების საქმიანობას. გარკვეული პერიოდი მუშაობდა ცხოველთა გადამდებ დაავადებათა დიაგნოსტიკის ლაბორატორიაში, ბრუცელოზის შემსწავლელ და ფრინველთა დაავადებების შემსწავლელ ლაბორატორიებში. საკუთარი ინიციატივითა და ერთუზიამზმით შევებულების დროსაც კი განაგრძობდა მუშაობას თბილისის ბაქტერიოფაგის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც მიკრობიოლოგიური მეთოდების შესწავლასთან ერთად აითვისა ბაქტერიოფაგის გამოყოფისა და შესწავლის მეთოდებიც, რამაც შემდგომ საფუძველი ჩაუყარა მის სამეცნიერო მოღვაწეობას. საკუთარ თავზე ინტენსიური



დავით გულუანი



დავით ბერიძე, გიორგი ბერიძე და მისი ოჯახი



ԵրբՅարկոն՝ քովՕգլխեԱղ օրհանջիք ամհան



დავით გილოგიანი უჩხელიძის თანამშრომლების განმეორევაში



சமீபத்தில் எடுத்த புகைப்படம்

Figure 1. *Photograph of the author.*





Գործարարները Երևանում, 1960 թ. թվական



დავით გელოვანი და გოგოშორ აგლაძე ინსტიტუტის ქარხნის
ლაბორატორიის დათვალიერებისას

და სისტემატიური მუშაობით მარი სამადაშვილი ჩამოყალიბდა როგორც ფართო დიაპაზონის მქონე მკვლევარი, ხოლო ლაბორატორიის მნიშვნელობა, რომელსაც ასეთი მაღალკვალიფიციური პროფესიონალი ხელმძღვანელობდა, გასცდა მხოლოდ პრაქტიკულ დანიშნულებას, დიდი ავტორიტეტი მოიხვეჭა და სერიოზული ადგილი დაიკავა ინსტიტუტის სამეცნიერო საქმიანობაში.

1. კოლიგირების ფაქტორების გამოყოფა. უმჯობესი და წარმოება

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხენების დაავადებათა შემსწავლელი ლაბორატორია, რომელსაც საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ი.კვესიტაძე ხელმძღვანელობდა, იმ პერიოდში ახალ გლობალურ საკითხზე იწყებდა მუშაობას – კერძოდ, ფაქტების შესწავლასა და ევტერინარულ პრაქტიკაში მათ გამოყენებაზე.

ი.კვესიტაძის უშუალო კოორდინაციით და მსამადაშვილის ხელმძღვანელობით განყოფილების თანამშრომლების – მისაილოვას, ფილიმონენკოს, თამასიძის, მგელაძის და სხვათა მონაწილეობით დაიწყო ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხის ფართომასშტაბიანი და მრავალეგაპიანი შესწავლა, რაც მიზნად ისახავდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოზარდთა შორის გავრცელებულ კუჭ-ნაწლავის ინფექციური დაავადებების შესწავლას, გამომწვევის გამოყოფას და კულტივაციას, სპეციფიკური ბაქტერიოფაგის გამოყოფას, მისი წარმოების გეგმო-

ლოგის შექმნასა და ვეგერინარულ პრაქტიკაში მის დაწერგვას.

ჩატარებული გამოკვლევებით დადგინდა, რომ პირუტყვის მოზარდთა კუჭ-ნაწლავის ინფექციურ დაავადებათა შორის წამყვანი ადგილი ეჭირა კოლიპარატიფს, მაგრამ აღნიშნული დაავადების წინააღმდეგ ეფექტური ქიმიოთერაპიული ან სხვა რაიმე საშუალება იმ დროს არ არსებობდა, ამიტომ განყოფილებამ მიზნად დაისახა გამოეყო და შეესწავლა ამ დაავადების საწინააღმდეგო სპეციფიკური ბაქტერიოფაგი, ჩატარებინა აღნიშნული პრეპარატის ლაბორატორიული და საწარმოო გამოცდა როგორც სამკურნალო, ასევე პროფილაქტიკური მიზნით და დადებითი შედეგის მიღების შეთხვევაში ფართოდ დაენერგა იგი ვეგერინარულ პრაქტიკაში.

1942 წელს ი.კვესიგაძემ დატოვა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხენების დაავადებათა შემსწავლელი განყოფილების გამგის თანამდებობა. როდესაც მისი შემსწავლელის კანდიდატურის ძიება დაიწყო (პიროვნებისა, ვინც ვეგერინარიაში ფიგოთერაპიის კვლევას უხელმძღვანელებდა), ინსტიტუტის ხელმძღვანელობის არჩევანი მარიამ სამადაშვილზე შეჩერდა, რაც შემთხვევითი არ ყოფილა.

იმ დროისათვის მ.სამადაშვილი უკვე მაღალკვალიფიციური სპეციალისტი იყო, კარგად ესმოდა დაყენებული პრობლემის სიმწვავე და ფლობდა დიდ მეცნიერულ და პრაქტიკულ გამოცდილებას (იგი მუშაობდა თბილისის ბაქტერიოფაგის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში,

სადაც კვლევის მიკრობიოლოგიურ მეთოდებთან ერთად ათვისებული ჰქონდა ბაქტერიოფაგის გამოყოფის და შესწავლის მეთოდებიც). ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, 1942 წელს ბოროვეტერინარული ინსტიტუტის დირექტორის ე.ნანობაშვილის ბრძანებით მ.სამადაშვილი დაინიშნა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა და ცხენების დაავადებათა შემსწავლელი განყოფილების გამგედ.

იმავე, 1942 წელს, იგი ხელმეორედ მიავლინეს თბილისის ბაქტერიოფაგის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, სადაც სრულყო ფაგებთან მუშაობის სპეციფიკური მეთოდები. განყოფილებაში ფაგების გამოყოფის მეთოდების კვლევისას მარი სამადაშვილის ხელმძღვანელობით გამოიყო კოლიგერტნერფაგი, შესწავლილ იქნა მისი ძირითადი დამახასიათებელი თვისებები და ეფექტურობა როგორც სინჯარის, ასევე ორგანიზმის პირობებში.

პრეპარატი იმდენად ეფექტური გამოდგა, რომ დაიწყო მისი მასობრივი წარმოება. ფაგზე მოთხოვნილება დიდად გაიზარდა, ვინაიდან მობარდი პირუტყვის ფაგით დამუშავებას ეკონომიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა: კეთილმოუწყობელ მეურნეობებში დაავადება მკვეთრად შემცირდა. წარმოებაში ფაგის გამოყენებამ ფართო ხასიათი მიიღო; სულ მცირე ხნის განმავლობაში მისი საშუალებით დამუშავდა რამდენიმე ათეული ათასი მობარდი პირუტყვი; პრეპარატი კოლიგერტნერფაგი საკავშირო მასშტაბით დაინერგა. ჩატარებულ სამუშაოსა და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით ი.კვესიტაძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტა-

ცია ექსპერიმენტული ვეტერინარიის საკავშირო ინსტიტუტში.

განყოფილების საერთო თემატიკისგან დამოუკიდებლად მარი სამადაშვილი მუშაობდა ცხოველის ორგანიზმში გერტნერფაგის განაწილებისა და გამოყოფის ხანგრძლივობის პრობლემებზე. ჩატარდა მრავალი ცდა, დაგროვდა სამეცნიერო მასალა, რომლის საფუძველზეც მარი სამადაშვილმა მოამზადა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „გერტნერ ფაგის ხბოების ორგანიზმში განაწილებისა და გამოყოფის ხანგრძლივობა“.

საკვალიფიკაციო ნაშრომის განსაკუთრებული მნიშვნელობისა და აქტუალობის გათვალისწინებით, იმ დროისათვის ჯერ კიდევ ახალგაზრდა მეცნიერმა თავისი კვლევის შედეგები პირადად გააცნო ვეტერინარიის მეტად მკაცრ, ობიექტურ და პრინციპულ ავტორიტეტებს: საკავშირო ექსპერიმენტული ვეტერინარიის ინსტიტუტის დირექტორს აკადემიკოს ლეონოვს, იმავე ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის განყოფილების გამგეს აკადემიკოს ანდრეევს და აკადემიკოს მიხინს, რომლებმაც ნაშრომს ერთხმად მისცეს დადებითი შეფასება.

მარი სამადაშვილი იხსენებს: „ნაშრომის დადებითად შეფასების შემდგომ მე სიხარულის ცრემლები მომერია, უღრმესი მადლობა გადავუხადე ამ უდიდეს მეცნიერებს და დავემშვიდობე მათ. ვუსურვებ, ყველას ემუშაოს ისეთ საინტერესო და მომთხოვნ პიროვნებებთან, როგორიც ისინი იყვნენ და მიეღოს ისეთი შეფასება, როგორიც მათ მე მომცეს“.

„ცნობილ მეცნიერებთან – მიხინთან, ანდრეევთან და ლეონოვთან საქმიანმა შეხვედრებმა“, – აღნიშნავდა ქალბატონი მარი, – „ჩემი საღისერგაციო ნაშრომისა და სხვადასხვა საკითხის ღრმად და შინაარსიანად განხილვამ მეცნიერებისა და ჩემი მომავალი საქმიანობის საკმაოდ ფართო და ღრმა სფეროში გადამიყვანა. დიას, ისინი გახლდნენ უაღრესად მაღალი რანგის მკვლევარები, რომლებიც თაყიანთი საქმიანობით შემოქმედ ადამიანებად დარჩებიან როგორც თანამედროვეთათვის, ისე მომავალი თაობისათვის. მათ მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნიეს მე-20 საუკუნის მიკრობიოლოგიური მეცნიერების განვითარებას, მათ შრომებზე აღიზარდნენ და კვლავაც აღიზრდებიან მომავალი თაობები“.

მაგრამ დიდ მეცნიერებთან მარი სამადაშვილის ურთიერთობა მხოლოდ ამ ფაქტით არ ამოწურულა. გარდა სამეცნიერო კონტაქტებისა, მათ შორის დამყარდა ერთობ თბილი, მეგობრული ურთიერთობა, რამაც, უდავოდ, დიდად შეუწყო ხელი არა მარტო მარი სამადაშვილის, როგორც მეცნიერის შემდგომ წინსვლას, არამედ ქართულ და რუსულ ვეგერინარულ სკოლებს შორის კონტაქტების გაღრმავებასა და მათ დაახლოებას.

გარკვეული პერიოდის შემდეგ მარი სამადაშვილის დისერტაციამ აპრობაცია გაიარა ექსპერიმენტული ვეგერინარიის საკავშირო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოზე. 1946 წელს კი მ.სამადაშვილმა ერევნის ბოოვეგერინარულ ინსტიტუტში ბრწყინვალედ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

2. «ხუთილის» არაინფექციური ბუნება

იმ პერიოდში ინსტიტუტში სხვა აქტუალურ საკითხებთან ერთად შეისწავლებოდა აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში გავრცელებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაავადება მიმდინარე დახუთვის კლინიკური ნიშნით, რის გამოც მას „ხუთილი“ ეწოდა. ამ მიმართულებით წარმოებულ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ექსპედიციური ხასიათი ჰქონდა და მას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ვასილ ნანობაშვილი, ალექსანდრე კაჭახიძე, ხარიტონ ჯანაშია და ბორის მოროშკინი.

აღნიშნულ ექსპედიციებში მონაწილეობდნენ სხვადასხვა დარგის მეცნიერთა ჯგუფები. მარი სამადაშვილი ამ ჯგუფში მუშაობისას შეისწავლიდა დაავადების ეტიოლოგიურ ფაქტორებს და წლების მანძილზე აგარებდა აღებული მასალის ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევას. მეკლევართა ამ ჯგუფის მიერ ჩაგარებულ სამუშაოთა შედეგებით გამოირიცხა „ხუთილის“ ინფექციური ბუნება, რასაც უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა.

3. პულოროზი

ა. პულოროზ ფაგის გამოყოფა, წარმოება და ვეტერინარულ პრაქტიკაში დანერგვა

მესამე დიდ პრობლემას, რომელმაც მარი სამადაშვილი მუშაობდა, წარმოადგენდა ფრინველთა დაავადება (პულოროზი), რომელიც მეტად გავრცელებული იყო მთელ რესპუბლიკაში. წარმოების მუშაკები სასწრაფოდ ითხოვ-

ღენ დახმარებას, მაგრამ ამ დაავადების საწინააღმდეგო არანაირი სპეციფიკური სამკურნალო საშუალება არ არსებობდა.

ამ პრობლემის გადაწყვეტაში სხვებთან ერთად მონაწილეობდა მარი სამადაშვილი, მაგრამ ამჯერად არა როგორც წევრი, არამედ როგორც უშუალო ხელმძღვანელი და კოორდინატორი.

მარი სამადაშვილმა, რომელსაც სათანადო კვალიფიკაცია და ფაგთან მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა, ხელი მოჰკიდა მეფრინველეობის მეურნეობებში გავრცელებული დაავადების – პულოროზის – შესწავლას და მისი საწინააღმდეგო ბაქტერიოფაგის მიღება-გამოყენების საკითხის დამუშავებას.

მარი სამადაშვილისა და პროფესორ დავით გელოვანის ხელმძღვანელობით განყოფილებამ (თანამშრომლები – გ.დავითულიანი, ნ.კანაპლია, გ.გაბაგაძე, ჯ.ღისამინჯია, ა.ნადირაძე, ა.კაჭახიძე, ე.სოსელია, თ.იოსელიანი, გ.შარაბიძე, თ.შოშიაშვილი, გ.გვილაყა და სხვანი) შეისწავლა რესპუბლიკის მეფრინველეობის მეურნეობების ეპიზოოტიური სიტუაცია: ჩაგარდა მრავალი ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, მოხდა გამოყოფილი კულტურების ყოველმხრივი შესწავლა, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ წიწილების კუჭ-ნაწლავის ინფექციურ დაავადებათა შორის ყველაზე გავრცელებული იყო პულოროზი, რომლის საწინააღმდეგო სპეციფიკური პრეპარატი არ არსებობდა.

აღნიშნული მიმართებით ეპიდემიოლოგიური სიტუაციის შესწავლისა და კონკრეტული შედეგების მიღების

შემდგომ მარი სამადაშვილმა მიზნად დაისახა პულოროზის საწინააღმდეგო სპეციფიკური ბაქტერიოფაგის გამოყოფა, მისი მახასიათებლების შესწავლა, საწარმოო მნიშვნელობით გამოშვება და ვეგერიზარულ პრაქტიკაში ფართოდ დანერგვა.

ამ მიზნით მეცნიერი შეუდგა პულოროზ ბაქტერიოფაგის რასების გამოყოფას და მათი ყველა ბიოლოგიური მახასიათებლის შესწავლას. გამოყოფილი რასებიდან მზადდებოდა სადედე ფაგები, რომელთა გამრავლების შედეგად იღებდნენ პულოროზ ბაქტერიოფაგის სხვადასხვა სერიას. დამზადებული სერიების ეფექტურობა შეისწავლებოდა ლაბორატორიულ და საწარმოო პირობებში, არაკეთილსაიმედო მეურნეობებში. ჩატარებული ცდების შედეგებმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა და პრაქტიკოს სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

წიწილების პულოროზის საწინააღმდეგო სპეციფიკური ბაქტერიოფაგის პირველი მასობრივი საწარმოო გამოცდა ჩატარდა საგარეჯოს რაიონის საინკუბაციო სადგურში, სადაც აღნიშნული დაავადება მკვეთრად შემცირდა.

მარი სამადაშვილის ხელმძღვანელობით შექმნილ და დამზადებულ პრეპარატზე – პულოროზ ბაქტერიოფაგზე – როგორც პულოროზის საწინააღმდეგო ყველაზე ეფექტურ საშუალებაზე – მოთხოვნა დღითიდღე იზრდებოდა, რამაც განაპირობა ის, რომ განყოფილებასთან, რომელსაც მარი სამადაშვილი ხელმძღვანელობდა, ჩამოყალიბდა პულოროზ ფაგის დამამზადებელი საამქრო, რომლის

წლიური გეგმა 8 ტ. პულორომ ფაგის დამზადებას ითვალისწინებდა. დამზადებული პრეპარაგით წარმოებდა მეურნეველეობის კეთილმოუწყობელ მეურნეობებში ახლადგამოჩეკილი წიწილების დამუშავება. პულორომ ფაგის გამოყენებამ რესპუბლიკის მასშტაბით საგრძნობლად შეამცირა დაავადების გავრცელება.

მარი სამადაშვილმა შეიმუშავა და გამოაქვეყნა ბაქტერიოფაგის დამზადების ტექნოლოგია და მისი გამოყენების რეკომენდაციები, რომლებზეც უკვე დიდი მოთხოვნა იყო საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკებიდან, რასაც მარი სამადაშვილის განყოფილებასთან არსებული წარმოება მხოლოდ შესაძლებლობის ფარგლებში, ე.ი. ნაწილობრივ აკმაყოფილებდა.

მარი სამადაშვილის მიერ პულორომ ბაქტერიოფაგის ეფექტურობის შესწავლასთან დაკავშირებული სამუშაოები შეჯამდა და მოხსენდა საკავშირო სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეგ.სამმართველოს ტექნიკურ საბჭოს, რომელმაც მიიღო დადგენილება აღნიშნული პრეპარაგის საკავშირო მასშტაბით დანერგვის შესახებ.

ამავე დადგენილებით პულორომ ფაგის დამზადება დაეუალა ტაბახმელის ბიოკომბინატს, ხოლო მოგვიანებით, პრეპარაგზე მოთხოვნილების გაზრდასთან დაკავშირებით, მისი წარმოების უფლება გადაეცა სუმსკის ბიოკომბინატს. აღნიშნული პრეპარაგის დამზადება და მისი პრაქტიკაში გამოყენება ღღესაც მიმდინარეობს.

ამავე პერიოდში მარი სამადაშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებული ცდების საფუძველზე პულორომ ფაგის

წარმოებისათვის საჭირო ძვირადღირებული ხორცპეპტონიანი ბულიონი შეიცვალა კამეინის ბულიონით, რამაც საგრძნობლად შეამცირა ფაგის თვითღირებულება და შეუნარჩუნა ყველა დადებითი თვისება.

ბ. „ანტიბიოფაგი“, დამზადების ტექნოლოგია და პრაქტიკაში დანერგვა

პულორომ ფაგის ეფექტურობამ დაარწმუნა მარი სამადაშვილის ხელმძღვანელობით მომუშავე მეცნიერთა ჯგუფი, რომ აღნიშნული პრეპარატის სითხის სახით გამოყენება სამრეწველო მეფრინველეობაში გარკვეულ სიძნელებებთან იქნებოდა დაკავშირებული. მათი თავიდან აცილების მიზნით მარი სამადაშვილმა შეიმუშავა მშრალი პრეპარატის – ანტიბიოფაგის – დამზადების მეთოდი. პრეპარატი წარმოადგენს პულორომ ბაქტერიოფაგითა და შესაბამისი ანტიბიოტიკით გამდიდრებულ ხანგრძლივი ვარგისიანობის მარცვლეულ საკვებს. პრეპარატის ლაბორატორიულმა და საწარმოო გამოცდამ მაღალი შედეგები აჩვენა არა მარტო პულორომის, არამედ ფრინველთა კუჭნაწლავის სხვა ინფექციურ დაავადებათა შემთხვევაშიც.

მარი სამადაშვილმა შეიმუშავა და გამოაქვეყნა ანტიბიოფაგის დამზადების ტექნოლოგია და მისი გამოყენების რეკომენდაცია. საბოლოოდ კი ეს ყველაფერი 300-გვერდიან საკვალიფიკაციო ნაშრომად გააფორმა. ეს უკანასკნელი მოიწონა აკადემიკოსმა ივანე ეფიშის ძე მოზგოვმა, რადგან მასში გადაწყვეტილი იყო ძირითადი

პრობლემატური საკითხი. აღნიშნული ნაშრომი, ფაქტიურად, სადოქტორო დისერტაციას წარმოადგენდა, მაგრამ საკუთარი თავისადმი გადაჭარბებულმა მომთხოვნელობამ ხელი შეუშალა ქალბატონ მარის, წარედგინა იგი უმაღლესი საატესტაციო კომისიისათვის, როგორც სადოქტორო დისერტაცია. აღნიშნული კვლევის შედეგებს დიდი შეფასება მისცეს არა მარტო სსრკ-ს, არამედ საზღვარგარეთის მთელი რიგი ქვეყნების წამყვანმა სპეციალისტებმა.

მარი სამადაშვილი – ანტიბიოტიკებისა და მიკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი

1960 წელს ინსტიტუტის რექტორის პროფესორ ე.მამათელაშვილის ბრძანებით მარი სამადაშვილი გადაიყვანეს ანტიბიოტიკების შემსწავლელი ლაბორატორიის გამგედ, რომელსაც მანამდე პროფესორი დ.გელოვანი ხელმძღვანელობდა (მოგვიანებით გემოაღნიშნული ლაბორატორია გადაკეთდა ანტიბიოტიკებისა და მიკოლოგიის განყოფილებად). ამ განყოფილებას, სადაც სხვადასხვა დროს უდიდესი მოცულობის სამეცნიერო და საწარმოო ხასიათის სამუშაოები გარდებოდა, გაეცნენ მსოფლიოში აღიარებული მკვლევარები – აკადემიკოსი არტემ სარქისოვი და პროფესორი ვაქსმანი, რომელთაც მაღალი შეფასება მისცეს მის მუშაობას.

განყოფილებაში შეისწავლებოდა სხვადასხვა ანტიბიოტიკის სამკურნალო და პროფილაქტიკური მოქმედების ეფექტურობა სინჯარისა და ორგანიზმის პირობებში.

იმ დროს ანტიბიოტიკები ღეფიცითურ პრეპარატებს წარმოადგენდა სამედიცინო და, განსაკუთრებით, ვეტერინარული პრაქტიკისათვის. მარი სამადაშეილის განყოფილებასთან (პროფესორ ლეონოვის კონსულტაციით და პროფესორ გელოვანის ხელმძღვანელობით) შეიქმნა ნატიური (თხიერი) და საკეები ანტიბიოტიკების დამამზადებელი საამქრო, რომელიც აღნიშნულ პრეპარატებს ამზადებდა და იყენებდა რესპუბლიკის მეცხოველეობასა და ვეტერინარიაში.

განყოფილების თანამშრომელთა მიერ ჩატარებული ლაბორატორიული და საწარმოო ცდებით მიღებული მონაცემების საფუძველზე, დავით გელოვანისა და მარი სამადაშეილის უშუალო ხელმძღვანელობითა და ინიციატივით, შეიქმნა ანალოგიური საამქროები რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილას: თბილისის პურპროდუქტების ბაზასთან, თბილისისა და გაგრის მეფრინეულეობის ფაბრიკასთან და ა.შ. აღნიშნულ წარმოებებს სისტემატურ დასმარებასა და კონტროლს უწევდა ანტიბიოტიკებისა და მიკოლოგიის განყოფილება. ამასთან, ლაბორატორიაში ქალბატონი მარის ხელმძღვანელობით გარდებოდა ცდები ზოგიერთი ფიტონციდის მიღებისა და ეფექტურობის შესასწავლად.

ამავე ლაბორატორიაში საბოლოო სახე მიიღო და ვეტერინარულ პრაქტიკაში ფართო გამოყენება პოვა მარი სამადაშეილის მიერ დამზადებულმა კომბინირებულმა მშრალმა პრეპარატმა ანტიბიოფაგმა.

ბოლო წლებში ანტიბიოტიკებისა და მიკოლოგიის განყოფილება მუშაობდა ფრინველთა სალმონელოზისა და

პასტერელოზის დროს ანტიბიოტიკების გამოყენების ეფექტურობის შესწავლაზე. დადგინდა და შემუშავდა საწარმოო პრაქტიკაში მათი გამოყენების მეთოდიკა. გარდა ამისა, აღსანიშნავია ქალბატონ მარი სამაღაშვილის მიერ შემუშავებული ანტიბიოტიკების დადებითი გავლენა პირუტყვის მაკეობაზე, რის შედეგადაც ნატალურ და პოსტნატალურ პერიოდში ანტიბიოტიკების მიღების შემდეგ იბადება უფრო განვითარებული მოზარდი, რომელიც ჩვეულებრივთან შედარებით 10-12%-ით მეტს იწონის, გადიღებული რეზისტენტობის გამო იშვიათად ავადმყოფობს და კარგად ვითარდება. გარდა ამისა, ანტიბიოტიკი არა მარტო დადებითად მოქმედებს მოზარდის ბრდაგანვითარებაზე, არამედ აუმჯობესებს რძის ბიოლოგიურ თვისებებს ლაქტაციის პერიოდში მყოფ ცხოველებში.

ხანგრძლივი და საფუძვლიანი კვლევის შედეგებმა ასახვა პოვა მონოგრაფიაში „ანტიბიოტიკები და მათი გამოყენება ვეტერინარიასა და მეცხოველეობაში“, რომელიც 1985 წელს ქალბატონმა მარიმ მეულლესთან, ბატონ დავით გელოვანთან ერთად გამოაქვეყნა.

ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად ქალბატონი მარი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ საქმიანობაშიც. იგი იყო ინსტიტუტში ფუნქციონირებადი სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი სპეციალიზირებული რეგიონალური (ამიერკავკასიის) საბჭოს წევრი, შესრულებული ჰქონდა რამდენიმე ოპონენცია როგორც ბოტანიკურ-სავეტერინარო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში, ისე თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიგეგში ღაცულ დისერტაციებზე, იყო საქართველოს მიკრობიოლოგთა სამოგალოების ერთ-ერთი აქტიური წვერი და მნიშვნელოვანი წვლილი შექქონდა მის საქმიანობაში.

ქალბატონი მარი სამადაშვილი წლების მანძილზე ეწეოდა ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას. მისი ყოფილი სტუდენტები (სამედიცინო გექნიკუმში) ამჟამად ღაულაღაუად ემსახურებიან მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის საქაგო საქმეს. ქალბატონმა მარი სამადაშვილმა ღაეით გელოვანთან ერთად გამოსცა წიგნები: „ცხოველთა პროდუქტიულობის ქიმიური სტიმულატორები“ (1968); „ანტიბიოტიკები და მათი გამოყენება მეცხოველეობაში“ (1985).

მარიამ სამადაშვილს მიღებული ჰქონდა მრავალი ჯიღო: საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქაგო სიგელი (1961 წ.); მრავალი მეღალი; 1967, 1969 და 1971 წლებში იყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მონაწილე; 1983 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული ექიმ-ვეგერიინარის წოდება.

„მთელი ჩემი ცხოვრება“, – წერდა მარიამ სამადაშვილი, – „შრომასა და საქმიანობაში გავატარე. ჩემზე დაკისრებულ მოვალეობებს ყოველთვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ვეკიღებოდი. ყოველთვის პრინციპული და მომთხოვნი ვიყავი როგორც საკუთარი თავის, ისე ყველა იმ თანამშრომლის მიმართ, რომელთა საქმიანობაზეც პასუხისმგებლობა მეკისრებოდა. ყველა შემთხვევაში ვხელმძღვანელობდი იმ დებულებით, რომ

განუსაზღვრელია პირადი მაგალითის ძალა, რომელიც ყველა თეორიაზე მაღლა დგას, რათა შესაძლებლობა მქონოდა, ამეყოლიებინა თანამშრომლები ყოველგვარი სიძნელის გადასალახად ჩვენი საქმიანობის ინტერესებისათვის ბრძოლაში. ეს ხომ მეცნიერ-მუშაკის და ყველა კეთილსინდისიერი ადამიანის ერთ-ერთი აუცილებელი თვისება უნდა იყოს“.

კოლეგები დავით გელოვანისა და მარი სამადაშვილის უმსახეობ

* * *

ინიციატივა, შეიქმნას მოკლე ბიოგრაფიული ნარკვევი გამოჩენილ მეცნიერზე, სახელოვან მამულიშვილზე, ცნობილ ფარმაკოლოგზე პროფესორ დავით გელოვანსა და მის მეუღლეზე, ვეგერინარული მიკრობიოლოგიისა და ვეგერინარიაში ფაგოთერაპიის ერთ-ერთ ფუძემდებელზე, მარი სამადაშვილზე, მისასალმებელი, მოსაწონი და განსაზოგადოებელია. სასურველია, რომ ასეთი სახის ნარკვევები მიეძღვნას ყველა ცნობილ ქართველ მეცნიერს რუბრიკით „ჩვენი სახელოვანი თანამემამულენი“.

პროფესორ დავით გელოვანის შესახებ კი საგანგებოდ აღვნიშნავ, რომ იგი იყო დიდი ქართველი, არაჩვეულებრივი ბუნების ადამიანი, უაღრესად კეთილშობილი პიროვნება და მოქალაქე, პაგრიოგი, სამაგალითო მეცნიერი, მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე, თავისი დარგის – ვეგერინარული ფარმაკოლოგიის – პროფესიონალი და უანგარო გულშემატკივარი.

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი დ.გელოვანი დამსახურებულადაა აღიარებული ქართული ვეგერინარული

ფარმაკოლოგიის ფუძემდებლად. დიდი ბაგონი დაეითის როლი ვეგერინარული მეცნიერების განვითარებაში. მის მიერ დამუშავებულია უდიდესი მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი პრობლემური მიმართულებები საკვები ცილის არაგრადიციული რესურსების აღმოჩენისა და გამოყენების დარგში. მის სახელს უკავშირდება ვეგერინარიაში ანტიბიოტიკოთერაპიის დანერგვა და მისი მეცნიერული შესწავლა. პროფესორ გელოვანის ხელმძღვანელობით რესპუბლიკაში პირველად იყო ორგანიზებული სამრეწველო მეცხოველეობისათვის აუცილებელი საკვები ანტიბიოტიკების წარმოება.

ვეგერინარულ ფარმაკოლოგიაში და რეცეპტურაში პროფესორ დაეით გელოვანის მიერ შექმნილ და გამოცემულ პირველ ქართულ სახელმძღვანელოებზე აღიზარდა სტუდენტთა და მეცნიერთა მრავალი თაობა.

აღსანიშნავია, რომ ბაგონ დაეითს მთელი თავისი სანგრძლივი და ნაყოფიერი სასწავლო-სამეცნიერო მოღვაწეობის დროს გვერდით ედგა მისი მეუღლე, ცნობილი მეცნიერი, პედაგოგი და დიდებული პიროვნება – მარი სამადაშვილი, რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული ფაგოთერაპიის დანერგვა ვეგერინარიაში. უშუალოდ მის მიერ შექმნილი პრეპარატების: გერტნერფაგის, პულორომფაგის და ანტიბიოფაგის ვეგერინარულ პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებას დიდი ეკონომიკური ეფექტი მოჰყვა.

სიამოვნებით მინდა გავისხენო ბაგონი დაეითის დიდი მეგობრობა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიის კათედრის მეცნიერებთან,

პროფესორებთან: გ.ციქმანაურთან, გ.გვიშიანთან, დ.კვაჭაძესთან, თქვენს მონა-მორჩილთან და სხვებთან. ასევე დიდი მაღლიერების გრძნობით უნდა მოვიხსენიოთ მისი საჯარო ოფიციალური ოპონენციები ჩვენი კოლეგების სადისერტაციო ნაშრომებზე. ბაგონი დავითი სისტემატურად და აქტიურად ღებულობდა მონაწილეობას საქართველოს ფარმაკოლოგთა ასოციაციის მუშაობაში, სამეცნიერო საბჭოს სხდომებში.

მისასალმებელი და მისაბაძია მოოვეგერინარული ინსტიტუტის რექტორაგის ინიციაგია, გამოჩენილ ქართველ მეცნიერებზე – პროფესორ დავით გელოვანსა და მარი სამადაშვილზე – ნარკევის შექმნისა.

გივი თურმანაული

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მედ.მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახ. სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო ფარმაკოლოგიის კათედრის გამგე. საქართველოს ფარმაკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი

* * *

პროფესორი დავით გელოვანი იყო გამოჩენილი მკვლევარი და პედაგოგი, ფარმაკოლოგიური მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელი.

ფარმაკოლოგია ფუნდამენტური ბიოსამედიცინო დისციპლინაა, ხოლო ვეგერინარული მეცნიერული ფარმაკოლოგიის ფაქტობრივ ფუძემდებლად საქართველოში, უდა-

ვოდ, დაეით გელოვანი გეეელინება. მისმა სისგემაგურმა გამოკველეებმა ამ დარგში შესაძლებელი გახადა, ერთის მხრივ, უმაღლეს და სპეციალური პროფილის სასწავლებლებში ეეგერინარული ფარმაკოლოგიის აკადემიური კურსის ჩამოყალიბება და, მეორეს მხრივ, განაპირობა ეეგერინარულ პრაქტიკაში სამკურნალო პრეპარატების გამოყენების მეცნიერულად დასაბუთებული პრინციპების დანერგვა.

ფასდაუდებელია დაეით გელოვანის წელილი ანგიბიოტიკოთერაპიის, კომბინირებული და უნიკალური საკეები პრეპარატების შექმნაში.

მეცნიერმა შეიმუშავა ეეგერინარიაში სამკურნალო პრეპარატების (მათ შორის ანგიბიოტიკების და სულფანილამიდების), პროფილაქტიკური საშუალებების და კეების დანამატების გამოყენების ბიოფარმაცეეული თეალსაზრისით პრინციპულად ახალი მეთოდები და ახალი სამკურნალო ფორმები, რამაც მათი ეეექტურობის მკვეთრი ზრდა განაპირობა.

დაეით გელოვანმა ფაქტობრივად გადაწყვიტა საკეები ცილის დეფიციტის საკითხი.

ყურადღებას იპყრობს მკედარი ფრინეელის, სორცკომბინატებში არსებული ნარჩენების და წუნდებული პროდუქციის უტილიზაციის, გადამუშავებისა და საკეებად გამოყენების რაციონალური მეთოდების დამუშავება, რასაც ეკონომიკურ ეეექტურობასთან ერთად სანიგარულ-პიგიენური და ეკოლოგიური მნიშვნელობაც აქვს.

პროფესორ დ.გელოვანის მეცნიერული კვლევის შედეგად საფუძველი ჩაეყარა ვეტერინარული ფარმაკოლოგიის ახალ მიმართულებას – საკვების ფარმაკოლოგიას.

მეცნიერული კვლევის შედეგების პრაქტიკული რეალიზაციის საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს დ.გელოვანის ინიციატივა ვეტერინარიის ინსტიტუტის ქიმიოთერაპიული და ბიოლოგიური პრეპარატების ექსპერიმენტული ქარხნის შექმნისა, სადაც მუშავდებოდა და ინერგებოდა მაღალეფექტური სამკურნალო და პროფილაქტიკური საშუალებები.

ღრმა ცოდნით, ფართო დიაპაზონით, საქმისადმი უდიდესი პასუხისმგებლობით და თავდადებით, მეცნიერული მიღწევებით, კაცთმოყვარეობით და მაღალი ადამიანური თვისებებით დავით გელოვანმა კოლეგების, მოწაფეების, ქართველი სამოგალოების ჭეშმარიტი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა.

საქართველოს ფარმაკოლოგიური მეცნიერების ისტორია სათუთად შემოინახავს მის ნათელ სახელს.

ეთერ ქემერგელიძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

აკადემიკოსი

* * *

არიან ადამიანები, რომლებმაც მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრება მომავალი თაობების აღმზრდას და

მეცნიერების განვითარებას მოახმარეს. სწორედ ასეთ ადამიანთა რიცხეს მიეკუთვნებიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ვეგერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, პროფესორი დავით გელოვანი და მისი მეუღლე, ვეგერინარიის მეცნიერებათა კანდიდატი, ამ დარგის წამყვანი სპეციალისტი მარი სამადაშვილი.

დავით გელოვანი – ბევრის მიქმელია ეს სახელი, ვინაიდან მასთან არის დაკავშირებული საქართველოში ვეგერინარული მეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის – ფარმაკოლოგიის – ჩამოყალიბება და განვითარება. ბატონი დავითი სამართლიანად არის მიჩნეული ვეგერინარულ-ფარმაკოლოგიური მეცნიერების ფუძემდებლად.

მრავალმხრივია პროფესორ გელოვანის მეცნიერული და პედაგოგიური მოღვაწეობა. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულმა გამოკვლევებმა ხელი შეუწყო ფარმაკოლოგიაში ახალი მიმართულების ჩამოყალიბებას და პრაქტიკაში ეკონომიკურად გამართლებულ სიახლეთა დანერგვას. დაულალავი შრომისა და მეცნიერული კვლევებების შედეგია ისეთი მნიშვნელოვანი პრეპარატების და სამკურნალო საშუალებების შექმნა, როგორცაა კარბამიდისა და ფენოთიაზინ-მარილოვანი ბრიკეტები, საკეები გერამიცინი, ანტიბიოფაგი, თხიერი და მშრალი გერამიცინი და ბიომიცინი, საკეები პრეპარატები ბროილერი წიწილებისა და კვერცხისმდებელი ფრინველისათვის. ამ ორი უკანასკნელი პრეპარატის შექმნას მაღალი მეცნიერული

და პრაქტიკული შეუასება მიეცა და დავით გელოვანს აღნიშნული მიღწევისათვის სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

დავით გელოვანი მრავალი სამეცნიერო შრომის, გამოგონების და რაციონალიზატორული წინადადების ავტორია. მის კალამს ეკუთვნის ცხრა ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელო, რომელთა დიდ ნაწილს, თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით, დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

პროფესორ დავით გელოვანის მიერ შესრულებულმა მეცნიერულმა გამოკვლევებმა უდიდესი აღიარება მოუტანეს მეცნიერს არა მარტო სამშობლოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. მან ფასდაუდებელი კვალი დატოვა მშობლიური ინსტიტუტის ისტორიაში.

სტუდენტობის პერიოდში, ცხადია, ბევრი მსმენოდა პროფესორ დავით გელოვანის პედაგოგიური საქმიანობის შესახებ: ვიცოდი, რომ მისი ბრუნვის უმთავრეს საგანს სტუდენტი და მასწავლებელი წარმოადგენდა, ხოლო ლექცია, ლაბორატორია და აუდიტორიისათვის განდობილი ფიქრი იყო მისი შეება. თუმცა იმხანად დიდი მეცნიერის შესახებ საკმაოდ მწიერი ინფორმაცია მქონდა. დღეს კი თავს ბედნიერად მივიჩნევ და მეამაყება, რომ შესაძლებლობა მომეცა, წლების განმავლობაში მემუშავა დიდი მეცნიერისა და პედაგოგის გვერდით. ეს ის პერიოდია, რომელსაც ამ სტრიქონების ავტორი დიდი სიამაყითა და მოწიწებით იხსენებს.

ბატონ დავით გელოვანის მეცნიერულ და პედაგოგიურ მიღწევებს ასეთი ფართო ღიაპაზონი ვერ ექნებოდა,

მას გვერდით რომ არ ჰყოლოდა ერთგული მეუღლე და მეგობარი, შესანიშნავი მკვლევარი და მეცნიერი ქალბატონი მარი სამადაშვილი. სწორედ მისმა თანადგომამ შეაძლებინა ბატონ დავითს თავისი ნიჭისა და უნარის ფართოდ გამოეყენებინა. ქალბატონი მარი ღირსეული ადამიანის ღირსეული მეუღლე გახლდათ და პროფესორ დავით გელოვანთან ერთად მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომების, სახელმძღვანელოებისა თუ გამოგონებათა ავტორი და თანაავტორიც ბრძანდებოდა.

ქალბატონი მარი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ანტიბიოტიკებისა და მიკოლოგიის განყოფილებას. მის მოღვაწეობას უკავშირდება მეცნიერების ამ სფეროში ჩატარებული ფუნდამენტური გამოკვლევები.

ბატონმა დავით გელოვანმა წუთისოხუელი ღირსეულად განვლო, ქალბატონ მარისთან ერთად უმწიკვლოდ იცხოვრა და იღვაწა, დაგოვა რა ნათელი კვალი და დიდი სიყვარული. და კიდევ ერთი რამ, რასაც, ალბათ, მონაგრება ჰქვია: მონაგრება გამორჩეული, ღინჯი, ამაყი კაცისა და სრულებითაც არ არის გასაკვირი, თუ ჩვენ თვალისჩინივით ვუფრთხილდებით მის დანატოვარს, განვიღო გზასა და ავტორიტეტს.

ლევან მაკარიძე

საქართველოს მოოტექნიკურ-საეფექტინარო
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პროფესორ
ელაღიმერ მამათელაშვილის სახელობის პათოლოგიური ანატომიის,
პათოლოგიური ფიზიოლოგიისა და ფარმაკოლოგიის კათედრის გამგე,
ვეტერინარულ მეცნიერებათა კანდიდატი. დოცენტი

საპატიო მოვალეობად მიმანია, გავიხსენო ჩემი მეგობრული ურთიერთობა ვეგერინარიის მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორთან, საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწესთან, სახელმწიფო პრემიის ლაურეატთან, ბაგონ დავით გელოვანთან.

ჩენი პირველი შეხვედრა საქართველოს ზოოგექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტში 1946-1948 წლებში შედგა, როგორც სავეტერინარო ფაკულტეტის სტუდენტისა და ინსტიტუტის ცნობილი პედაგოგისა. ამ პერიოდმა ჩემს ცხოვრებაზე წარუშლელი კვალი დატოვა, ვინაიდან მე შევხვდი ადამიანს, პედაგოგს, რომელიც შემდგომში ჩემთვის და არა მარტო ჩემთვის ცხოვრების ეგალონად იქცა.

1951-53 წლებში პროფესორი დავით ვარდოსანიძე, პროფესორი ალექსანდრე (საშა) შეყილაძე და ამ მოგონების ავტორი ჩენი სპეციალობების მიხედვით ასპირანტურის კურსს გავდიოდით ლენინგრადის სავეტერინარო და ვეტერინარ ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტებში.

ამ დიდებულ ქალაქში პირველად 1951 წლის 6 იანვარს ჩავედით. მასპინძლებმა კარგად მიგვიღეს, დაგვაბინავეს და მეცადინეობისა და დასვენებისათვის საჭირო პირობები შეგვიქმნეს.

ამ პერიოდში ბაგონი დავით გელოვანი კვალიფიკაციას იმაღლებდა ლენინგრადის სავეტერინარო ინსტიტუ-

გის დოქტორანტურაში (ფარმაკოლოგიის სპეციალობით). შეიგყო თუ არა ჩვენი ჩასვლის შესახებ, მოგვძებნა, სიხარულით მიგვიღო, დაწერილებით გამოგვეკითხა საქართველოში და მის მშობლიურ ინსტიტუტში მიმდინარე ახალი ამბები, მოგვცა საჭირო რჩევა-დარიგება, წარგვადგინა ინსტიტუტის საქვეყნოდ ცნობილ პროფესურასთან და მუშაობის პერიოდში არ მოუკლია მშობლიური ბრუნვა, დასმარება, სიყვარული, რამაც დიდი გაუღენა იქონია ჩვენი, როგორც სპეციალისტების ჩამოყალიბებაზე.

1951 წელს ბატონმა დავითმა ლენინგრადის სავეტერინარო ინსტიტუტის სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელ სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. დღესაც მახსოვს ბატონი დავითის შესანიშნავი მოსხენება, მისი დამაჯერებელი ტონი, ღრმააზროვანი საუბარი, საშუარი ორაგორული ნიჭი.

ჩვენ, სამივე, რა თქმა უნდა, ვესწრებოდით დისერტაციის დაცვას. ბატონმა დავითმა უყურადღებოდ არ დაგვეტოვა და იმ საღამოს ერთად ვივახშმეთ.

1959 წლიდან გარდაცვალებამდე მე და პროფესორი გელოვანი ერთად ვმუშაობდით საქართველოს ზოოგექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში. ბატონი დავითი იყო ფართო დიაპაზონის, ღრმად ერუდირებული მეცნიერი და პედაგოგი. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა ინსტიტუტის თანამშრომლებსა და სტუდენტ-

ტებს შორის, რამაც დამსახურებული აღიარება მოუტანა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.

პროფესორ ღ.გელოვანის მიერ შემუშავდა და პრაქტიკაში დაინერგა ბევრი მეცნიერული წინადადება, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა მეცხოველეობისა და მეფრინველეობის აღმავლობაზე.

მეცნიერმა შექმნა ორიგინალური სახელმძღვანელოები, მეთოდური დამუშავებები ფარმაკოლოგიაში, რეცეპტურაში, ქიმიოთერაპიაში, სოფლის მეურნეობაში ანგიბიოტიკების გამოყენების შესახებ და მრავალი სხვა. ამ სახელმძღვანელოებზე აღიზარდა და დღესაც იზრდება ვეტერინარიის დარგში მოღვაწე არაერთი თაობა.

ბატონი დავითი იყო განუმეორებელი ნიჭით დაჯილდოებული პედაგოგი, პატრიოტი, სტუდენტების დიდი ქომაგი და მოამაგე.

ძალიან ბევრის თქმა შეიძლება ბატონი დავითის არაჩვეულებრივ მეუღლეზე – ქალბატონ მარი სამადაშვილზე, რომელიც სხვა გამორჩეულ თვისებებთან ერთად საოცარი იუმორის გრძნობითაც იყო დაჯილდოებული.

ერთხელ, სამუშაო საათების დასრულების შემდეგ, ჭავჭავაძის გამზირზე მიმავალს გზაში ქალბატონი მარი შემხვდა და ღიმილით მითხრა: ბატონი დავითი მჩაგრავს და ეგებ ამ საქმეში ჩაერიოო. მეც, რა თქმა უნდა, ხუმრობით მივუგე: რას ემდურით ბატონ დავითს, მას ხომ ამქვეყნად ჯერ არაეინ დაუჩაგრავს-მეთქი. ქალბატონმა მარიმ მიპასუხა: თაეად განსაჯე, ის მაღაზიაში ერთი კილოგრამი პურის საყიდლად შევიდა (პური მაშინ 20 კაპიკი ღირდა),

მე კი ერთი კილოგრამი კარაქის საყიდლად (ღირდა 3 მანეთი და 60 კაპიკი) გამგზავნაო.

ღმერთმა და ერმა უმრავლოს საქართველოს ასეთი ოჯახები.

გუგული გოდერძიშვილი

საქართველოს ზოოტექნიკურ-საეკერინარო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო მუშაობის დარგში. ეეკერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქარაუელოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

* * *

ქართული ეეკერინარიის ისტორიაში, ამ დარგის ფუძემდებელთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავთ ეეკერინარიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ბაგონ დაეით გელოვანსა და მის მეუღლეს, ქალბაგონ მარი სამადაშვილს.

თავიანთი შემოქმედებითი ცხოვრება მათ იმაზე მრუნვაში გალიეს, თუ რა სიახლე დაენერგათ ეეკერინარულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში.

ბაგონ დაეით გელოვანს ჩემი სტუდენტობის წლებიდან (1935-1939 წწ.) ვიცნობდი. მაშინ იგი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, საქართველოს ზოოტექნიკურ-საეეკერინარო ინსტიტუტის პედაგოგი გახლდათ, ეეკერინარულ ფაკულტეტზე პრაქტიკულ მეცადინეობებს ატარებ-

და ფარმაკოლოგიაში და სტუდენტებისათვის განათლების, კეთილშობილებისა და შრომისმოყვარეობის შთამბეჭდავ მაგალითს წარმოადგენდა. იგი მოწადინებული იყო, ყოველმხრივ დაგვიხმარებოდა ფრიალ მნიშვნელოვანი დისციპლინის, ვეტერინარული ფარმაკოლოგიის ათვისებაში და, რაც მთავარია, უსაყვარლეს პედაგოგთან ერთად ჩვენი უერთგულესი მეგობარიც იყო. ახლაც მახსოვს, თუ როგორი გამართული ქართულით, ჩვენთვის გასაგებ ენაზე გადმოგვეცემა იგი საკმაოდ რთული საგნის, ფარმაკოლოგიის მეცნიერულ პრინციპებსა თუ მონაცემებს.

ინსტიტუტის დაარსების პირველ წლებში და შემდგომაც, საკმაო ხნის განმავლობაში, ქართულ ენაზე არ არსებობდა სახელმძღვანელოები ვეტერინარულ ფარმაკოლოგიასა და რეცეპტურაში. ზემოთქმულის გათვალისწინებით ბაგონმა დაეითმა გამოსცა 2 სახელმძღვანელო – „ვეტერინარული რეცეპტურა“ (1960 წ.) და „ვეტერინარული ფარმაკოლოგია“ (1966 წ.), რითაც დიდი დახმარება გაუწია ვეტერინარული ფაკულტეტის სტუდენტებს. მის კალამს ეკუთვნის კიდევ სხვა მრავალი სახელმძღვანელო, მონოგრაფია თუ მეცნიერული რეკომენდაცია.

ჩემს ყოფილ პედაგოგთან შემდგომში სშირი საქმიანი ურთიერთობა მქონდა: ჯერ რაიონებში, პრაქტიკულ სამუშაოებზე ყოფნის დროს, შემდგომ ვეტერინარიის მთავარი სამმართველოს, მეფრინველეობის და მეცხოველეობის ტრესტში მუშაობის პერიოდში, 1973 წლიდან კი ბოტაქნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში მუშაობისას.

ბაგონ დაეითს თავისი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე დიდი ღვაწლი მიუძღვის როგორც ვეტერინარული კაღრების აღზრდაში, ასევე საქართველოში ვეტერინარული სამსახურის დაფუძნებაში, მეფრინველეობისა და მეცხოველეობის აღმშენებლობაში. მის მიერ და მისი ხელმძღვანელობით შექმნილი მეცნიერული მეთოდები (საკეები ცილის შესავსებად „მკედარი ფრინველის გადამუშავების და ფრინველის საკეებად გამოყენების მეთოდი“, „ხორცძვლის ფქვილის დამზადების საკეებად გამოყენების მეთოდი“, „კარბამიდის ბრიკეტები მსხვილფეხა რქოსანი საქონლისათვის“, „ფენოგიაზინ-მარილოვანი ბრიკეტები“) და სხვადასხვა საკეები პრეპარატები, რომლებიც სამკურნალო და პროფილაქტიკური საშუალებებით (საკეები გერამიცინი, ანტიბიოფაგი, ე.გ.გ.ვი-1, ე.გ.გ.ვი-2) გამდიდრებულ კომბინირებულ საკეებს წარმოადგენდა ფართოდ დაინერგა მეფრინველეობისა და მეცხოველეობის მეურნეობებში, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე სხვა რესპუბლიკებშიც.

დიდია ბაგონი დაეითის ღვაწლი ინსტიტუტის ქიმიოთერაპიული და ბიოლოგიური პრეპარატების ექსპერიმენტული ქარხნის ჩამოყალიბებაში, სადაც მისი ხელმძღვანელობით ქარხნის დირექტორთან, თამაზ კობახიძესთან ერთად, შეიქმნა კიდევ მრავალი მაღალეფექტური პრეპარატი.

ინსტიტუტში პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ის ეწეოდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. მის მიერ შესრულებული ყველა საკვლევი თემა გამოირჩეოდა

მაღალი აქტუალობით და ყოველთვის მთაერდებოდა სიახლით გამოგონების ღონეზე. მათი უმრავლესობა სახელმწიფო საავტორო მოწმობებით აღინიშნა.

ბატონი დავითი, მისი მეცნიერული მოღვაწეობისა და ტიგულების მიუხედავად, საოცარი თავმდაბლობით გამოირჩეოდა და ცდილობდა, შესაძლებლობის ფარგლებში ყველასთვის დახმარება აღმოეჩინა.

პროფესორი დავით გელოვანი დამსახურებულად არის მიჩნეული ვეგერინარიის ერთ-ერთ და ვეგერინარული ფარმაკოლოგიის ერთპიროვნულ ფუძემდებლად საქართველოში.

ვეგერინარულ მეცნიერებასა და პრაქტიკაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ბატონი დავითის მეუღლეს, ქალბატონ მარი სამადაშვილს, რომელიც 1942 წლიდან მოღვაწეობდა საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-კვლევით ინსტიტუტში ლაბორატორიის ხელმძღვანელად.

ქალბატონი მარის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში კოლიგერტნერ ფაგის გამოყოფა, მისი თვისებებისა და ეფექტურობის შესწავლა. მის მიერ დამზადებული პრეპარატი მაღალეფექტური აღმოჩნდა ხბოების პარატიფის სამკურნალოდ.

საქართველოს მეფრინველეობას დიდ ეკონომიკურ მარალს აყენებდა წიწილებში პულოროზის დაავადება, რომლის შესახებ ჯერ კიდევ 50-იან წლებში პირველი სიგყვა თქვა ქალბატონმა მარიმ, რომელმაც ბატონ დავითთან ერთად შექმნა სპეციფიკური ბაქტერიოფაგი და დაამზადა პრეპარატი პულორომ ფაგი, რომელიც ფართოდ

დაინერგა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე სხვა რესპუბლიკებში. მას დღესაც ამზადებს რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის სუმის ბიოფაბრიკა. შემდგომში ქალბატონმა მარიმ და ბატონმა დავითმა შექმნეს მაღალეფექტური პრეპარატი ანტიბიოფაგი.

ქართულ ვეტერინარიაში ანტიბიოტიკების გამოყენებასა და დანერგვაში პირველი მეცნიერული სიტყვა დავით გელოვანთან ერთად ქალბატონ მარი სამადაშვილს ეკუთვნის. 1960 წლიდან ხელმძღვანელობდა იგი ინსტიტუტში ანტიბიოტიკების და მიკოლოგიის განყოფილებას. სწორედ მისი ძალისხმევით განყოფილებასთან შეიქმნა ნატიური და საკვები ანტიბიოტიკების წარმოება. მ.სა-მადაშვილს მრავალი სამეცნიერო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული ვეტერინარიაში და მეცხოველეობაში ანტიბიოტიკების გამოყენების შესახებ.

ყოველივე ზემოთქმული მოკრძალებული მოგონებაა იმ დიდი, უანგარო ღვაწლისა, რომელიც ბატონ დავით გელოვანსა და ქალბატონ მარი სამადაშვილს მიუძღვით ქვეყნის ვეტერინარული სამსახურისა და მეცნიერების წინაშე.

თეიმურაზ ყენია

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტის სწავლული მდივანი,
ვეტერინარულ მეცნიერებათა კანდიდატი


ძნელია საუბარი ადამიანზე, რომელიც შენ გვერდით აღარ არის, მაგრამ შეუძლებელია, დადუმდე, როცა მოსაგონარი ძაღზე ბევრია. დავიწყებ იმით, რომ ბატონი დავითი, მარად ახალგაზრდული, სასიამოვნო გარეგნობის, ყოველთვის გემოვნებით ჩაცმული, ელეგანტური პიროვნება სათავეში ჩაუდგა და ათეული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ისეთ რთულსა და პასუხსაგებ კათედრას, როგორიც ფარმაკოლოგიის კათედრაა.

თავისი უშუალოებით და თავმდაბლობით იგი ლექციებსა თუ პრაქტიკულ მეცადინეობებზე შესვლისთანავე ქმნიდა მშვიდსა და თბილ ატმოსფეროს, უსაზღვრო პროფესიონალიზმის წყალობით უღვივებდა სტუდენტებს როგორც კონკრეტული საგნისადმი ინტერესს, ისე ერთმანეთისადმი ადამიანურ, მეგობრულ დამოკიდებულებას. მას ყოველთვის დიდი ინტერესითა და ყურადღებით ეუსმენდით, უაღრესი პატივისცემითა და მოწიწებით ეიყავით მისდამი გამსჭვალული, რადგან თავად ბატონი დავითი ღრმად სწვდებოდა თითოეული სტუდენტის შინაგან სამყაროს, მის მისწრაფებებსა თუ განცდებს და ყოველმხრივ ცდილობდა, დახმარება გაეწია მათთვის; აკადემიურად ჩამორჩენილი თუ უმიზნობოდ გამცლენი სტუდენტი, მას, პრაქტიკულად, არ ჰყავდა.

გადის წლები და ძნელი წარმოსადგენია, რომ უკვე შენი საყვარელი ლექტორის კოლეგა ხარ; ყოველი შესხვედრისას იგი ამჟღავნებს ჩვეულ სითბოს, შენი საქმიანობი-



Agos. do presidente e plebeus.




«Крестьяне» — группа «Крестьяне» — группа



五、五、五、五、五

Գրքերի և թղթերի փոխանակման կենտրոնի անդամները






Isabelle Goyens and her



Restorante "psichicizant" uolito



Գլխավոր քարտեզագրիչի և քարտեզագրիչի պրոֆեսորները



Յուզի: ցովհարձարձիւստ քոչմաճի քոճկեցի՛ սքե՛ւոճը տաճո՛ւ

სადმი ინტერესს, გთაყაზობს დახმარებას ცხოვრებისეული სირთულეების გადალახვაში.

ინსტიტუტში პროფესორ დავით გელოვანთან მუშაობის დაწყებასთან ერთად იწყება მეგობრობისა და ურთიერთთანამშრომლობის გრძელი გზა, რაც უკავშირდება იმ პერიოდისათვის (სამოციანი წლებისათვის) ძალზე აქტუალურ პრობლემას, მეფრინველეობის აღმავლობას. ბაგონი დავითი ამ სფეროში მრავალი საინტერესო წინადადების ავტორი ვახდა.

მისი უშუალო ინიციატივით და ხელმძღვანელობით დამუშავდა და პრაქტიკაში დაინერგა მკედარი ფრინველის გაუენებლების, მეფრინველეობაში მისი საკვებად გამოყენების მეთოდი, რაზეც ვეტერინარიის დარგში პირველი რაციონალიზატორული მოწმობა გაიცა. მალე მას მოჰყვა სორცკომბინატების ანარჩენების გაუენებლების, დაკონსერვებისა და მეფრინველეობაში მათი საკვებად გამოყენების მაღალი ეკონომიკური ეფექტის მქონე მეთოდი.

სამოციან წლებში ბაგონი დავითის ინიციატივით სხვადასხვა სახის ანტიბიოტიკის შექმნამ და გამოყენებამ განაპირობა ინსტიტუტში ჯერ ანტიბიოტიკების შემსწავლელი ლაბორატორიის, შემდეგ კი განყოფილების ჩამოყალიბება, რომელსაც წლების განმავლობაში ჯერ თვითონ ხელმძღვანელობდა, შემდეგ კი მისი მეუღლე, თვალსაჩინო მეცნიერი და სათნო ქალბატონი, მარი სამადაშვილი. მათ დიდი წვლილი მიუძღვით იმ ღროისათვის ერთადერთი ეფექტური პრეპარატის, პულორომ ფაგის და სხვა მრავალი კომპლექსური პრეპარატის შექმნასა და გამოყენებაში.

ბატონი დავითის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით დამუშავდა საბროილერო ფაბრიკებში არსებული ღრმა საფენის მეცხოველეობაში საკვებად გამოყენების მეთოდი, რაც საავგორო მოწმობით აღინიშნა.

დიდია პროფესორ დავით გელოვანის წვლილი მეცხოველეობაში და, განსაკუთრებით, მეფრინველეობაში საკვების სხვადასხვა სახის მედიკამენტებით გამდიდრების და ამ გზით მთელი რიგი დაავადებების პროფილაქტიკის და მკურნალობის საქმეში.

მან ჩვეული ალღოს, დიდი მეცნიერული გამოცდილებისა და დაულაღავი შრომის შედეგად თანამოაზრეებთან ერთად (თ.კობახიძე – ხელმძღვანელი, გაგლაძე, გჭილაძე და სხვანი) შეძლო, შეექმნა მაღალეფექტური საკვები პრეპარატი (ე.გ.გ.ვი-1) საბროილერო წიწილებისა და (ე.გ.გ.ვი-2) კვერცხმდებელი ფრინველისათვის, რაც ინსტიტუტის ისტორიაში პირველი სახელმწიფო პრემიით აღინიშნა.

ბატონი დავითი მრავალი სამეცნიერო ნაშრომის, გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებული მონოგრაფიის, სახელმძღვანელოსა და საავგორო მოწმობის ავტორია, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

დღემდე მახსოვს ბატონი დავითის თანადგომა და მეგობრული რჩევები, როდესაც მის კოლეგებთან ერთად ვამზადებდი მასალებს სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად. არასოდეს დამავიწყდება, როგორ გულით გაიხარა, როდესაც აღნიშნული პრემია დაგვიმტკიცეს.

მეამყება, რომ ახლოს ვიცნობდი ბატონ დავითს, მასთან დიდი ხნის მეგობრობა და თანამშრომლობა მაკაე-

შირებდა, ამიგომაც თავს უფლება მივეცი, რამდენიმე სიტყვით მომეგონებინა უსაზღვროდ ერუდირებული პიროვნება, ღვაწლმოსილი და ამაგდარი პედაგოგი, კოლეგა და უფროსი მეგობარი.

აბესალომ მაჭავარიანი

ფრინველთა ღააეაღებების შემსწავლელი
განყოფილების გამგე

* * *

ბატონ ღავით გელოვანს და ქალბატონ მარი სამაღაშვილს ღიდი ღვაწლი მიუძღვით საქართველოში ვეტერინარული მეცნიერების, განსაკუთრებით კი ვეტერინარული ფარმაკოლოგიის ჩამოყალიბებასა და მის შემდგომ განვითარებაში. ამის შესახებ, ალბათ, იმსჯელებენ და თავის ავტორიტიტულ სიტყვას იტყვიან ამ დარგში მომუშავე სხეა სპეციალისტებიც, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით უნდა ითქვას, რომ მათ არანაკლები წვლილი შეიტანეს ცხოველთა სრულფასოვანი კეების პრობლემატური საკითხების გადაჭრაში.

როღესაც რესპუბლიკაში მეცხოველეობის სამრეწველო საფუძვლებზე გადასელა დაიწყო, საჭირო გახდა კომბინირებული საკეების მრეწველობის განვითარება. ინდუსტრიული მეღორეობისა და მეფრინველეობისათვის მარცვლოვანი ნედლეულის გარდა აუცილებელი იყო ცილოვანი, მინერალური და სამკურნალო ნივთიერებებით

მდიდარი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი კომბინირებული საკვები საშუალებების შექმნა და ადგილობრივად წარმოება.

სწორედ ამ მიზნით დ.გელოვანმა და მ.სამადაშვილმა ცნობილი მოლეაწის, გ.ნარსიას ხელშეწყობით ნაუთლუდის პურკომბინაგის ბაზაზე შექმნეს (რესპუბლიკაში პირველებმა) საკვები გერამიცინის საამქრო. მეცნიერთა ამ წამოწყების შედეგად საფუძველი ჩაეყარა ვეგეტინარული ფარმაკოლოგიისა და საკვების ტექნოლოგიის მომიჯნავე ახალ მიმართულებას – საკვების ფარმაკოლოგიას, რომელიც მიზნად ისახავს საკვებში სამკურნალო ინგრედიენტების შერევის ტექნოლოგიების შემუშავებასა და შესწავლას.

მედიკამენტების საკვებში შერევის დაეით გელოვანისეულ მეთოდზე დაყრდნობით საკვები გერამიცინის გარდა მის მიერვე შეიქმნა და წარმოებაში ფართოდ დაინერგა მრავალი ისეთი საკვები პრეპარატი, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელი იქნებოდა ის დიდი აღმავლობა, რომელსაც 70-80-იანი წლების საქართველომ სამრეწველო მეცხოველეობასა თუ მეფრინველეობაში მიაღწია.

ბაგონმა დ.გელოვანმა კარგად უწყოდა რესპუბლიკის მეცხოველეობის სხვადასხვა დარგის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების შესახებ, რომელთაგანაც ერთ-ერთი უმთავრესი იყო საკვებში ცილის დეფიციტი. ერთ საკვებ ერთეულზე წესით გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო 110-120 გრამი მონელებადი პროტეინი, მისი შემცველობა კი 60-70 გრამს არ აღემატებოდა. საკვებში ცილის

ასეთი ღრმა დეფიციტი დიდი დილემის წინაშე აყენებდა ვეგერინარიის მთელ ღარვს.

დავით გელოვანმა საფუძველი ჩაუყარა მეფრინველეობის მეურნეობებსა და სასაკლაოებში ცილით მდიდარი, ერთი შეხედვით, ყოველად გამოუსადეგარი ნარჩენებისა თუ ანარჩენების გასტერილებასა და უტილიზაციას საკვებად მათი გამოყენების მიზნით. მის მიერ დანერგილი მეთოდებით ანარჩენთა გადამუშავების შედეგად, ფაქტიურად, მოიხსნა რესპუბლიკის ინდუსტრიული მეცხოველეობის განვითარებაში არსებული ყველა ხელისშემშლელი პრობლემა.

საწარმოო მეფრინველეობის განვითარებასთან ერთად რესპუბლიკაში გაჩნდა დიდი მოთხოვნილება სრულფასოვან კომბინირებულ საკვებზე; არც ნედლეული იყო საკმარისი. ბროილერის ქვეშსაფენში კი ერეოდა დიდი რაოდენობით კომბინირებული საკვები, რაც მის დიდ დანაკარგს იწვევდა. დავით გელოვანის მიერ მოწოდებული მეთოდის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ქვეშსაფენის გასტერილება და მისი საკვებად გამოყენება. უზარმაზარი პრაქტიკული და ეკონომიკური ეფექტის მიღების შემდგომ, მეცნიერისვე წინადადებით, გაჩიანის საუტილიზაციო ქარხანასთან ამ მიზნით ცალკე საწარმო აშენდა.

პროტეინის დეფიციტის შევსება საძოვრებზეც გვიხდებოდა. აქაც დიდი როლი შეასრულა მარილის ბრიკეტებში კარბამიდის შერევის გელოვანის მიერ მოწოდებული მეთოდის გამოყენებამ. ჩვენს კათედრასთან ერთობლივად

მოხდა კარბამიდის ბრიკეტების დომირებისა და მისი ეფექტიანობის შესწავლა. დადებითი შედეგების მიღების შემდგომ კარბამიდის ბრიკეტები ფართოდ დაინერგა ვეტერინარულ პრაქტიკაში.

მეცხოველეობაში ძალზე შრომატევად პროცესად არის მიჩნეული ღებლმინტიმაციის სამუშაოების ჩატარება. ბაგონმა დავითმა ეს პრობლემაც მარტივად გადაჭრა: გამოუშვა სპეციალური ფენოთიაზინმარილოვანი ბრიკეტები, რომლებზეც დღესაც დიდი მოთხოვნაა როგორც ჩვენთან, ისე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში.

დავით გელოვანი და მარი სამადაშვილი იყვნენ ბიოლოგიური პრეპარატების ქარხნის სულისჩამდგმელნი. მათ მეცნიერულ მიღწევებს პრაქტიკულად ასხამდა ხორცს ქარხნის დირექტორი ბაგონი თ.კობახიძე.

ამ ორი დაუღალავი და დეაწლმოსილი მეცნიერის სახელი მარად დარჩება ჩვენი ხალხის ხსოვნაში.

აპოლონ კომმანიშვილი

სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა კვების
კათედრის გამგე,
აკადემიკოსი

* * *

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი მოკრძალებული შრომით და ცხოვრებით არ იქცევენ საზოგადოების ყურადღებას, თითქოსდა ისინი არ განსხვავდებიან

სხეებისაგან, მაგრამ თუ მათ ახლოს გაიცინობთ, დარწმუნდებით, რომ ისინი განსაკუთრებული ყურადღების ღირსნი არიან და რომ აუცილებელია მათი საქმიანობისა და მიღწევების საყოველთაოდ აღიარება. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება ჩვენი ინსტიტუტის ორი უაღრესად გამორჩეული პიროვნება: ქალბატონი მარი (მარიამ) სამადაშვილი და მისი მეუღლე ბატონი დაეით გელოვანი, რომლებიც ნახევარ საუკუნეზე მეტხანს მაღალპროფესიულ დონეზე ემსახურებოდნენ ახალგაზრდა სპეციალისტთა, ასპირანტთა და მეცნიერ-მუშაკთა აღზრდის კეთილშობილურ საქმეს (როგორც ჩვენს ინსტიტუტში, ისე მის ფარგლებს გარეთაც).

ეს ორი პიროვნება უდიდესი ადამიანური სითბოთი გამოირჩეოდა, ყველგან სიკეთისა და სიმშვიდის აგმოსუფროს ქმნიდა, ამიგომაც უყვარდათ აგრერიგად სტუდენტებს, თანამშრომლებსა თუ ასპირანტებს. პედაგოგობა და მეცნიერ მუშაკობა არ იყო მათთვის ცხოვრების ნივთიერი წყარო, არამედ ამ ორი ადამიანისათვის ბუნებისაგან მომადლებული ნიჭის გამოყენების, სიკეთის ქმნის საშუალება გახლდათ.

პირადად მე 27 წლის მანძილზე ვმუშაობდი მათთან ჯერ როგორც ასპირანტი, ხოლო შემდეგ, როგორც მეცნიერ მუშაკი, ამიგომ თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მათდამი დიდი სიყვარული და პატივისცემის გრძნობა მკარნახობდა, მათ გვერდით უანგაროდ მეშრომა. არასოდეს დამაეიწყებდა ჩვენი პირველი შეხვედრა და თუ დღეს რაიმეს მივაღწიე ცხოვრებაში, მხოლოდ ჩემი პირველი

მასწავლებლების – ქალბატონ მარი (მარია) სამადაშვილისა და ბატონ დავით გელოვანის წყალობაა.

დაუსრულებლად შემიძლია, მათზე ვისაუბრო, გავის-სენო მრავალი სიკეთე, რომელიც მათ დათესეს თავიანთი ხანგრძლივი, ნაყოფიერი მოღვაწეობის პერიოდში.

გიორგი დავითულიანი

ანტიბიოტიკებისა და მიკოლოგიის განყოფილების გამგე,
ვეტერინარულ მეცნიერებათა კანდიდატი

* * *

ცხოვრებაში არის პერიოდი, რომელსაც სიამოვნებით იგონებ, მაგრამ განსაკუთრებით დაუვიწყარი ალბათ მაინც სტუდენტობის წლებია. პირველკურსელთათვის ყველაფერი ახალია: ინსტიტუტის კედლები, იქ მოფუსფუსე პროფესორ-მასწავლებლები და მათ მიერ შექმნილი გარემო.

ახალგაზრდები დიდი ინტერესით აკვირდებიან ხოლმე იმ პედაგოგებს, რომლებთანაც ჯერ არ ჰქონიათ ურთიერთობა. მასხოვს, ჩემი განსაკუთრებული ყურადღება პირველივე დღიდან მიიქცია განმორჩილმა, ენერგიულმა პროფესორმა დავით გელოვანმა, რომელთანაც დაახლოების საშუალება მხოლოდ მესამე კურსზე მოგვეცა.

მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის ჩვენთვის კარგად იყო ცნობილი დავით გელოვანის პედაგოგიური და მეცნიერული მოღვაწეობა, პირველმა ლექციამ მაინც დაუვიწყარი შთაბეჭდილება დაგოვა. საინტერესო ლექციების

მოსმენასთან ერთად სტუდენტებს საშუალება მოგვეცა, გვეხელმძღვანელა დავით გელოვანის მიერ გამოქვეყნებული სახელმძღვანელოებით და მონოგრაფიებით: „ვეტერინარული რეცეპტურა“ (1960, 1970), „ვეტერინარული ფარმაკოლოგია“ (1966), „ვეტერინარული ქიმიოთერაპია“ (1966), „ანტიბიოტიკების გამოყენება სოფლის მეურნეობაში“ (1953), „ცხოველთა პროდუქტიულობის ზრდის ქიმიური სტიმულატორები“ (1968).

ჩემთვის საამაყოა, რომ ვიყავი ვეტერინარულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ბატონ დავით გელოვანის სტუდენტი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ საშუალება მომეცა, მემუშაუა ჩემი საყვარელი პედაგოგების, სახელდობრ, დავით გელოვანის გვერდით. იმ პერიოდში (70-იან წლებში) პროფესორი დ.გელოვანი ფართო სამეცნიერო კვლევას აწარმოებდა ხორცკომბინატებისა და მეფრინველეობის ფაბრიკების ანარჩენების გამოსაყენებლად. მის მიერ დამუშავდა წუნდებული ხორცის, სისხლის, შინაგანი ორგანოების და სხვათა გადამუშავების და კონსერვაციის საიმედო და ხელმისაწვდომი მეთოდი, რომლის შედეგადაც შესაძლებელი გახდა მათი გამოყენება ფრინველისა და ღორის საკვებად.

მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, პროფესორ გელოვანის მიერ ფრინველის ღრმა საფენის გასტერილებისა და საკვებად მისი გამოყენების მეთოდის შემუშავება.

პრაქტიკული მუშაობისას ხშირად მინახავს პროფესორ გელოვანის ხელმძღვანელობით მიღებული კარბა-

მიდის და ფენოთიაზინ-მარილოვანი ბრიკეტები, რომელ-ზედაც ყოველთვის დიდი მოთხოვნა იყო.

განსაკუთრებული გამოხმაურება ჰქონდა საკვები პრეპარატების (ე.მ.გ.ვი-1 და ე.მ.გ.ვი-2-ის) შექმნას, რომელ-თა დანერგვისათვის ბაგონ დავით გელოვანს მეცნიერთა ჯგუფთან ერთად სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

სტუდენტობის დროს არ მქონდა საშუალება პროფესორ გელოვანის მეუღლის მ.სამადაშვილის პირადად გაცნობისა, რომელიც იმ დროისათვის უკვე საკმაოდ ცნობილი მეცნიერი იყო.

საბედნიეროდ, ინსტიტუტში მუშაობის დაწყების პირველი დღიდანვე მომეცა შესაძლებლობა, მეთანამშრომლა ქალბაგონ მარისთან კოლიფაგის წარმოებისა და ვეგერინარულ პრაქტიკაში მის დანერგვასთან დაკავშირებით.

მ.სამადაშვილი დიღუნებოვანი ადამიანი იყო. მას-სოვს მისი დედაშვილური რჩევა-დარიგებანი, რომლებმაც დიდი გავლენა იქონია ჩემი, როგორც მეცნიერის ჩამოყალიბებაზე.

დიდია ქალბაგონ მარი სამადაშვილის დამსახურება კოლი-გერტნერ ფაგის გამოყოფასა და შესწავლაში. მისი ხელმძღვანელობით შექმნილ სპეციალურ საამქროში დამზადებული პრეპარატებით წლების მანძილზე დიდი რაოდენობის წიწილა, ხბო და გოჭი იქნა დამუშავებული.

1983 წლიდან ვმუშაობდი ქალბაგონ მარი სამადაშვილის მეზობლად, როგორც განყოფილების გამგე, და ეს წლები ჩემთვის დაუვიწყარია. მასთან ყოველდღიური

საქმიანი ურთიერთობა დიდად სასარგებლო იყო ჩემი, როგორც ახალგაზრდა მეცნიერისა და სპეციალისტისთვის.

ძნელია, აუღელვებლად ილაპარაკო ამ ორი შესანიშნავი პიროვნების მეცნიერულ მიღწევებსა და ადამიანურ თვისებებზე. დიდად მათი დამსახურება მრავალი თაობის ვეტერინარი ექიმების აღზრდასა და რესპუბლიკაში სავეტერინარო მეცნიერების განვითარებაში.

თენგიზ ყურაშვილი

ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

* * *

საქართველოს ბოლოგენიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტს, მის მეცნიერებს მრავალი სასახელო ფურცელი ჩაუწერიათ ჩენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორიაში. ასეთი ხალხი ცოცხა როლი ჰყავს ინსტიტუტს, მაგრამ განსაკუთრებით მინდა გამოეყო ორი შესანიშნავი მეცნიერი და მოქალაქე – ქალბატონი მარი სამადაშვილი და ბატონი დავით გელოვანი, რომელნიც გამორჩეოდნენ უდიდესი ერუდიციით, ღრმა და მასშტაბური მეცნიერული ამროვნებით, ჭეშმარიტი ადამიანური თვისებებით, სიკეთითა და სათნოებით.

ქალბატონ მარის შესრულებული აქვს ისეთი მნიშვნელოვანი შრომები, როგორიცაა პულოროზის საწინააღმდეგო ბაქტერიოფაგის, კოლი-გერგნერ ფაგის შექმნა,

საკეები ანტიბიოტიკების წარმოება და მრავალი სხვა, რასაც უდიდესი თეორიული, პრაქტიკული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

ჩვენ, ახალგაზრდა მეცნიერები, ყოველთვის დიდი ყურადღებითა და სიამოვნებით ვუსმენდით ქალბატონი მარის საუბარს, რჩევა-დარიგებებსა თუ მოსხენებებს და ბევრს სასარგებლოს ესწავლობდით მისგან.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონ დავითთან უშუალოდ არ მიმუშავია, მასთან საკმაოდ ხშირად მქონია საუბარი ვეგერინარიისა და მოოგეჟნიკის საკითხებზე. საკმარისი იყო, სულ ცოტა ხანს გესაუბრა მასთან, რომ აუცილებლად შეგეგყო ბევრი ახალი, მნიშვნელოვანი და საინტერესო. პროფესორი დ.გელოვანი 50 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა ფარმაკოლოგიის კათედრას და მისი უპირველესი საზრუნავი იყო სტუდენტის აღზრდა, ნამდვილ სპეციალისტად და მოქალაქედ მისი ჩამოყალიბება. გელოვანის მიერ შეიქმნა პირველი ქართული სახელმძღვანელოები ვეგერინარულ ფარმაკოლოგიასა და რეცეპტურაში. მათ დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა და ძირითად სახელმძღვანელოებს წარმოადგენენ. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ბატონი დავითი, როგორც ეს დიდ მეცნიერს შეეფერებოდა, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში განიხილავდა ვეგერინარულ პრაქტიკასა და თეორიას. ამიგომაც იყო, რომ მის მიერ შემუშავებული აქტუალური საკითხები, მეთოდები, პრეპარატები თუ ახალი სამკურნალწამლო ფორმები წარმატებით გამოიყენებოდა, მნიშვნელოვანი

ეკონომიკური ეფექტურობით ხასიათდებოდა და დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა.

პროფესორ დ.გელოვანის მოღვაწეობა ჯეროვნად შეაფასა მთავრობამ. საკმარისია ითქვას, რომ იგი გახლდათ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მრავალი ნაშრომის, მონოგრაფიის, რაციონალიზატორული წინადადების, გამოგონების ავტორი და სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

დიდი პედაგოგის, მეცნიერისა და მოქალაქის ნათელ ხსოვნას სათუთად შემოინახავს ჩვენი ინსტიტუტი, ბატონი დავითის აღზრდილები, კოლეგები და ყველა, ვინც მას იცნობდა.

ჯემალ გუგუშვილი

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის რექტორი, აკადემიკოსი

* * *

მეცნიერებაში, ისევე როგორც ცხოვრებაში, არიან კარგი ორგანიზატორები და კარგი შემსრულებლები. ვფიქრობ, იშვიათია ადამიანი, რომელიც მეცნიერისათვის დამახასიათებელ სხვა თვისებებთან ერთად ასეთი ნიჭითაც იყოს დაჯილდოებული. ამგვარ ადამიანთა რიცხვს, უდავოდ, მიეკუთვნებიან მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დიდი მეცნიერი, პედაგოგი და შესანიშნავი ადამიანი, პროფესორი

დავით მიხეილის ძე გელოვანი და მისი მეუღლე, ვეგერინარიის დარგის ღვაწლმოსილი მეცნიერი, ქალბატონი მარი სოლომონის ასული სამადაშვილი.

საყოველთაოდ ცნობილია პროფესორ გელოვანის სახელი, მისი როლი ევგერინარიის, მეცხოველეობისა და მეფრინეულეობის განვითარებაში, ქართული ევგერინარული ფარმაკოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში.

მინდა, გაეხსენო რამდენიმე ეპიზოდი ჩვენი ურთიერთობიდან, მისი პედაგოგიური თუ ადამიანური თვისებები, რომელთა წყალობითაც ბატონი დავითი მრავალი თაობისთვის საყვარელი ადამიანი, პედაგოგი და მეგობარი გახდა.

იქნებოდა 1977-78 წელი. ჩაფიქრებული ვზივარ ავტობუსის ბოლო სკამზე, ავტორიტეტებს შეუჩქეველი, სოფლიდან ჩამოსული სტუდენტი. ამ დროს მიახლოვდება ბატონი დავითი და ბილეთს მაწვდის: თქვენი ბილეთის ფული გადახდილიაო. იმდენად აელელდი და დავიბენი, რომ ვერც ფეხზე წამოვდექი, ვერც მაღლობა გადავუხადე. ესღა ამოვილულლუდე, – რატომ შეწუხდით, პატივცემულო-მეთქი, – და დავღუმი. მან, რა თქმა უნდა, შემაგყო დაბნეულობა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა: რა მოხდა, ჩვენ ხომ კოლეგები ვართო. ადვილად წარმოიდგინებ, როგორი კოლეგები და მეგობრები ვიქნებოდით საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერი და მესამე კურსის სტუდენტი. შესაძლოა, მოგიერთს ეს ფაქტი წერილმანად მოეჩვენოს, მაგრამ მე მაშინ უსამღვროდ ბედნიერი ვიყავი ჩემთვის ესოდენ

საპატივეცემულო ადამიანის მიერ ჩემდამი გამოჩენილი ყურადღების გამო.

დღეს, როდესაც მე თვითონ მიწევს ამ მნიშვნელოვანი საგნის გაძლოლა, ვერ დაემაღავე, რომ უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს, სიამაყისა და, რა თქმა უნდა, პასუხისმგებლობის გრძნობას აღმიძრავს, როდესაც გელოვანის მოსწავლეს მიწოდებენ.

ხშირად მისდება საუბარი ნაცნობ თუ ახლადგაცნობილ, ძველი თუ ახალი თაობის ვეგერინარ-სპეციალისტებთან და როდესაც შეიგყობენ, თუ სად ვმუშაობ, ყველას ერთი და იგივე რეაქცია უჩნდება: გასაგებია, გელოვანის კათედრაზე! – და სიამოვნებით იგონებს დიდი მეცნიერის გამორჩეულ პედაგოგიურ თუ ადამიანურ თვისებებს.

და კიდევ ერთი „წერილმანი“: ბატონი დავითი სარვამარგოდ ხშირად ჩუქნიდა ხოლმე სტუდენტ გოგონებს (პირდაპირ ლექციაზე ან პრაქტიკულ მეცადინეობაზე) იებისა თუ ყოჩივარდების თაიგულებს. მიულოცავდა რა დღესასწაულს, სხვა სიკეთესთან ერთად სამშობლოს ძლიერებასაც უსურვებდა და ამბობდა: მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული სამშობლოსა და ერის ბედი. თუ ჩვენს ქვეყანას მრავალ შვილს შესძენთ და კარგადაც აღუზრდით, საქართველო ძლიერი და აყვავებული იქნებაო. გოგონები მეცხრე ცაზე იყვნენ. ჩვენც ბევრს სასიკეთოს ვსწავლობდით ამით. ეს პაგარა თაიგულები, რა თქმა უნდა, ათასგზის აღემატებოდა ჩვენ მიერ გოგონებისთვის მომზადებულ კარგ სუფრასაც და ძვირფას თაიგულებსაც. რა თქმა უნდა, ეს არ გეწყინდა, პირიქით, გვეამაყებოდა. ადვილი წარ-

მოსადგენია, თუ რა განწყობილება ეუფლებოდა ადამიანს ასეთი პედაგოგის, პიროვნების, მისი საგნისა და სპეციალობის მიმართ. ამგვარი ყურადღება, მამამშეილური სითბო, ინგელიგენგობა, ლექციის წაკითხვის თუ, სამოგადოდ, საუბრის ლაღი, თაჲისუჲალი სტილი, ორაგორული ნიჭი და, რაღა თქმა უნდა, უდიდესი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება იყო საწინდარი ბაგონი დაეითის საყოველთაო აღიარებისა და სიყვარულისა.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სწორედ ასეთი თეისებებია საჭირო პედაგოგისათვის, რომ აუდიტორიამ, სტუდენტმა აღიაროს და შეიყვაროს იგი, თაჲის „კერპად“ აქციოს, მაგრამ ამ შემთხვევაში მხოლოდ მცდელობა, ვარჯიში და ცოდნა არა კმარა. აუცილებელია, ბუნებით იყო კაცთმოყვარე, სათნო და კეთილი, ისეთი, როგორიც ბაგონი დაეით გელოვანი გახლდათ.

ბაგონი დაეითის მეუღლე, ქალბაგონი მარი სამაღაშეილი ღიდხანს ხელმძღვანელობდა ანტიბიოტიკებისა და მიკოლოგიის განყოფილებას და ღიდი წელილი შეიგანა ამ დარგის განეითარებაში. ჯერ კიდევ 1942-43 წლებში ქალბაგონმა მარიმ თანამშრომლებთან ერთად გამოყო და შეისწავლა კოლი-გერგნერ ფაგი, მისი თეისებები, ორგანიზმში მისი განაწილების და გამოყოფის საკითხები. ვეტერინარულ პრაქტიკაში ეს იყო ფაგოთერაპიის პირველი ნაბიჯები, რასაც უდიდესი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიეშნელობა ჰქონდა. 50-იან წლებში ქალბაგონმა მარიმ მიიღო სპეციფიკური პულორომ-ბაქტერიოფაგი, რომელმაც შემდგომში მშრალი პრეპარატის – ანტიბიოფაგის – სახით




მარი სამადაშვილი ახალგაზრდობის წლებში



მარი სამუდამო




Լալլա Զիլադյանը և ինձն խնամակալը, սնունդ միջոցառման գործընթացում



მხარე, ფაქიზალიძე იანაშვილი, ჯანაშვილი, ჯანაშვილი, ჯანაშვილი



მუცხისკაცის IV სეზონისთვის, ქვემოთ,
დასრულებული, 1976 წ.



Գրկոյսը գրեց Յոսիպ Գրիգորիանը, իսկ ֆոնը՝ Գրիգորիանի անկախ ժամանակը:



Գրականության, Վեպերականության և
Գրականության 1976 Վ

სპეციალისტთა უდიდესი მოწონება დაიმსახურა და დიდი პრაქტიკული მოთხოვნილება გამოიწვია. ამ პრეპარატის გამოყენებით მხოლოდ საქართველოში მილიონობით ფრთა ფრინველი იქნა გადარჩენილი.

დიდი ღვაწლი მიუძღვის ქალბატონ მარის ანტიბიოტიკების, სულფნილამიდების და სხვა პრეპარატების შესწავლისა და გამოყენების საქმეში. განსაკუთრებით კი ფრინველის ისეთი მმუსრავი დაავადებების კვლევაში, როგორცაა სალმონელოზი, პასტერელოზი და სხვა. დიდია მისი დამსახურება ნაგიური ანტიბიოტიკების წარმოების მოწყობაშიც. ბოლო წლებში ქალბატონი მარი ჩვენს კათედრაზე მუშაობდა. გაოცებას იწვევდა მისი ენერჯია, მეცნიერებისადმი ერთგულება, დასახული მიზნისკენ სწრაფვა. უდიდესი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება მას საშუალებას აძლევდა, ზუსტად და უმოკლესი გზით ევლო დასახული მიზნის განსახორციელებლად და რაოდენ დიდი იყო მისი გულისტკივილი, თუ ელექტროენერჯიის, წყლის უქონლობის ან სხვა „არასაპატიო“ მიზეზის გამო ცდები ჩაეშლებოდა.

ყოველთვის სასიამოვნო და ძალზე სასარგებლო იყო ქალბატონ მარის რჩევა-დარიგება, გამოცდილების გაზიარება, დედაშვილური სითბო, რომელსაც იგი უხვად უნაწილებდა ყველას. მასთან ნებისმიერ საკითხზე შეგუძლოთ საუბარი, რის შედეგადაც აუცილებლად მიიღებდით საჭირო ინფორმაციას თუ პასუხს სხვადასხვა ცხოვრებისეულ საკითხზე.

ბატონი დავითი და ქალბატონი მარი იყვნენ არა მარტო დიდი მეცნიერები და პედაგოგები, არამედ ცოლ-ქმრული ერთგულების, მეგობრობის, სათნოებისა და სიკეთის თვალსაჩინო მაგალითი.

ვისურვებდი, რომ ჩვენს ინსტიტუტს მომავალშიც არ მოკლებოდეს ასეთი შესანიშნავი მეცნიერები, პედაგოგები თუ მოქალაქეები.

რევაზ ბოსტაშვილი

საქართველოს ზოოგექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-სამეცნიერო
ინსტიტუტის უარმაკოლწოვის კათედრის გამგე, ვეტერინარულ
მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

* * *

ბატონმა დავით გელოვანმა ცხოვრების დიდი გზა განვლო – 80 წელი ემსახურა თავის საყვარელ სამშობლოს – საქართველოს. ის იყო დიდებული, განუმეორებელი მეცნიერი, სტუდენტებისთვის მეტად საყვარელი, თუმცა, იმედროულად, ძალზე მომთხოვნი პედაგოგი, განსაკუთრებული შრომისმოყვარეობით და შრომისუნარიანობით გამორჩეული პიროვნება.

დიდი შემოქმედნი ქმნიან ხელთუქმნელ გილოებს, ქანდაკებებს, ლექსებს, რომლებიც შთამომავლობას რჩება. „ჩემთვის დღესათვის არის ნათელი, რას იცყვის ჩემზე შთამომავლობა“, – წერს გალაკტიონი. მათ რად სჭირდებათ ჩვენი გახსენება; ისინი თავისი შემოქმედებით

აგრძელებენ სიცოცხლეს. ჩვენ რა ვქნათ, ჩვეულებრივმა მოკვდავებმა? ჩვენ უნდა დაერჩეთ ჩვენი ახლობლების გულებში, ხსოვნაში.

მოწოდება ეს არის დაუძლეველი ლგოლება ამა თუ იმ საქმისაკენ. ბაგონი დავითის მოწოდება იყო ლგოლება სიკეთისაკენ; ის ყველას უანგაროდ ეხმარებოდა. თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მას კეთილშობილი ადამიანისათვის შეუფერებელ საქციელზე არ უფიქრია, არამცთუ ჩაუდენია. მისთვის ერთადერთი ბედნიერება იყო სიკეთის ქმნა და სამეცნიერო მოღვაწეობა. ჩვენ ხშირად ერთად ვიყავით მივლინებით მოსკოვსა თუ სხვა დიდ ქალაქებში. მე გააკვირვებული ვრჩებოდი მისი შრომის-უნარიანობით – ის მთელი დამეები სამეცნიერო ლიტერატურაზე მუშაობდა.

ღმერთმა ბაგონ დავითს ოპტიმიზმი და მოყვასისადმი გულმოწყალება ჩაუნერგა. სიძულვილი არასოდეს ყოფილა მისი იარაღი.

წავიდა ჩვენგან და დაგვიტოვა მწუხარება. სიკვდილი ყველა ადამიანის ხვედრია, მაგრამ ბედნიერია ჩვენი. საყვარელი ბაგონი დავითი, რადგან იგი გარდაცვალების შემდეგაც ცოცხლობს.

კარლო ქორჩილაგა

თერაპიისა და კლინიკური დიაგნოსტიკის

კათედრის გამგე,

პროფესორი

ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, მეცნიერების დამსახურებულმა მოღვაწემ, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა ბატონმა დავით გელოვანმა და მისმა მეუღლემ ვეტერინარიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ქალბატონმა მარი სამადაშვილმა უმწიკვლო შრომით, დაუცხრომელი ენერგიით, განათლებითა და თავმდაბლობით დიდი პატივისცემა დაიმსახურეს არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

ბატონი დავითი და ქალბატონი მარი 60 წლის განმავლობაში ჭეშმარიტი პატრიოტიზმით, უანგაროდ და დაუღალავად ემსახურებოდნენ ვეტერინარიის განვითარების საქმეს საქართველოში.

დავით გელოვანმა საფუძველი ჩაუყარა ქართული სავეტერინარო ფარმაკოლოგიური სკოლის ჩამოყალიბებას, მისცა მას სამეცნიერო-პრაქტიკული მიმართულება. 1947 წლიდან მოყოლებული 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში იგი ხელმძღვანელობდა ფარმაკოლოგიისა და პათოფიზიოლოგიის კათედრას. მან პირველმა შექმნა და გამოსცა სახელმძღვანელოები „ვეტერინარული ფარმაკოლოგია“ და „ვეტერინარული რეცეპტურა“. ბატონი დავითი იყო სტუდენტთა საყვარელი პედაგოგი.

გამოქვეყნებული მონოგრაფიებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „ვეტერინარული ქიმიოთერაპია“ და „ცხოველთა პროდუქტიულობის მრდის ქიმიური სტიმულატორები“. სამკურნალო და პროფილაქტიკური

ქიმიოთერაპიული პრეპარატებით გამდიდრებული საკვები პროდუქტების გამოყენებამ ღიდი ეკონომიკური უფექტი მოუგანა სახალხო მეურნეობას და ხელი შეუწყო მრავალი დაავადების პროფილაქტიკას. ამ პრეპარატების შექმნისათვის პროფესორ ღ.გელოვანს მიენიჭა სახელმწიფო პრემია (1978 წ.). უდიდესი როლი მიუძღვის ბაგონ დავითს ინსტიტუტის ქიმიოთერაპიული და ბიოლოგიური პრეპარატების ექსპერიმენტული ქარხნის ჩამოყალიბებასა და მუშაობაში.

